



## მ ო ქ მ ე ღ ი   კ ი რ ე ბ ი

ვენეციის მთავარი.

მარკოს პრინცი

არაგონის პრინცი

} პორციას ხელის მოხონენი.

ანტონიო, ვენეციელი ვაჭარი.

ბასანიო, მისი მეგობარი.

სალერიო

სოლანო

ბრაციანო

} ანტონიოსა და ბასანიოს მეგობრები.

ლორენცო, ჯესიკას მოტრფიალე.

შაილოპი, მდიდარი ებრაელი.

თობალი, ებრაელი, შაილოკის მეგობარი

ლანჩელოტ გობო, მასხარა, შაილოკის მსახური.

მოსუცი გობო, ლანჩელოტის მამა.

ლემონარდო, ბასანიოს მსახური.

ბალთაჯარი

სტივანო

} პორციას მსახური.

პორცია, მდიდარი ოჯახის შემკვიდრე.

ნერისა, მისი მოახლე.

ჯესიკა, შაილოკის ასული.

ვენეციის დიდებულნი, მსაჯულნი, ციხის დარაჯი,

მსახურნი და მხლებელნი.

მოქმედების ადგილი – ვენეცია და ბელმონტი.



## მთქმედება პირველი

### ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ქუჩა ვენეციაში.

შემოდან ანტონიო, სალერიო და სოლანიო.

ანტონიო

ართალი გითხრათ, მე არ ვიცი, რამ დამამწუხრა;  
ის გვაწუხებსო, მეუბნებით, მეც ეს მაწუხებს,  
აგრამ სად შევხვდი, სად ვიპოვე, ან სად წავაწყდი,  
სად შემეყარა ეს წუხილი, რამ დამალონა,  
გერაც არ ვიცი.

და ამნაირმა სულელურმა სევდიანობამ  
სე შემცვალა, ლამის ჩემი თავიც ვერ ვიცნო.

სალერიო

იქვენი ფიქრები ოკეანეს დასტრიალებენ,  
იქ, სადაც თქვენი ზომალდები, აფრაგაშლილნი,  
სგავსად ღირსეულ დიდებულთა, ზღვათა მფლობელთა,  
ადმოჰყურებენ მედიდურად ჯუჯა გემებსა,  
რომლებიც მდაბლად თავს უხრბიან, სალაშს უძღვნიან,  
ოს ფრთებგაშლილნი იმათ გვერდზე ჩაიქროლებენ.

სოლანიო

ეც რომ თქვენსავით გამებედა, ჩემი ქონება  
ააღალბედოდ გამეწირა, მაშინ, მერწმუნეთ,  
თელი ფიქრებით ვიქნებოდი მეც მათთან ერთად.  
აშინ მაღიმაღ დავიწყებდი ბალახის გლეჯას,  
ომ მიემხვდარიყავ საიდან ქრის ძლიერი ქარი.  
სიწყევ რუკაში ვიქნებოდი ჩაშტერებული,

რომ მომენახა ზღვის გზები და ნავსადგურები,  
და იმის შიში, რომ ჩემს დოვლათს საფრთხე მოეღის,  
რალა თქმა უნდა, მეც ძალიან დამალონებდა.

სალერიო

მე ჩემი სუნთქვის ცივი ქარი, კერძს რომ მიცივებს,  
ციებ-ცხელებას შთამბერავდა იმაზე ფიქრით,  
თუ რაიღენი ვნება ძალუძს ქარიშხალს ზღვაზე.  
ქვიშის საათსაც მაშინ ისე ვერ შევხედავდი,  
რომ არ მეფიქრა მე რიფებსა და მეჩეჩებზე.  
წარმოვიდგენდი ჩემს მდიდრულ გემს ქვიშაში ჩაფლულს!  
მდაბლად თავდახრილს – თითქოს საფლავს კოცნისო  
თვისას.

ვით შევხედავდი წმინდა ტაძარს, ქვებისგან ნაგებს,  
რომ საშიშარი კლდეები არ წარმომედგინა,  
რომელთაც ჩემი კოხტა გემი შეეხეთქება,  
სანელბელი სანუკვარი ზღვაში ჩაცვივა  
და მშფოთვარ ტალღებს აბრეშუმი შემოსავს ჩემი.  
მთელი ქონება, ერთი სიტყვით, ასე უეცრად  
არად იქცევა. ნუთუ ძალმიძს ასე ვიფიქრო,  
ხოლო ის ფიქრი სულაც აღარ გავივლო გულში,  
რომ ამნაირი განსაცდელი დამალონებდა.  
ნულარას მეტყვით, კარგად ვიცი, რომ ანტონიო  
თვის სავაჭროზე ფიქრით არის დალონებული.

ანტონიო

არა, მერწმუნეთ. ბედსა ვმადლობ, ჩემი ქონება  
არ მიმინდვია ერთადერთი ზომალდისათვის,  
არც ქვეყნის ერთი კუთხისათვის, მთელი სიმდიდრეც  
მხოლოდ წლევეანდელ შემოსავალს არ ემყარება.  
არა, ეგ სულაც არ მაწუხებს და არ მადლეკვებს.

ს ა ლ ე რ ი ო

მაშ, ვინმე გიყვართ.

ა ნ ტ ო ნ ი ო

ფუი, ფუი, არ გამაგონოთ!

ს ა ლ ე რ ი ო

როგორ, არ გიყვართ? მაშინ მოდი ასე ვიფიქროთ, დაღვრემილი ხართ იმიტომ, რომ არ გიხარიათ. მაშ, თქვენთვის ისიც ადვილია: იცინ-იხტუნოთ, თქვათ, მიხარია, რადგან არ ვარ დაღვრემილიო, ორპირ იანუსს<sup>2</sup> გეფიცებთ, რომ ეს ბუნება უცნაურ ხალხს ქმნის: ერთნი მუდამ თვალებს აჭყეტენ, თუთიყუშივით ხარხარებენ მესტვირის ზმაზე; სხვებს დაძმარული სახე აქვთ და ღიმილის ნიშნად ქბილებს ოდნავაც არ აჩენენ, თუნდა ნესტორმაც<sup>3</sup> ლაიფიცოს, რომ სასაცილო ზუმრობა იყო.

ს ო ლ ა ნ ი ო

ჰა, ბასანიო მოდის აქეთ, თქვენს მოკეთე, თან ლორენცო და გრაციანო. ახლა მშვიდობით, უკეთეს ხალხთან გტოვებთ თქვენა.

ა ა ლ ე რ ი ო

მე დავრჩებოდი,

შევეცდებოდი თქვენს გართობას, რომ ამ მეგობრებს, ღირსებით ჩემზე აღმატებულთ, არ შევეცვალებ.

ა ნ ტ ო ნ ი ო

იემთვის თქვენც დიდად ღირსეული და ძვირფასი ხართ! ჰე ასე ვფიქრობ, საქმეზე თუ მიგეჩქარებათ და ახლა, მარჯვე დრო რომ ნახეთ, უკვე მშორდებით.

(შემოდან ბ ა ს ა ნ ი ო, ლ ო რ ე ნ ც ო და გ რ ა ც ი ა ნ ო.)<sup>4</sup>

ა ა ლ ე რ ი ო

შვიდობის დილას მოგახსენებთ.

ა ა ს ა ნ ი ო

აჰ, ბატონებო,

რთად როდისღა ვილაღობოთ, როდის ვიცინოთ? აჟღერეთ ერთიანად გაველურდით! ეს არის საქმე?!

ა ა ლ ე რ ი ო

როცა მოიცლით, ჩვენც მზადა ვართ თქვენს სამსახურად.

(გაღიან ს ა ლ ე რ ი ო და ს ო ლ ა ნ ი ო.)

ლ ო რ ე ნ ც ო

ემო ბატონო! ანტონიო რაკიდა ნახეთ, არტო დაგტოვებთ. მაგრამ ეს ნუ დაგავიწყდებათ, ადილობის ჟამს ჩვენ ერთმანეთს სად უნდა შევხვდეთ.

ბ ა ს ა ნ ი ო

უთუოდ მოვალ.

გ რ ა ც ი ა ნ ო

ანტონიო, სახეზე გატყობ,

კარგად ვერა ხარ. ამქვეყნიურ სიკეთისათვის მეტად ბევრს წუხხარ. წუთისოფელს ის კარგავს სწორედ ვისაც ზედმეტი ზრუნვის ფასად შეუძენია. მე დამერწმუნე, გამოცვლილი ხარ გასაოცრად.

ა ნ ტ ო ნ ი ო

მე წუთისოფელს იმედა ვთვლი, რაც არის თვითონ: სცენად, რომელზეც საკუთარი როლი აქვს ყველას. მე ნაღვლიანი როლი მერგო.

გ რ ა ც ი ა ნ ო

მაშ, მასხარას როლს

მე ვითამაშებ. დე სიცილიმა, მხიარულდება დამინაოჭოს სახის კანი. ის მირჩევნია, რომ გავიზურო ღვიძლი ღვინით, ვიდრე მწუხარე და ნაღვლიანი ამოოხვრით გაცივდეს გული<sup>5</sup>. თუ კაცს მარღვებში სისხლი უდუღს, რად უნდა იჯღღეს ალუბასტრისგან გამოკვეთილ წინაპარივით?<sup>6</sup> იძინოს მაშინ, როცა ღვიძავს, მეტი ანჩხლობით უნდა ჩაექცეს ნაღველა და დაჩაჩანაკდეს! აი, რას გეტყვი, ანტონიო, მე შენ მიყვარხარ და ეს იცოდე, სიყვარული მალაპარაკებს: არის ერთგვარი ხალხი ქვეყნად, რომელთა სახეს ბრკე მოსდებიან დამყაყებულ ჭაობის მსგავსად. ისინი მუდამ დაჟინებულ დუმილს არჩევენ, რათა ქვეყანას მოაჩვენონ თითქოს და მართლაც სიბრძნით, სიღინჯით და ღრმა ჭკუით შემკულნი იყვნენ. თითქოს ამბობენ: „მე ბატონი ორაკული ვარ, ბაგეს რომ გავხსნი, დაე ძაღლიც ნუ დაიფეფებს“. ო, ჩემო კარგო ანტონიო, ბევრს ვიცნობ ისეთს, ვინც მიტომ არის მიჩნეული ჭკუისკოლოფად, რადგან დუმს მუდამ, და ოდესმე თუკი თქვა რამე, მე ღრმადა მჯერა, გამოუჭედს ყურებს სუყველას, და მსმენელებიც შეარქმევენ მაშინვე რეგვენს<sup>7</sup>... ჯერ ეს ვიკმაროთ, მერე უფრო მეტსაც ვიამბობ. ახლა კი თავი დაანებე სევდის ანკესით ლიფსიტა თევზის – ამ ყვეყჩი დიდების ჭერას. კარგო ლორენცო, მაშ, წავიდეთ. აბა, მშვიდობით, სადილის შემდეგ დავამთავრებ ჩემს ქადაგებას.

ლ ო რ ე ნ ც ო

მაშ, ჩვენც წავსულვართ. გაგეცლებით სადილობამდე. მეც ისეთივე მუნჯი ბრძენი გავხდები ალბათ, რადგან არ მაცლის გრაციანო, ვილაპარაკო.

გ რ ა ც ი ა ნ ო

ჯერ შენ სადა ხარ – ორი წელიც დაყავი ჩემთან, და საკუთარი ზმის უღერასაც გადაგავიწყებ.

ანტონიო

მშვიდობით. ყბელი გავხდები მეც, რახან ვერეა.

გრაციანო

ეს მომწონს, მხოლოდ ორ რაიმეს შეენის დუმილი: გაუთხოვარ ქალს და საქონლის დაშაშხულ ენას.

(გაღიან გრაციანო და ლორენცო.)

ანტონიო

არის კი რამე მის სიტყვებში?

ბასანიო

მთელს ვენეციაში ერთი კაცი არ მოიძებნება, ასეთი გაუთავებელი ყბელობა იცოდეს. მაგის ლაპარაკი ორ კოდ ბზეში გაბნეულ ხორბლის ორ მარცვალს ჰგავს: მთელი დღე უნდა ეძებო და როცა ნახავ, მაშინ გაიგებ, ძებნა-დაც არ ღირებულა.

ანტონიო

ის ქალბატონი ვინაა არის, მითხარი ერთი, ვისაც შეჰფიცე იღუმალი თაყვანისცემა? აკი შემპირდი, რომ დღეისთვის უნდა გეამბა.

ბასანიო

აკი შენც იცი, ანტონიო, ბედოვლათობით, ხარჯვით და ფლანგვით, და უკულო ამპარტავნობით, ჯერ რა მებადა, და ისიც კი გავანიავე. იმას არ ვნაღვლობ, ამის შემდეგ ისევ მდიდრულად და ფუფუნებით ცხოვრება რომ არ შემეძლება. ჩემი მთავარი საზრუნავი ახლა ის არის, რომ პატიოსნად დავაღწიო თავი ამ ვალეებს, რაშიც ჩამადლო ყმაწვილურმა დაუდევრობამ. ყველაზე მეტი შენი მმართველს მე, ანტონიო, ვუღიოთაცა და მეგობრული სიყვარულითაც; ახლა სწორედ ეს სიყვარული მავალეებს გითხრა, კალიდან თავის დასაღწევად რა გეგმები მაქვს.

ანტონიო

ზემო კეთილო ბასანიო, გამაგებინე, რა თუკი ყველა შენი გეგმა, როგორც თვითონ შენ, პატიოსან გზას არ შორდება, მაშინ გჯეროდეს, ზემი არსება, ქისა ჩემი, მთელი სიმდიდრე კამიხსნია და შენს საშველად მომირთმევია.

ბასანიო

ემს ბავშვობაში ისარი თუ გამებნეოდა, ახსოვს, მაშინვე, დაკარგულის მოსაძებნელად აკადევენბდი მას ტოლ ისარს იმავე ძალით, იუსტად იქითკენ, ოღონდ ფრთხილად და დაკვირვებით, რა ორი ისრის გამეტებით ძალიან ხშირად არივე ერთად მიპოვნია. ჩემი ბავშვობა ახლა იმიტომ გავიხსენე, რომ რასაც ვიტყვი,

უმწიკვლო არის და უზადო. მე შენი მმართველს, და რაც მასესხე, უგნური ყრმის გვარად დაეკარგე, მაგრამ სხვა ისარს თუ გასტყორცნი პირველის გზითვე, თვალს გავაყოლებ იმის ფრენას და ფიქრი არ მაქვს — ანუ ორივეს ერთად ვნახავ, ან ამ მეორე განაწირავსა დაგებრუნებ და პირველისთვის ისევ დავრჩები მაღლიერი მოვალე შენი.

ანტონიო

შენ კარგად მიცნობ, ბასანიო, დროს რაღას კარგავ, რა საჭიროა, სიყვარული ვუმტკიცოთ ერთურთს!.. ასე სათუოდ რომ ხდი ახლა ჩემს ერთგულებას, განა ვერ ატყობ, ამით უფრო მეტად მტკენ გულსა, ვიდრე მთლიანად გავეფლანგოს ჩემი სიმდიდრე. შენ ის მითხარი, რით გიშველო, როგორ მოვიქცე. რის გაკეთებაც, შენი აზრით, კი შემეძლება, მზად ვარ, ახლავე შეგისრულო. მითხარი, ბარემ.

ბასანიო

მდიდარი სახლის მემკვიდრეა ბელმონტი ერთი ქალი, მშვენებით, სილაძაზით სწორუპოვარი, და სათნოება კიდევ უფრო მეტად ამშვენებს. იმის თვალთაგან რამდენჯერმე მივიღე უკვე უსიტყვო, ნაზი მისაღმება... პორცია ჰქვია, და თვით ბრუტუსის პორციაზე, კატონის ქალზე, დაბლა როდი დგას. მის ღირსებას ვრცელი ქვეყანაც კარგად აფასებს; ოთხ ქარს ქვეყნის ყოველ კუთხიდან მუდამქამ მოჰყავს დიდებული მთხოვნელნი მასთან; მზეებერ ელვარე დალალები, ვით ოქროს ვერძსა, ისეთგვარად სცემს საფეთქლებზე. ამით ბელმონტი კოლხიდასა ჰგავს და იმასთან მრავალ იაზონს უცდია ბედი, სტუმრებია. ო, ანტონიო, ნეტა შემეძლოს, მათთან ერთად მეც ვცადო ბედი, გული მიგრძნობს, რომ მე ვაჯობებ, მე გავიმარჯვებ.

ანტონიო

შენ კარგად იცი, ზღვებზე არის ჩემი ქონება, არც ფული შემრჩა, არც ნივთები — ფულად ვაქციო. წადი, გაიგე რა ძალა აქვს, რა შეუძლია ჩემს კრედიტს, ანუ ნდობას ჩემსას ვენეციაში; მე გამოვწურავ მას მთლიანად და გაგამზადებ ბელმონტს, მშვენიერ პორციასთან გასამგზავრებლად. მაშ, წადი ახლა, მეც წამოვალ, ფულს მოვიკითხავ, და ფიქრიც არ მაქვს, მენდობიან, არ დამიჭერენ.

(გაღიან.)

### ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

ბელმონტი. ოთახი პორციას სახლში.

შემოდინ პ ო რ ც ი ა და ნ ე რ ი ს ა .

პ ო რ ც ი ა

უნდა გამოვტყდე, ნერისა, ჩემი პატარა სხეული მოქანცა ამ დიდმა ქვეყანამ.

ნერი სა

ეს მართლაც ასე იქნებოდა, ძვირფასო ქალბატონო, ისეთივე უბედური რომ იყოთ, როგორი ბედნიერიც ბრძანდებით. მაგრამ მე ვატყობ, ვინც ზედმეტსა ჭამს, ისევე ავადმყოფობს, ვით იგი, ვინც შიმშილით კვდება. ნამდვილი ბედნიერება ზომიერებაა. მეტისმეტობა მალე ათეთრებს თმასა, ზომიერება კი ხანგრძლივად ცოცხლობს.

პორცია

კარგი ანდაზებია, თანაც ჩინებულად თქმული.

ნერი სა

უკეთესიც იქნებოდა, ყველა რომ ყურს უგდებდეს და ასე იქცეოდეს.

პორცია

მოქცევა რომ ისეთივე ადვილი იყოს, როგორც იმის ცოდნა, თუ როგორ ჯობია მოვიქცეთ, მაშინ სამლოცველოები ტაძრები გახდებოდნენ და ლატაკთა ქიხები დიდებულთა სასახლეებად გადაიქცეოდნენ. კარგი მოძღვარი ივია, ვინც საკუთარ ქადაგებას მისდევს. ჩემთვის კი უფრო ადვილია, ოც კაცს ვასწავლო ჭკუა, ვიდრე მე ვიყო ერთი იმ ოცთაგანი და საკუთარ დარიგებას მივსდიო. გონებას შეუძლია კანონები დააწესოს სისხლისათვის, მაგრამ დაუღებარი ბუნება ადამიანისა გადაახტება ზოლმე ყოველგვარ ცივ წესებს. სიჭაბუკე შმაგი კურდღელია, რომელიც გადაეცლება ხეიბარი კეთილგონიერების მიერ დაგებულ ხაფანგს. მაგრამ ეს მსჯელობა საქმროს როდი ამომარჩევენებს! ამორჩევას ვამბობ მე საბრალო! მე ხომ ნება არა მაქვს ამოვირჩიო, ვინცა მსურს, ან უარი ვუთხრა იმას, ვინც არ მომწონს. ასე ემორჩილება ცოცხალი ქალის სურვილი გარდაცვლილი მამის ნებას. განა მძიმე არ არის, ნერისა, რომ მე არც ამორჩევა შემიძლია და არც დაწუნება?!

ნერი სა

მამათქვენი ქველი ადამიანი ბრძანდებოდა, წმიდა ხალხს კი გარდაცვალების ჟამს კეთილი აზრები მოსდით ზოლმე. ახლაც ამ ამოცანას, მამათქვენმა ანდერძად რომ დაგვიტოვა, მხოლოდ ის ამოხსნის, სამი ყუთიდან — ოქროს, ვერცხლის და ტყვიის ყუთიდან — ის ამოირჩევს სწორად და, ამრიგად, თქვენი თავიც იმას დარჩება, ვინაც ჭეშმარიტად ეყვარებით. მაგრამ მიბრძანეთ, ადგემრათ კი რაიმე თბილი გრძნობა იმ მეფურთე ღირსების საქმროთა მიმართ, რომლებიც უკვე გეაზღუნენ?

პორცია

აბა, ჩამოპითვალე, ვინ იყვნენ. ჩამოთვლის დროს მე მათ ავწერ, შენ კი, ჩემი დახასიათების მიხედვით, თვითონ განსაჯე, ვის მიმართ იხრება ჩემი გულისთქმა.

ნერი სა

პირველად ნეაპოლელი პრინცი.

პორცია

ნამდვილი კვიცია! თავის ცხენზე ლაპარაკის მეტს არაფერს აკეთებს, და ყველაზე დიდ ნიჭადაც ის მიაჩნია, რომ თვითონვე შეუძლია დაჭედვა. ვშიშობ, ქალბატონმა იმისმა დედამ ვინმე მჭედელთან შესცოდა.

ნერი სა

პალატინის გრაფი?

პორცია

ერთთავად რომ იბღვირება! თითქოს უნდა თქვას: „თუ არ მოგწონვართ, გადაწყვიტეთ“. მხიარულ ამბებს ისე მოისმენს, ერთხელ არ გახსნის შუბლს. ახლავე რომ ასეთი უშნო ნაღველი შემოსწოლია ჭაბუკს, ვშიშობ, სიბერეში მტირალა ფილოსოფოსი გახდება. მირჩევნია, პირში ძვალგამოჩრილ მკვდარს მივთხოვდე, ვიდრე რომელიმე ამათგანს. ღმერთო, დამიფარე ორივესაგან!

ნერი სა

ფრანგ დიდებულზე რაღას იტყვი, მუსიე ლე ბონზე?

პორცია

რაკი ღმერთს გაუჩენია, დე ისიც კაცად ითვლებოდეს. მართალია, დაცინვა ცოდვაა, მაგრამ რას იზამ! ცხენი ნეაპოლელზე უკეთესი ჰყავს, დაბღვერითაც პალატინის გრაფზე საზარლად იბღვირება. ყველაფერია და არაფერი. შაშვმა რომ დაუსტივინოს, მაშინვე ხტუნვას მოჰყვება, მზად არის თავისსავე აჩრდილს ეჩხუბოს. შავას რომ გაეყვებო, თუნდა ოც კაცს მივთხოვდე, და რომ შემოძაგოს, მივეუტყვებდი, რადგან გაშმაგებითაც რომ ვუყვარდე, სიყვარულითვე ვერ ვუპასუხებ.

ნერი სა

ფალკონბრიჯზე რას იტყვი, ახალგაზრდა ინგლისელ ბარონზე?

პორცია

შენც ხომ იცი, მისთვის არაფერი მითქვამს: ერთმანეთისა არ გვესმის — არც ლათინური იცის, არც ფრანგული და არც იტალიური! შენ კი სასამართლოში შეგიძლია დაიფიცო, რომ მე ინგლისურისა არა გაეყვება რა. ნამდვილი წესიერი კაცის სურათია, მაგრამ, აბა, ვინ დაელაპარაკება მუნჯ სურათს? რა უცნაური ტანსაცმელი აქვს! კამზოლი ალბათ იტალიაში უყიდა, ფართო შარვალი — საფრანგეთში, ქული — გერმანიაში, ქცევის წესები კი — ყველგან?.

ნერი სა

იმის მეზობელი, შოტლანდიელი ლორდი?³

პორცია

ეტყობა, მეზობლური გულმონწყალეა აქვს, რადგან ინგლისელისაგან სილის გაწვნა ისეხა და თურმე აღუთქვა, როგორც მოვიხელთებ, მაშინვე გადავიხდით. მგონი, ფრანგი თავდებად დაუდგა და ხელი მოუწერა.

ნერისა

ახალგაზრდა გერმანელი როგორღა მოგწონთ, საქსონიის მთავრის ძმისწული?

პორცია

საშინელია დილით, როცა ფიზიქა, და კიდე უფრო საშინელი — ნაშუადღევს, როცა მთვრალია. თავის უკეთეს წუთებში ცოტა უარესია ადამიანზე, უარესში კი ცოტა უკეთესია მხეცზე. რაგინდ უბედურება დამატყდეს, იმედი მაქვს, მაგას თავს დავაღწევ.

ნერისა

მაგრამ მაინც რომ სცადოს და სწორად აირჩიოს ყუთი, ხოლო თქვენ უარი უთხრათ, ამით ხომ მამათქვენის ურვილსაც უარყოფთ.

პორცია

უფრო გულდამშვიდებული რომ ვიყოთ, იცი რასა იტხოვ: რაინის ღვინით სავსე ჭიქა დადე წაგების მომასწავებელ ყუთზე — მაშინ თუნდა ეშმაკიც იჯდეს შიგ, კარედან კი ეს მაცთუნებელი, მჯერა, მაინც იმ ყუთს ამირჩევს. იმ ლოთზე მითხოვებას, ნერისა, ყველაფერი პირჩევნია.

ნერისა

ამ ვაუბატონების შიში ნულარ გექნებათ, ქალბატონო. უკვე მაცნობეს თავიანთი გადაწყვეტილება, შინ ბრუნდებიან, და რაკი სხვა გზით არ შეიძლება თქვენი გულის ჰოვება, თუ არ მამათქვენის ნაანდერძევი სამი ყუთით, ჰეტად აღარ შეგაწუხებენ ამო თხოვნით.

პორცია

სიბილას ასაკსაც რომ მივადწიო<sup>4</sup>, დიანასავით უმჯობეს მოვკვდები, თუ მამაჩემის ანდერძი ვერავინ ამოხსნა და ვერ შემირთო. მიხარია, რომ ჩემი თავყანის-სცემლები ჭკვიანი ხალხი გამოდგა: მაგათში ერთიც არ ერევა, ვისთან გაშორებასაც გული დაუწყვიტოს. ღმერთმა მშვიდობის გზა მისცეთ.

ნერისა

ქალბატონო, არ გაგონდებთ — ერთხელ, მამათქვენის იცოცხლეშივე, ვიღაც განსწავლული ვენეციელი მხედარი რომ ჩამოვიდა მონტფერატის მარკიზთან ერთად?

პორცია

მახსოვს, როგორ არა! ბასანიო, მგონი ასე ეძახოდნენ.

ნერისა

დიახ, ქალბატონო. იმ მამაკაცთაგან, ვისთვისაც კი ჩემს სულელ თვალებს შეუხედავს, ყველაზე მეტად ის იყო მშვენიერი მუხლის ღირსი.

პორცია

კარგად მახსოვს იგი, ნერისა. მართლაც ღირსია ამ ქებისა.

(შემოდის მსახური.)

რა მოხდა, რა ამბავი მოგვიტანე?

მსახური

ოთხ უცხოელს თქვენი ნახვა სურს, ქალბატონო, უნდა გამოგეტხოვონ. მეხუთესაგან კი, მაროკოს პრინცისაგან, შიკრიკია. მისი ბატონი ამაღამ აქ იქნება.

პორცია

თუ მეხუთესაც ისეთივე მხიარული გულით მივიღებ, როგორც ამ ოთხს ვეშვიდობები, ძალიან გახარებული ვიქნები მისი მოსვლით. მაგრამ სული თუ წმინდანისა ექნა, ხოლო სახე ეშმაკისა — მაშინ ცოლად მითხოვებას ის მირჩევნია, სულიერ შვილად ამიყვანოს. წავიდეთ, ნერისა. შენ კი წინ გავვიძეხ.

ველარც კი ვასწრებთ მივუხუროთ ერთ საქმროს კარი, ახლა მეორე გამოჩნდება ჭიშკართან მღგარი.

(გაღიან.)

### სურათი მესამე

მოვლანი ენეციაში.

შემოდან ბასანიო და შაილოკი.

შაილოკი

სამი ათასი ღუკატი? აბა, ვნახოთ.

ბასანიო

დიახ, ბატონო, თანაც სამი თვით.

შაილოკი

სამი თვით? აბა, ვნახოთ...

ბასანიო

გადახდით, როგორც უკვე მოგახსენეთ, ანტონიო გადაგიხდით, ის იქნება თავდები.

შაილოკი

ანტონიოს თავდებობით? კეთილი.

ბ ა ს ა ნ ი ო

გამიწევთ დახმარებას? ხელს გამიმართავთ? პასუხს აღარ მეტყვიოთ?

შ ა ი ლ ო კ ი

სამი ათასი დუკატი, სამი თვის ვადით, ანტონიოს თავდებობით!

ბ ა ს ა ნ ი ო

თქვენი პასუხი!

შ ა ი ლ ო კ ი

ანტონიო კარგი კაცია.

ბ ა ს ა ნ ი ო

გაგიგონიათ კი ვინმესგან, ასე არ იყოს?

შ ა ი ლ ო კ ი

აჰ, არა, არა. კარგი კაცია-მეთქი რომ ვამბობ, იმის თქმა მინდა, უნდა გამიგოთ, რომ მდიდარია. მაგრამ ახლა მისი სიმდიდრე საალაბუდოდაა. ერთი ზომალდი ტრიპოლს გაგზავნა, მეორე - ინდოეთს; რიალტოზე! მითხრეს, მესამე ზომალდი მექსიკაში გაუგზავნია, მეოთხე - ინგლისს. დანარჩენი გემებიც ასე გაბნეულია სხვადასხვა ადგილას. მაგრამ გემები ბოლოს და ბოლოს ფიცრები არიან, მეზღვაურები კი - ადამიანები. არსებობენ აგრეთვე მიწის ვირთავები და ზღვის ვირთავები, მიწის ქურდები და ზღვის ქურდები... მეკობრეებს მოგახსენებთ. თან, საფრთხე წყლისაგან, ქარისაგან თუ კლდეებისაგან... მაგრამ მაინც შეძლებული კაცი ჰქვია... სამი ათასი დუკატი! მე მგონი, კი შეიძლება გამოართვას კაცმა თამასუქი.

ბ ა ს ა ნ ი ო

დარწმუნებული იყავით, რომ შეიძლება.

შ ა ი ლ ო კ ი

მეც ის მინდა, რომ დავრწმუნდე! მაგრამ რომ დავრწმუნდე, უნდა მოვიფიქრო. შეიძლება ანტონიოს მოველაპარაკო?

ბ ა ს ა ნ ი ო

იქნებ ჩვენთან ისადილოთ.

შ ა ი ლ ო კ ი

დიახ! რომ ღორის ხორცი დავყნოსო! იმ ჭურჭლიდან ვჭამო, თქვენმა წინასწარმეტყველმა ნაზარეველმა მოჯაღოებული ჭინკები რომ ჩაყარა! მე შეიძლება ვიყიდო თქვენგან, მოგყიდოთ თქვენ, ვილაპარაკო თქვენთან, გავიარო თქვენ გვერდით და ამნაირი რამ. მაგრამ არასო-

დეს არ ვჭამ, არც დავლეე და არც ვილოცებ თქვენთან ერთად. - ახალი რა არის რიალტოზე? ეს ვინ მოდის აქეთ?

(შემოდის ანტონიო.)

ბ ა ს ა ნ ი ო

აი, ბატონი ანტონიოც.

შ ა ი ლ ო კ ი (თავისთვის)

ენალაქეცა მეზვერესა არა ჰგავს, განა!<sup>3</sup> ქრისტიანია და იმიტომ მძულს იგი ასე. უფრო კი მისთვის, რომ მდაბლის უბრალოებით თანხას ასესხებს, სარგებელს კი სულაც არ იღებს, და მთელ ქალაქში ფულს ამითი აუფასურებს. ჩამავლებინა ერთი ხელში, მაშინ მე ვიცი, როგორ მოვიკლავ ძველი მტრობის ჟინსა და წყურვილს! ჩვენს წმინდა მოღმას ზიზლით უცქერს და იმ ადგილას, საცა ვაჭრები უფრო ხშირად იკრიბებიან, მაგინებს ზოლმე თვითონ მეცა, ჩემს ვაჭრობასაც, პატიოსან გზით მოპოვებულ სარფასაც ჩემსას, რასაც ვახშა და გამორჩომას ეძახის თურმე. წყეულიმც იყოს ჩემი რჯული, თუ მიუუტევეო.

ბ ა ს ა ნ ი ო

გესმის, შაილოკ?

შ ა ი ლ ო კ ი

ვანგარიშობ, თუ რა თანხა მაქვს ამჟამად ნაღდად; და ზეპირად რომ ვვარაუდობ, სამი ათასის შეგროვებას ვერ მოვახერხებ. ეს არაფერი! ჩემივე ტომის მდიდარ ებრაელს თობალსა ვთხოვ და ის მიმოვიც. მაგრამ დაიცა, რამდენი თვითო?... სალამს გიძღვნი, ჩემო ბატონო. ეს წუთი იყო, ვახსენებდით თქვენს ბრწყინვალეებას.

ანტონიო

წესად არა მაქვს არაოდეს, რომ ფული ვახშით ვისესხო ანდა გავასესხო. მაგრამ ამჟამად, მეგობარს ხელი რომ შეეუწყო და დავეხმარო, მზად ვარ, შაილოკ, დავარღვიო ეს ჩვეულება. რამდენი ფული დაგჭირდება, იცის მან უკვე?

შ ა ი ლ ო კ ი

ვიცი, სამ ათას დუკატსა მთხოვს.

ანტონიო

თანაც სამი თვით.

შ ა ი ლ ო კ ი

ეგ არ მახსოვდა... მაშ, სამი თვით, ასე თქვით, არა? კეთილი... თანაც თქვენ თავდებობთ. ჯერ მოვიფიქრო... ყური დამიგდეთ, მგონი ბრძანეთ, რომ ვახშით ფულსა არცა სესხულობთ არასოდეს და არც ასესხებთ.

ანტონიო

არა.

შაილოკი

როდესაც იაკობი თავისი ბიძის ლაბანის ფარას ამოვებდა, — ეს იაკობი რიცხვით მესამე მემკვიდრეა წმიდა აბრამის (ეს დედამისის სიბრძნის გამო) — დიახ, მესამე!...

ანტონიო

მერედა რაო?.. ნუთუ ისიც იღებდა ვახშსა!

შაილოკი

აჰ, არა, არა, არ იღებდა, ვახშს არ იღებდა. თქვენ რომ გულისხმობთ, იმნაირ ვახშს როდი იღებდა. მაგრამ მისმინეთ, იაკობმა რა გააკეთა: პირობა შეკრა ბიძამისთან, რომ გასამრჯელოდ ის ირგუნებდა მხოლოდ ჭრელ და ზოლიან ბატკნებს... შემოდგომაზე, როცა ცხვარი ერკემალს ეძებს, როდესაც დადგა ნერბვის ჟამი, ეშმაკმა მწყემსმა კანი ზოლებად გააცალა პატარა წნელებს, მერე კი ადგა და ნერბვის დროს აჭრელებული წნელები ცხვირწინ სათითაოდ დაურჭო ცხვრებსა, ცხვრებმაც ჭრელ-ჭრელი ბატკნები შეეს, დოლი რომ

დადგა,

და ის ბატკნები იაკობს ხვდა... ასე გამდიდრდა! იაკობი ხომ ზეცისაგან კურთხეულ იყო — თუ არ იპარავ, სარფაც ცისგან დალოცვილია.

ანტონიო

მაგრამ იაკობს საქმის ბოლო სათუოდ ჰქონდა, საალაბელოდ... და არც თავად გაუმარჯვნია, ვანგების ძალით, ზეცის ნებით გამდიდრდა იგი. მაგითი გინდა გაამართლო ვახშის აღება? ან შენი ოქრო ცხვრების ფარა ხომ არ გვონია?!

შაილოკი

რა მოგახსენოთ! თუმც ოქროსაც სწრაფად ვამრავლებ. მაგრამ მისმინეთ...

ანტონიო

ბასანიო ხომ დანახე — აგერ, წმინდა წიგნს, ავი სულიც როგორ იმოწმებს. წმინდანების ფიცს რომ მოჰყვება ბოროტი სული, ჯაწყებზე ღიმილგადაფენილ ავაზაკსა ჰკავს, ლამაზ ვაშლსა ჰკავს, გულგამომპალს. ეჰ, რა კონტაა ვარისეგლობა შესახებ!

შაილოკი

სამი ათასი!

ღიდი თანხაა!.. თორმეტ თვეში ამდენს მივიღებ... ახლა სამი თვეც თორმეტიდან... ეს რამდენს მომცემს?..

ანტონიო

აბა, შაილოკ, არ გვასესხებ, არ დაგვაკლებ?

შაილოკი

ჩემო ბატონო ანტონიო, ძალიან ხშირად ვაგილანძღვიართ რიალტოზე, ვახშს რად იღებო. მეც მხრებს ვიჩჩედი, მოთმინებით ვიტანდი მუდამ, მოთმინება ხომ ნიშანია ჩვენი მოდგმისა! თქვენ მე ურჯულოს მიწოდებდით, სისხლის მსმელ ქოფაკს,

და ჩემს ებრაულ ხიფთანზედაც კი მაფურთხებდით<sup>5</sup>. მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემივე ფულით ვსარგებლობ! ახლა, ხომ ხედავთ, თქვენც დაგჭირდათ ხელის გამართვა. ეს არაფერი! აქ მოდიხართ და მეუბნებით: „აბა, შაილოკ, ფული გვინდა“, — ამას თქვენ ამბობთ, თქვენ, ვინც წვერებში მაფურთხებდით, ვინც წიხლსა მკრავდით,

თითქოსდა ძალი გამოგეგლოთ თქვენი ეზოდან. თქვენვე მთხოვთ ფულსა, რა პასუხი მოგცეთ ამაზე? არ ვიპასუხოთ: „ძაღლს ვინ მისცა ამდენი ფული? ანდა ქოფაკი სამი ათასს როგორ გასესხებს?!“

თუ თავი მდაბლად დაგიხაროთ მონური კრძალვით, სუნთქვაშეკრულმა მორჩილებით წავიჩურჩულო და ასე გითხრათ: „კარგო ბატონო, ამ ოთხშაბათს თქვენ შემაფურთხეთ, ამბა და ამ დღეს წიხლი მკართ, იმის შემდეგ კი ძალი მიწოდეთ... და რაკი ეს პატივი დამდეთ, ამ ფულს, რასაც მთხოვთ, მე გასესხებთ სიამოვნებით!“

ანტონიო

მზადა ვარ, ახლაც იმგვარადვე გიწოდო ძაღლი, იმნაირადვე შეგაფურთხო, მიგაპანდურო. ფულს თუ მასესხებ, ეს იცოდე, მასესხე, მაგრამ ისე კი არა, ვით მეგობარს, ან კი სად თქმულა ფუჭსა ლითონში მეგობარმა მოგება ნახოს?<sup>6</sup> ისე მასესხე, როგორც შენს მტერს, რათა შეგეძლოს, ამასობაში თუ გავკოტრდი, დამშვიდებულმა დასჯა ითხოვო.

შაილოკი

დახე, დახე, როგორ, გაფიცხდა! მე მსურდა თქვენი მეგობრობა და სიყვარული, შეურაცხყოფის დაეიწყება მსურდა სავსებით, მინდოდა ხელი გამემართა და ვახში თქვენგან სულ მცირედიც კი არ ამელო, მაგრამ არ მისმენთ: კეთილი გულით გთავაზობთ მე.

ბასანიო

ეს სიკეთეა!

შაილოკი

რომ სიკეთეა, დაგიმტკიცებთ. ახლა წავიდეთ, ნოტარიუსთან შევადგინოთ ეს თამასუქი;

16. შექსპირი, ტ. II.

სალაღობოდ კი ამნაირი ჯარიმა დავთქვათ: თუ არ გადიხდით ამ და ამ დღეს, ამ და ამ ადგილს ამოდენ ფულსა ანუ თანხას, როგორც წესია, მაშინ მე თითქოს გირვანქა ზორცს თქვენი სხეულის რომელ ბრწყინვალე ნაწილსაც მსურს, იმას მოვაჭრი

ანტონიო

მე თანახმა ვარ, ზელს მოგიწერ და ვიტყვი კიდევ — ეს ებრაელი გულკეთილი გამხდარა-მეთქი.

ბასანიო

არა, ამნაირ თამასუქზე ზელს არ მოაწერ! ის მირჩევნია, არ ვიშოვო, უფულოდ დავრჩე.

ანტონიო

შენ ფიქრი ნუ გაქვს, გადახდას არ დაეგვიანებ: ორი თვის შემდეგ — ეს იქნება ერთი თვით ადრე, ვიდრემდე ვადა გავიდოდეს ჩვენი პირობის — ამაზე ცხრაჯერ მეტი ფულის მაქვს მოლოდინი.

შაილოკი

მამა აბრაამ, რა ხალხია ქრისტიანები! საკუთარივე გულქვაობა და სისასტიკე ასწავლის ამათ, სხვებსაც ეჭვით დაუწყონ ცქერა! თვითონ განსაჯეთ: დანიშნულ დღეს თუ ვერ გადიხდის, რა გამორჩომა უნდა დამრჩეს მე მაგ პირობით! კაცის ტანიდან ჩამოჭრილი გირვანქა ზორცი არცა ღირსებით და არც ფასით არ შეედრება საქონლის ზორცსა, ანუ ცხვრისას, თუნდა თხის ზორცსაც.

და ამ მეგობრულ დახმარებას მისთვის ვთავაზობ, თუ დამიჯერებთ, მისი გული მოვიგო მინდა; თუ სურს — ინებოს, თუ არ უნდა — მშვიდობით იყოს. ამ სიყვარულის სანაცვლოდ კი ნუ შეურაცხყოფთ.

ანტონიო

ღიახ, შაილოკ. მაგ პირობას მე ზელს მოვაწერ.

შაილოკი

მაშინ მიბრძანდით თქვენ ახლავე ნოტარიუსთან, ეს საზუმარო პირობა მას დააწერინეთ. მე კი წავალ და შეეგაროვებ დუკატებს თქვენთვის, ბარემ სახლშიაც შევიხედავ — უპატრონოდ მაქვს ბრიყვი მსახურის ანაბარად მიტოვებული. მეც მალე მოვალ.

ანტონიო

მაშ, იჩქარე, კარგო ურიავ. (შაილოკი გადის.)

რა კეთილია — ქრისტიანი გახდება, ალბათ.

ბასანიო

მე როდი მომწონს ტკბილი სიტყვა ნათქვამი ყალბად.

ანტონიო

წამო, წავიდეთ. ამის ფიქრმა ნუ შეგაშინა, ორი თვის შემდეგ ჩემს ხომალდებს მოველი შინა.

(გადაინ.)

### მოქმედება მეორე

#### სურათი პირველი

ბელმონტი. ოთახი პორციას სახლში.

შემოდინ მართკოს პრინცი სამი თუ ოთხი მხლებლით, პორცია, ნერისა და მათი მხლებლები.

მართკოს პრინცი

ნუ შემიძულვებთ, ქალბატონო, სიშავის გამო. თალხი სამოსი მე ჩამაცვა ჩემმა ძმობილმა და თანშეზრდილმა მეზობელმა — ბრწყინვალე მზემა. უხმეთ ყველაზე უნატიფესს ჩრდილოეთიდან, სადაცა ყინვას ვერც კი აღნობს თებოსის! ცეცხლი, თქვენი ტრფობისთვის კანს გავიჭრი, რომ დაგარწმუნეთ,

ვისი სისხლია უწითლესი — ჩემი თუ მისი? მე დამერწმუნეთ, ქალბატონო, რომ ჩემი სახე შიშის ზარს სცემდა უმამაცესთ და ტრფობას ვფიცავ; მთელს ჩვენს მხარეში განთქმულ ქალწულთ მოსწონდათ იგი.

არც ვინდომებდი ფერის შეცვლას, თუ არ იმისთვის, რომ მოვიპარო, დედოფალო, მე თქვენი გული.

პორცია

როდი მაქვს ნება, ჩემს გულისთქმას დავემორჩილო, ქალწულის თვალთა სასიამო არჩევანს გავჰყვე! ჩემი სვებედი ემყარება ამ გამოცანას და ის მიკრძალავს, ჩემთვის ქმარი ამოვირჩიო. მაგრამ მამაჩემს ამგვარად რომ არ შეეებოდა, არ შეეებულა ამ ანდერძით, რომლის ძალითაც

იმისი ცოლი უნდა გაეხდეს, ვინც მე დამიპყრობს აი, იმ ხერხით, რაც ვითხარით, მაშინ მერწმუნეთ, თქვენც ისე თეთრად დაგსახავდათ ჩემი გულისთქმა, როგორც სხვას ყველას, ვინც აქამდე მოსულა ჩემთან.

მ ა რ ო კ ო ს პ რ ი ნ ც ი

მადლობელი ვარ ამისთვისაც. გემუდარებით, მაჩვენეთ ბარემ ის ყუთები — მსურს, ბედი ვცადო. აი, ამ მახვილს გეფიცებით, რომელმაც ერთხელ სოფი<sup>3</sup> განგმირა და აგრეთვე სპარსელი პრინცი, რომელმაც სულთან სულეიმანს<sup>4</sup> სამგზისა სძლია, რომ უმრისხანეს შემოხედვას თვალს გაეუწორობ, ქვეყნად ყველაზე გაბედულ და მამაც გულს დაეძლეე, მუძუს წოვის დროს ძუ დათეს მოვგლეჯე პატარა ბელებს, სასაცილოდაც არ მეყოფა მშვიერი ლომი, ოღონდ მოვიგო თქვენი გული. მაგრამ ვაიმე! როცა ჰერკულეს და ლიზასი<sup>5</sup> ერთიმეორეს სიძლიერეში კამათლებით ეჯიბრებიან, უცებ მოხდება — სუსტი ხელი მარჯვედ მოიქნევა და დაამარცხებს ალკიდესა<sup>6</sup> მსახური თვისი<sup>7</sup>. იქნებ მეც ასე მომივიდეს, ბრმა ბედისწერამ არ მომცეს იგი, რასაც მისცემს უღირსსა ვინმეს, და მწუხარებით მომაკვდინოს!

პ ო რ ც ი ა

მაშ, გადაწყვიტეთ,

ამ არჩევანზე ან უარი უნდა თქვათ ახლავ, ან არჩევამდე დაიფიცოთ: თუ შეგეშლებათ და სწორად თუ ვერ ამოირჩევთ, მაშინ არასდროს ქორწინებაზე არც ერთ ქალთან კრიტისაც არ დასძრავთ. ახლა განსაჯეთ, როგორ გნებავთ.

მ ა რ ო კ ო ს პ რ ი ნ ც ი

მაშ, მიმიყვანეთ

ბარემ ჩემს ბედთან.

პ ო რ ც ი ა

ჯერ ტაძარში უნდა წავიდეთ. ნასადილევეს კი წამობრძანდით ბედის საცდელად.

მ ა რ ო კ ო ს პ რ ი ნ ც ი

კეთილო ბედო, რა მომავალს მიმზადებ, ნეტავ — კურთხეულს გამხდით თუ დაწყევლილს ყველაზე მეტად?! (გადაინ.)

### ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

ქუჩა ვენეციაში.

შემოდის ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

რალა თქმა უნდა, სინდისი ნებას მომცემს, გავიქცე ამ ურიას, ჩემს ბატონს. ეშმაკი გვერდში მიდგას და მაც-

თუნებს, მეუბნება: „გობო, ლანჩელოტ გობო, კარგო გობო, კარგო ლანჩელოტ გობო, ნებაზე მიუშვი შენი ფეხები და აქედან მოუსვი“. სინდისი მარიგებს: „არა, პატიოსანო ლანჩელოტ გობო, ფრთხილად იყავ, ფრთხილად, პატიოსანო ლანჩელოტ გობო“, ან, როგორც უკვე ვთქვი, „პატიოსანო ლანჩელოტ გობო, ნუ გაიქცევი, დაწიხლე გაქცევაზე ფიქრი“. უშამაცესი ეშმაკი მაინც მიბრძანებს, ავიბარგო: „მოუსვი“, — მეუბნება ეშმაკი, „აქაურობას გაშორდი“, — მეუბნება ეშმაკი. „ღვთის გულისათვის, გონს მოდი და გაბედე, გაიქცევი“, — მეუბნება ეშმაკი. მაგრამ სინდისი კისერზე ჩამოჰკიდებია ჩემს გულს და მეტად გონივრულად მარიგებს: „ლანჩელოტ, ჩემო პატიოსანო მეგობარო, შენ ხომ პატიოსანი კაცის შვილი ხარ“, ან უფრო სწორად, პატიოსანი ქალის შვილი, რადგან უნდა გამოვტყდე, მამაჩემი ცოტა უფრო სხვანაირი კაცი იყო, თავისებური გემოვნება ჰქონდა... ჰო, სინდისი მეუბნება: „ლანჩელოტ, ადგილიდან არ დაიძრე“. „დაიძერი“, — მეუბნება ეშმაკი, „არ დაიძრე“, — მეუბნება სინდისი. „სინდისო, — ვეუბნები მე, — შენ კარგად მირჩევ“. „ეშმაკო, — მე ვეუბნები, — შენი რჩევაც კეთილია“. თუ სინდისს მივყევო, მაშინ ამ ებრაელთან, ჩემს ბატონთან უნდა დავრჩე, რომელსაც, ღმერთო დამიფარე, ავი სული აქვს. თუ გავიქცევი, მაშინ ეშმაკის რჩევას უნდა გაეყვე, რომელიც, ნება მომეცით ასე ვთქვა. თვითონვეა ავი სული. კაცმა რომ თქვას. ეს ურია ეშმაკის განსახიერებაა. სინდისს გეფიცებით, ჩემი სინდისი კაი უსინდისო ვინმეა: მირჩევს, რომ ურიასთან დავრჩე. ეშმაკი უფრო მეგობრულ რჩევას მაძლევს. გავიქცევი. ეშმაკო. ჩემი ფეხები შენ გემსახურება. გავიქცევი.

(შემოდის მოხუცი გობო, კალათით ხელში.)

მ ო ხ უ ც ი გ ო ბ ო

ბატონო ყმაწვილო კაცო, ამას გთხოვთ, ბატონი ებრაელის გზა მასწავლოთ.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი (თავისთვის)

ო, ზეცავ! ეს ხომ ჩემი შემქმნელი მამაა. ისეთი ბრმაა, რომ სილით კი არა, ხრეშით თვალამოვსებულსა ჰგავს და ვერც კი მცნობს. მოდი, ერთი ოინი ვუყო!

მ ო ხ უ ც ი გ ო ბ ო

ყმაწვილო ვაჟბატონო, გთხოვთ მასწავლოთ, საითაა ბატონი ებრაელის გზა.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

პირველ მოსახვევში მარჯვნივ მოუხვიე, სწორედ პირველ მოსახვევში კი მარცხნივ, ოღონდ ესეც გახსოვდეს, ნამდვილ პირველ მოსახვევში სულაც ნუ მოუხვევ, პირდაპირ ურიის სახლში ჩაუხვიე.

მოხუცი გობო

ღმერთმანი, ძალიან ძნელი მისაგნები ყოფილა. იქნებ ეს მითხრათ, ერთი ვინმე ლანჩელოტი, რომელიც იმასთან ცხოვრობს, ცხოვრობს იმასთან თუ არა?

ლანჩელოტი

ახალგაზრდა ბატონ ლანჩელოტზე ხომ არ მეკითხებით? (თავისთვის.) ახლა ნახეთ, როგორ ვადინო ღვარი. ახალგაზრდა ბატონ ლანჩელოტზე მეკითხებით?

მოხუცი გობო

ბატონი კი არა, ვაჟბატონო, ღარიბი კაცის შვილი გახლავთ. მამამისი, თუმცა ამას თვითონ მე ვამბობ, ერთი პატროსანი, ღარიბი კაცია, მაგრამ ღვთის მაღლით ყოჩაღადაა.

ლანჩელოტი

მამამისი ვინც უნდა ის იყოს, ჩვენ ახალგაზრდა ბატონ ლანჩელოტზე ვლაპარაკობდით.

მოხუცი გობო

თქვენი ბრწყინვალეების ნაცნობი და ლანჩელოტი, ბატონო ჩემო.

ლანჩელოტი

Ergo<sup>2</sup>, მოხუცო კაცო, ახალგაზრდა ბატონ ლანჩელოტზე მეკითხებით?

მოხუცი გობო

ლანჩელოტზე, თუკი თქვენი ბრწყინვალეობა ამის ნებას მომცემს.

ლანჩელოტი

ესე იგი, ბატონ ლანჩელოტზე. ნულარას მკითხავთ ბატონ ლანჩელოტზე, მამი, რადგანაც ეს ახალგაზრდა ბატონი ნებით ბედისა და იღბლისა და ამგვარი თქმულეებისა, როგორც სამი და ბედისწერისა და მეცნიერების სხვა დარგები — უკვე გარდაიცვალა, ან, როგორც თქვენ იტყვოდით უფრო უბრალოდ, ზეცას გაფრინდა<sup>3</sup>.

მოხუცი გობო

ღმერთო, მიხსენი! ჩემი მოხუცებულობის ერთადერთი ბოძი, ჩემი ერთადერთი საყრდენი!

ლანჩელოტი

ღირეს რა მიგავს ნეტა, ან კეტს, ან ბოძს, ანუ საყრდენს... ვერა მცნობ, მამი?

მოხუცი გობო

ვკი, ჩემს მოსწრებას, ვერა გცნობთ, ვაჟბატონო. მაგრამ გემუდარებით, მითხარით, ჩემი შვილი, ღმერთმა უღუბნის, ცოცხალია თუ მკვდარი?

ლანჩელოტი

ნუთუ ვერა მცნობ, მამაჩემო?

მოხუცი გობო

ვკი, ბატონო, მე ხომ ბრუტიათ ვარ, ვერა გცნობთ.

ლანჩელოტი

კიდევ რომ გიჭირდეს თვალი, იქნებ მაინც ვერ გეცნე. კაცი ბრძენი უნდა იყო, საკუთარი შვილი რომ იცნო! მაშ ასე, მოხუცო კაცო, ახლავე მოგასსენებთ თქვენი შვილის ამბავს... ოღონდ ჯერ დამლოცეთ (დაიჩოქებს.) სიმართლემ სინათლე უნდა იხილოს, მკვლელობის დიდხანს დაფარვა არ შეიძლება — ვინ ვისი შვილია, ამის დაფარვა კი შეიძლება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს სიმართლე მაინც გამჟღავნდება.

მოხუცი გობო

წამოდექით, ბატონო. მჯერა, რომ თქვენ არა ხართ ჩემი ვაჟი ლანჩელოტი.

ლანჩელოტი

სისულელეს თავი დავანებოთ, დამლოცე, მე ლანჩელოტი ვარ: შენი ბიჭი ვიყავი, შენი ვაჟი ვარ და შენი ბავშვი ვიქნები მუდამ.

მოხუცი გობო

ვერასდიდებით ვერ ვიფიქრებდი, ჩემი ვაჟი თუ იქნებოდით.

ლანჩელოტი

მე თვითონ არ ვიცი, რა უნდა ვიფიქრო, მაგრამ გეუბნები, ლანჩელოტი ვარ, ურიის მსახური და მჯერა, რომ შენი ცოლი, მარჯერი, დედაა ჩემი.

მოხუცი გობო

ჩემს ცოლს მართლაც მარჯერი ჰქვია. და დავიფიქრებ, თუკი მართლა ლანჩელოტი ხარ, მაშინ შენ ჩემი სისხლი და ხორცი ყოფილხარ. ღმერთო დიდებულო! ეს რამოდენა წვერი გაგზრდია!<sup>4</sup> რაც შენ ნიკაბზე წვერი გაქვს, ამოდენა კუდიც კი არა აქვს ჩემი ფორნის ცხენს, დობინს.

ლანჩელოტი (წამოდგება)

ეტყობა, დობინს თმა შიგნით, მუცელში ეზრდება. კარგად მახსოვს, ბოლოს რომ ვნახე, ჩემს წვერზე გრძელი კუდი ჰქონდა.

მოხუცი გობო

ღმერთო, რარიგ გამოცვლილა! როგორ ეწყოებით ერთმანეთს შენ და შენი ბატონი? აგერ, ძღვენი მოვართვი. ა, როგორ ეწყოებით-მეთქი?

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

კარგად, რა უჭირს... მაგრამ, მე თუ მკითხავ, გადაეწყვიტე აქედან მოუუსვამანამ აქაურობას არ გავშორდები, ვერ მოვისვენებ. ჩემი ბატონი ნამდვილი ურიაა. მაგას უნდა მიაღწეო ქვენი?! ისა სჯობია, თოკი მიაღწეო. შიმშილითა მკლავს! თითებით დაითვლი ჩემს ნეკნებს. მამაჩემო, რა კარგი ქენი, რომ ჩამოხვედი. ეს ძღვენი ბატონ ბასანიოს მიაღწეო, ის კი მართლაც იშვიათ ლიერებას აძლევს მსახურებს! მისი მსახური თუ არ გავხდები, ცხრა მთას იქით გადავიკარგები. აი, იღბალი! ავერ არ მოდიხ! მაგას მიაღწეო, მამაჩემო! მართლაც ურია ვიყო, თუ მაგ ბებერ ურიას ვემსახურო მეტად.

(შემოდან ბასანიო, ლეონარდო და ერთი თუ ორი მხლებელი.)

ბ ა ს ა ნ ი ო

კეთილი! ოღონდ იჩქარე, ვახშამი ხუთი საათისთვის მაინც მზად უნდა იყოს. ეს წერილები დაგზავნე, ლიერები დაუკვეთე და გრაციანოს სთხოვე ჩემთან მოვიდეს.

(გადის მსახური.)

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

მაგას მიაღწეო, მამაჩემო.

მ ო ხ უ ც ი გ ო ბ ო

ღმერთმა დალოცოს თქვენი ბრწყინვალეობა.

ბ ა ს ა ნ ი ო

მადლობას გწირავ. ჩემთან ხომ არაფერი საქმე გაქვს?

მ ო ხ უ ც ი გ ო ბ ო

ავერ, ჩემი შვილი, ბატონო, ერთი ლატაკი ბიჭი!..

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

ლატაკი ბიჭი კი არა, ბატონო, მდიდარი ურიის მსახური, რომელსაც სურდა, ბატონო ჩემო, როგორც მამაჩემი მოგანსენებო...

მ ო ხ უ ც ი გ ო ბ ო

მაგას, როგორც იტყვიან ხოლმე, ბატონო, დიდი ქაღილი აქვს, რომ იმსახუროს...!

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

დაახ, ამ ამბის თავი და ბოლო ის გახლავთ, რომ მე რიას ვემსახურებო და, როგორც მამაჩემი გეტყვიო, ურვილი მაქვს...

მ ო ხ უ ც ი გ ო ბ ო

ეგა და მაგისი ბატონი, თქვენი დიდებულება ნუ გამიორისხდება, ერთმანეთის სული და გული გახლავთ...

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, საქმე ის არის, რომ ურია ცუდად მეპყრობა და მაიძულებს... მამაჩემი მოხუცი კაცია და იმედი მაქვს უფრო კარგად გაეიპანტავო?...

მ ო ხ უ ც ი გ ო ბ ო

ავერ შემწვარი მტრედი მაქვს, თქვენი დიდებულებისათვის მინდოდა მომერთმია. ჩემი თხოვნა კი ის გახლავთ, რომ...

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

ბევრი რომ არ ვგავაჭიანუროთ, ეს თხოვნა მე შემეხება, როგორც თქვენს დიდებულებას ეს პატიოსანი მოხუცი მოახსენებს, და თუმცა მოხუცი გახლავთ, იგი ღირსია და მამა ჩემი...

ბ ა ს ა ნ ი ო

ერთმა ილაპარაკოს. რა გინდათ?

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

თქვენთან სამსახური, ბატონო!

მ ო ხ უ ც ი გ ო ბ ო

სწორედ ეგ გახლავთ ჩვენი სათხოვარი.

ბ ა ს ა ნ ი ო

მე კარგად გიცნობ, შეგისრულებ კიდევ ამ თხოვნას, შენი ბატონი შენზე სწორედ დღეს მიაბობდა. მეც აგამადლებ, ამაღლება თუ ჰქვია ამას — მდიდარ ებრაელს დაანებო თავი და უცებ ასე ღარიბი ბატონისა მსახური გახდე.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

ძველი ანდაზა მშვენივრად გაგინაწილებიათ ჩემს ბატონ შაილოკსა და თქვენ: თქვენ ღვთის წყალობა გაქვთ, იმას კი — ფული.

ბ ა ს ა ნ ი ო

შენ მართალს ამბობ. აბა, მამაც თან წაიყვანე; გამოეთხოვე შენს ძველ ბატონს და ჩემთან მოდი.  
(მსახურებს.)

ამას ლიერეა შეურჩიეთ საუკეთესო, სხვებისას ჯობდეს. რაც ვითხარით, არ დაგავიწყდეთ.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

წავიდეთ, მამაჩემო. როგორ, სამსახურს ვერ ვიშოვი?! ენა არა მაქვს პირში? (ნებაზე იყურება.) აბა, მთელს იტალიაში თუ ექნება ვინმეს ამაზე ბედნიერი ხელის გული!

თუნდა ბიბლიაზე დავადებ და დავიფიცებ, რომ ბედნი-  
ერება მელის. ერთი შეხედვით, სიცოცხლის უბრალო ხა-  
ზიო! კაი უბრალო კია! ახლა ცოლების პატარა ხაზიც!  
თხუთმეტი ცოლი რა სათქმელია! თერთმეტი ქერივი და  
ცხრა ქალწული! ერთი კაცისთვის არა უშავს რა! სამ-  
ჯერ დახრჩობას გადავრჩები. აჰა, საშინელი განსაცდე-  
ლიც ბუმბულის ლოგინზე! აი, ნამდვილი გადარჩენა.  
თუკი ქალია ბედისწერა, კარგი მანდილოსანი ბრძანე-  
ბულა — ამდენი სიკეთე გამოიმეტა. წავიდეთ, მამი, თვა-  
ლის დახამხამებაში გამოვეთხოვები ურიას.

(გაღიან ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი და მ ო ხ უ ც ი გ ო ბ ო.)

ბ ა ს ა ნ ი ო

ყველაფერს თვალი მიადევნე, გთხოვ, ლეონარდო.  
როცა საყიდლებს იყიდი და სახლში მიიტან, მყისვე დაბრუნდი, რადგან ქეიფს ვუწყობ ამაღამ მე ჩემს გულითადს მეგობრებსა. აბა, გავარდი.

ლ ე ო ნ ა რ დ ო

თავს არ დავზოგავ...

(შემოდის გ რ ა ც ი ა ნ ო.)

გ რ ა ც ი ა ნ ო

სად ბრძანდება შენი ბატონი?

ლ ე ო ნ ა რ დ ო

ეგერ, იქ მიდის.

გ რ ა ც ი ა ნ ო

ბასანიო, ჩემო ბატონო!

ბ ა ს ა ნ ი ო

ო, გრაციანო!

გ რ ა ც ი ა ნ ო

ბასანიო, სათხოვარი მაქვს.

ბ ა ს ა ნ ი ო

ჰა, შეგისრულე შენი თხოვნა.

გ რ ა ც ი ა ნ ო

უარს ნუ მეტყვი, თან უნდა გამიყოლო ბელმონტს.

ბ ა ს ა ნ ი ო

კარგი, წამოდი, გრაციანო. ოღონდ მისმინე:  
ტლანქი ხარ, მკვახე, პირში მიხლა იცი სათქმელის...  
საბედნიეროდ, ეს ერთგვარად გიხდება კიდევ  
და ჩვენისთანა ხალხის თვალში არც საძრახია.  
მაგრამ, მერწმუნე, ვინც არ გიცნობს, ეს ყველაფერი  
მოეჩვენება თავზედობად. ახლა ამას გთხოვ,  
ცოტათი თავი შეიწუხო და თავდაჭერის  
ორიოდ ცივი ყლუპი ასვა შენს მგზნებარე სულს,

თორემ იცოდე, ამ სიტლანქით, სადაც მივდივართ,  
მეც დიდად მავნებ და იმედებს დამაკარგვინებ.

გ რ ა ც ი ა ნ ო

ჩემო ბატონო ბასანიო, მე მომისმინე:

თუ არ დავდინჯდე, არ დავმშვიდდე, არ ვისაუბრო  
დარბაისლურად, არ ვიგინო მხოლოდ ხანდახან,  
ლოცვანი ჯიბით არ ვატარო, არ დავირცხვინო...  
მაგრამ ეს რაა, უფრო მეტიც — თუ ლოცვის ყამსა  
თვალზე ქული არ მივიფარო და ამოთხვრით  
არა ვოქვა „ამინ“, არ დავიცვა ყოველი წესი  
მე ზრდილობისა, იმ განსწავლულ ჭაბუკის მსგავსად,  
ვინაც ბებუის მოსაწონად თავს სათნოდ აჩენს,  
მაშინ ნუროდეს ამის მეტად ნულარ მენდობი.

ბ ა ს ა ნ ი ო

მაგასაც ვნახავთ.

გ რ ა ც ი ა ნ ო

არა, არა... ამაღამინდელს  
არ მოგახსენებ. დღეის ქცევით ნუ შემეფასებ.

ბ ა ს ა ნ ი ო

ეს სამწუხაროც იქნებოდა. არა, პირიქით,  
დღეს იმასა გთხოვ, შეიმოსო უფრო თამამი  
მხიარულების სამოსითა. დღეს მეგობრები  
სწორედ იმიტომ მეწვევიან, რომ ვილალობო.  
აბა, ნახვამდის. მეც საქმეზე მიმეჩქარება.

გ რ ა ც ი ა ნ ო

ლორენცო უნდა ვნახო მეცა, აგრეთვე სხვებიც.  
ვანშშობისას კი შევიყრებით ყველანი შენთან.

(გაღის.)

### ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

ოთახი შაილოკის სახლში.

შემოდინა ჯ ე ს ი კ ა და ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი.

ჯ ე ს ი კ ა

მწყინს, მამაჩემს რომ ტოვებ ასე. ჩვენი სახლი ხომ  
ჯოჯოხეთია — შენ ეშმაკი ხარ მხიარული.  
მოწყენილობას მიფანტავდი ძალიან ხშირად.  
მაგრამ მშვიდობით. ჰა, დუკატი. იცი, ლანჩელოტ,  
ლორენცოს ნახავ ამაღამ შენს ახალ ბატონთან  
და ეს წერილი საიდუმლოდ მას გადაეცი.  
მშვიდობით იყავ. მეშინია, მამამ არ მნახოს  
ახლა აქ შენთან მოსაუბრე.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ცრემლები ლაპარაკო-  
ბენ ენის მაგივრად. უმშვენიერესო ურჯულთ, უტკბი-

ლესო ებრაელო, თუ ვინმე ქრისტიანმა ოინი არ გიყო და ხელში არ ჩაგიგდო, მაშინ დიდად მოეტყუებულ- ვარ. მაგრამ მშვიდობით, ამ სულელმა ცრემლებმა ლამის დაახრჩონ ჩემი ვაჟკაცური სული. მშვიდობით.

(გადის ლანჩელოტი.)

ჯესიკა

მშვიდობით, კარგო ლანჩელოტო... რა საშინელი ცოდვა არის მრცხვენოდეს იმის, რომ მამაჩემის ასული ვარ. მაგრამ სისხლით ვარ იმისი შვილი, ხასიათით სულაც არ ვგავარ. ზემო ლორენცო, თუკი მართლა არ გატეხ სიტყვას, ბოლოს მოვუღებ მე ამ ყოყმანს, მალე გავხვები მოსიყვარულე შენი ცოლი და ქრისტიანი.

(გადის.)

სურათი მეოთხე

ქუჩა.

შემოდან გრაციანო, ლორენცო, სალერიო და სოლანო.

ლორენცო

ჰო, ვახშობის დროს გავიპართ. მივიდეთ ჩემთან, გადავიცვათ და ერთ საათში უკან დავბრუნდეთ.

გრაციანო

ვერ მოვამზადებთ რიგიანად ჩვენ ვერაფერი.

სალერიო

ჭეჩირაღდნეთა დაბარებაც ვერ მოვასწარით.

სოლანო

აუ უჩვეულოდ არ მოვაწყვეთ, რას ემსგავსება! საშინ ისა სჯობს, მე თუ მკითხავთ, სულაც მოვეშვათ.

ლორენცო

ვერ მხოლოდ ოთხი საათია, ორი საათი ღრო წინ გვაქვს კიდევ.

(შემოდის ლანჩელოტი.)

ო, ლანჩელოტ, ახალს რას მეტყვი?

ლანჩელოტი

თუ ამის ვახსნას ინებებთ, ის გაცნობებთ ახალ აშბაკს.

(გადასცემს წერილს.)

ლორენცო

ო, გეფიცებით, მე ამ ხელს ვცნობ! ნატიფი ხელი! ის ამ ქალაღზე, ამ ბარათზე უფრო თეთრია.

გრაციანო

სამიჯნურო წიგნია, ვფიცავ.

ლანჩელოტი

ნებას მიბოძებთ, წავიდე?

ლორენცო

შენ საით?

ლანჩელოტი

მე, ჩემო ბატონო, ძველ ებრაელ ბატონთან მივდივარ, რათა ვახშობად მოვიწვიო ახალ ქრისტიან ბატონთან.

ლორენცო

ჰა, გამომართვი, (აძლევს ფულს.) ასე უთხარ ტურფა ჯესიკას, სიტყვას არ გატეხ. გაიხმე და ცალკე უთხარი.

(ლანჩელოტი გადის.)

არ მოვემზადოთ, ბატონებო, მასკარადისტვის? უკვე ვიშოვნე მეჩირაღდნეც!

სალერიო

ძალიან კარგი.

აბა, მივდივარ.

სოლანო

მეც მივდივარ.

ლორენცო

მაშ, რამდენიმე

საათის შემდეგ სახლში მოდით, გრაციანოსთან, და ორივენი იქ დაგხვდებით.

სალერიო

კეთილი, მოვალთ.

(გადიან.)

გრაციანო

ტურფა ჯესიკას წერილია?

ლორენცო

ო, გრაციანო,

უნდა გაგანდო ყველაფერი: იგი მარიგებს მამის სახლიდან როგორ უნდა წამოვიყვანო, თან მოაქვს თურმე ბლომად ოქრო, თვალმარგალიტი...

მწერს, რომ ფარემის ტანსაცმელიც მზადა ჰქონია. თუ ეს ურია, მამამისი, ზეცაში მოხვდა, იმის მშვენიერ ქალიშვილის წყალობით მხოლოდ; და ვერ გაბედავს ვერასოდეს უბედურებაც, გზა გადუღობოს, თუ არ მხოლოდ ერთი მიზეზით, რომ სისხლ-ხორცია ის ურჯულო ებრაელისა. წამო, წავიდეთ, წერილს გზაში გადაიკითხავ. ტურფა ჯესიკა მეჩირადღნე იქნება ჩემი.

(გაღიან.)

### ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

შაილოკის სახლის წინ.

შემოდან შაილოკი და ლანჩელოტი.

შაილოკი

კეთილი. შენვე დაინახავ, შენი თვალები თვით იქნებიან ამის მოწმე, მოხუც შაილოკს როგორ არა ჰგავს ბასანიო, ჰეი, ჯესიკა! ვედარ ჩახეთქავ ძველებურად, ჰეი, ჯესიკა! სულ რომ გემინა! სულ ხვრინავდი! ტანსაცმელს

ფლეთდი!

ჯესიკა-მეთქი, ჰე, ჯესიკა!

ლანჩელოტი

ჰეი, ჯესიკა,

შაილოკი

ვინ დაგავალა, რომ ეძახი! მე დაგავალე?

ლანჩელოტი

თქვენი დიდებულება ხშირად მტუქსავდა ხოლმე, უთქმელად და დაუვალეზლად არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ.

(შემოდის ჯესიკა.)

ჯესიკა

თქვენ მეძახოდით? რას მიბრძანებთ?

შაილოკი

ამაღამ ვახშმად

ვარ მიწვეული, ჰა, ჯესიკა, გასაღებები. მაგრამ რად უნდა დავეწვიო? სიყვარულით ხომ არ მიმიწვევდნენ?! მლიქვნელობენ! მაინც ვეწვევი და მძულვარებით ვჭამ ბედოვლათ ქრისტიანისას. მაგრამ, ჯესიკა, სახლს მიხედე, ჩემო გოგონი. ფეხები თითქოს უკან მრჩება, რაღაც ბოროტი უბედურება გმუქრება ჩემს მოსვენებას, წუხელ სიზმარში ფულით სავსე ტომრები ვნახე.

ლანჩელოტი

ბატონო, გემუდარებით, წამობრძანდით, ჩემი ახალ-გაზრდა ბატონი უგულოდ გელოდებათ.

შალოკი

მეც ასევე ველოდები.

ლანჩელოტი

შეთქმულება მოაწყვეს. იმას ვერ მოგახსენებთ, მას-კარადს ნახავთ-მეთქი; მაგრამ თუ ნახავთ, ტყუილ-უბრალოდ როდი დაბდენია ცხვირიდან სისხლი წარსულ შავ ორშაბათს, დილის ექვს საათზე. იმის წინ კი, ოთხი წლის წინათ, დიდ ოთხშაბათს, ნაშუადღევს.

შაილოკი

რაო, მასკარადს მართავენო! გესმის, ჯესიკა! კარგად ჩაკეტე ყველა კარი. როცა მოგესმას დაფდაფის ხმა და საზარელი ჭყვიპინ-წრიპინი კისერმოღრეცილ საყვირისა, ნუ აცოცდები ფანჯრებზე და თავს ნუ გამოყოფ ბრიყვ ქრისტიანთა გაპრიალებულ სიფათების საცქერლად მაშინ. კარგად დაკეტე ჩემი სახლის ყურები, გესმის? ფანჯრებზე ვამბობ. ჩემს მშვიდ სახლში არ შემოიჭრას ის ღრიანცელი და წრიპინი. წმიდა კვერთხს ვფიცავ იაკობისას, რომ არაფრად მეპრიანება ქეიფში წასვლა მე ამაღამ. მაინც მივდივარ. შენ წადი, ბიჭო, და მოდის-თქო, ასე უთხარი.

ლანჩელოტი

მივდივარ, მივდივარ ბატონო!.. თქვენ კი, ქალბატონო, მაინც გამოიხედეთ ფანჯარაში. ქრისტიანი გამოგივლის ძალე და მოხიბლავს ებრაელის თვალებს.

(გაღის.)

შაილოკი

აგარის ბრიყვმა ნაშეირმა, რაო რა ვითხრა?

ჯესიკა

მითხრა „მშვიდობით, ქალბატონო“, — სხვა არაფერი.

შაილოკი

მართლაც კეთილი მასხარაა, მაგრამ ბევრს ხეთქავს, მუშაობაში ლოკოკინას სიზნანტე მოსდგამს, და გარეული კატის მსგავსად მთელი დღე სძინავს. ამ ცრუბუილის საფუტკრეში, აბა, რა უნდა! მიტომ გავუშვი, მას დავუთმე, ვისაც ნეტავი იმ ნასესხები ქისის ჩქარა დაცლა უშველოს. აბა, ჯესიკა, სახლში შედი. იქნებ ახლავე დავბრუნდე კიდევ. როგორც ვითხარ, ისე მოიქეც, კარები მაგრად მიიკეტე. ხომ გავონდება:

კარგად შეინახავ — კარგადვე ნახავ,  
არ დაივიწყებს ამ ანდაზას მომჭირნე კაცი.

(გაღის.)

ჯესიკა

მშვიდობით იყავ. ბედისწერა თუ არ გამწირავს,  
შენ შეილს დაკარგავ სამუდამოდ და მე კი — მამას.

(გაღის.)

### ს უ რ ა თ ი მ ე მ ე ქ ვ ს ე

#### ი ქ ვ ე .

შემოდან გ რ ა ც ი ა ნ ო და ს ა ლ ე რ ი ო ნიღბებით.

კ რ ა ც ი ა ნ ო

ამ აივანქვეშ შეგვიპირა! მგონი ლორენცომ...

ს ა ლ ე რ ი ო

სეზვედრის დრო თითქმის გავიდა.

კ რ ა ც ი ა ნ ო

და მიკვირს, რატომ იგვიანებს, მიჯნურები ხომ  
აათს ყოველთვის წინ უსწრებენ.

ს ა ლ ე რ ი ო

ვენერას მტრედი  
თვერაც უფრო სწრაფადა ფრენს, როდესაც მიქრის  
ქიჯნურთა აღთქმის დასაბეჭდად, ვიდრემდე მაშინ,  
როს ხელი უნდა შეუშალოს აღთქმის დარღვევას.

კ რ ა ც ი ა ნ ო

ქუდამ ასეა: ქეიფიდან ვინ წამომდგარა  
იმავე მადით, რა მადითაც მიუჯდა სუფრას.  
ან ცხენს სად ნახავ, დაბრუნებულს იმავე სისწრაფით,  
ია გზნებითა და სისწრაფითაც იქით მიქროდა.  
ვენ დატკობბამდე მეტი გზნებით მივსდევთ სანადელს,  
დატკობბის შემდეგ კი ნაკლებად გვახარებს იგი.  
ან როგორა ჰგავს მფლანგავ ჭაბუკს ხომალდი კოხტა:  
დროშებით მორთულს და მოკაზმულს, გაიგზავრებისას  
როსკიპი ქარი ეხვევა და ესალბუნება!  
საგრამ როგორ :ჰგავს მე შეცთომილს? დაბრუნებისას,  
ავდრით ჩამტვრეულ გვერდებითა, აფრადაფლეთილს,  
იმავე როსკიპი ქარისაგან ნამტვრევს, დალუწილს...

ს ა ლ ე რ ი ო

ლორენცო მოდის. ახლა კმარა, მერე განვიკრძოთ.

(შემოდის ლ ო რ ე ნ ც ო .)

ლ ო რ ე ნ ც ო

ახ, მომიტევეთ, მეგობრებო, ეს მე კი არა,  
ჩემთა საქმეთა გალოდინეს ამდენი ხანი.  
როცა ინებებთ ქურდის როლი გაითამაშოთ  
საკუთარ ცოლთა მოსაპარად — მეც მალლოდინეთ.  
აქეთ მოიწით, აი სახლი ურია-მამის.  
ჰეი, შინ ვინ ხარ?

(ზემთ გამოჩნდება ბიჭის ტანსაცმელში გამოწყობილი  
ჯ ე ს ი კ ა .)

ჯ ე ს ი კ ა

თვითონ ვინ ხარ? თქვი, რომ დავრწმუნდე  
მე უფრო მტკიცედ, თორემ, ვფიცავ, ხმითაც ვიცანი.

ლ ო რ ე ნ ც ო

შენი სატრფო და ლორენცო ვარ.

ჯ ე ს ი კ ა

გცნობ, ლორენცო ხარ,  
ცხადია — სატრფოც, რადგან ასე ვინ მიყვარს ქვეყნად?  
მაგრამ შენ გარდა ვინ იცის, რომ მე შენ გეკუთვნი?!  
ლ ო რ ე ნ ც ო

ამის მოწმეა თვითონ ზეცა და შენი სული.

ჯ ე ს ი კ ა

აჰა, ეს ყუთი დაიჭირე. ღირს კიდევ შრომად.  
მიხარია, რომ ღამეა და ვერ დამინახავთ,  
დიდად მრცხვენია ამ გამოცვლილ ტანსაცმელისა.  
მაგრამ ხომ ბრმა სიყვარული! და ვისაც უყვარს,  
ის თავის ღამაზე ვიჟმაჟობას ველარა ხედავს;  
კუპიდონიც კი უსათუოდ გაწითლდებოდა,  
ასე ბიჭურად გადაცმული რომ დავენახე.

ლ ო რ ე ნ ც ო

ახლა ჩამოდი, მეჩირაღდნედ უნდა გამიმძღვე.

ჯ ე ს ი კ ა

როგორ, ღამპარი მივანათო ჩემსავე სირცხვილს?  
უიმისოდაც აშკარა და შესამჩნევია!  
მეჩირაღდნე ხომ ანათებს და ააშკარავებს,  
მე კი, პირიქით, ჩაბნელება უფრო მჭირდება.

ლ ო რ ე ნ ც ო

ჩემო სიცოცხლე, შენ ისედაც დაფარული ხარ  
ბიჭის მშვენიერ ტანსაცმელით. მაგრამ იჩქარე,  
ღამე ხელიდან საცა არის გაგვიფრინდება,  
ჩვენ კი იქ ვახშმად მიგველიან, ბასანიოსთან.

ჯ ე ს ი კ ა

კარებს დავკეტავ, ცოტა მეტი დუკატებითაც  
მოვოქროვები და საჩქაროდ ჩამოვალ თქვენთან.  
(გაღის.)

გ რ ა ც ი ა ნ ო

ქულს გეფიცები, წარმართია, ებრაელს არ ჰგავს.

ლ ო რ ე ნ ც ო

წყეული ვიყო, მთელი გულით თუ არ მიყვარდეს, რადგან ბრძენია, თუკი ძალმიძს განესაჯო იგი, მომზიბლავია, თუ ჩემს თვალებს დაეჯერებათ, ერთგული არის, როგორც თვითონ მან დამიმტკიცა. და რაკი ასე ბრძენიც არის, ერთგულიც, ტურფაც, სამარადჟამოდ მოვითავსე სულის სიღრმეში.

(შემოდის ჯ ე ს ი კ ა.)

უკვე მოხვედი? ბატონებო, აბა, წავიდეთ. იქ, მასკარაღზე, ნილბოსნები გველოდებიან.

(გადის ჯ ე ს ი კ ა ს ა და ს ა ლ ე რ ი ო ს თ ა ნ ერთად. შემოდის ა ნ ტ ო ნ ი ო.)

ა ნ ტ ო ნ ი ო

ვინ არის აქა?

გ რ ა ც ი ა ნ ო

ანტონიო ხომ არ ბრძანდებით?

ა ნ ტ ო ნ ი ო

სირცხვილი თქვენი, გრაციაანო! სხვები რა იქნენ? ცხრა საათია, მეგობრები იქ მიგველიან, ლხინი გადიდო, ამოიჭრა მარჯვე ნიავი და ბასანიოც საცა არის გაემგზავრება. ოცი კაცი კი გამოვგზავნე თქვენს საქმენელად.

გ რ ა ც ი ა ნ ო

ო, მიხარია. არც იქნება სხვა ნატვრა ჩემი, ვიდრე იქითკენ გამგზავრება ამაღამ გემით.

(გადიან.)

### ს უ რ ა თ ი მ ე შ ვ ი დ ე

ბელმონტი. ოთახი პორციას სახლში.

შემოდან პ ო რ ც ი ა, მ ა რ ო კ ო ს პ რ ი ნ ც ი და მ ხ ლ ე ბ ლ ე ბ ი.

პ ო რ ც ი ა

აბა, ფარდები გადასწიეთ. კეთილშობილ პრინცს გადაუხსენით ის ყუთები, გთხოვთ აირჩიოთ.

პ რ ი ნ ც ი

პირველი ყუთი ოქროსია და აწერია: „ვინც მე ამირჩევს, მას მიიღებს, რაიც ბევრსა სურს“. მეორე, ვერცხლის, კი გვპირდება: „ვინც მე ამირჩევს,

იმას მიიღებს, რასაც თვითონ დაიმსახურებს“. მესამე ტლანქი ტყვიისაა და ამგვარადვე, უხეშად, ტლანქად გვემუქრება: „ვინც მე ამირჩევს, რაც აბადია, ყველაფერი გასცეს, გაწიროს“. როგორღა მივხვდე, რომ არჩევნით მე გავიმარჯვე?

პ ო რ ც ი ა

ერთ-ერთ ამ ყუთში, პრინცო, ჩემი სურათი გახლავთ და თუ აირჩევთ სწორედ იმას – თქვენი გავხდები.

პ რ ი ნ ც ი

მაშ, რომელიმე, ღმერთო, უნდა შენ შთამაგონო! ჯერ წარწერები გადავიკითხო ისევე თავიდან. რაო, რას ამბობს ტყვიის ყუთი? „ვინც მე ამირჩევს, რაც აბადია, ყველაფერი გასცეს, გაწიროს“. გავცე? და რისთვის! ტყვიისათვის? მისთვის გავწირო? ეს ყუთი ასე გვემუქრება: ვინც კი გაწირავს ყველაფერს, რაც მას აბადია, ამას აკეთებს იმის იმედით, რომ უკეთეს სარფას მოეღოს. ქედს რად მოუხრის ოქროს ჭკუა ბრჭყვიალა ლითონს! მაშ, მეც არ გავცემ, არ გავწირავ ტყვიისთვის არას. ვერცხლი რას ამბობს, ფერმიხილი? „ვინც მე

ამირჩევს,

იმას მიიღებს, რასაც თვითონ დაიმსახურებს“. დაიმსახურებს! აქ კი შესდექ, მაროკოს პრინცო, და შენი თავი პირუთენელად აწონ-დაწონე, თუ შენს ღირსებას შეაფასებ შენივე ფასით, დაიმსახურებ საკმაოდ ბევრს. მაგრამ საკმაო იქნებ არ კმარა ამ მშვენიერ ქალბატონისთვის. თუმცა ეს შიში საკუთარი ღირსების გამო იქნებ ჩემივე ნებისყოფის სისუსტე იყოს. დავიმსახურებ! აი თვითონ ეს ქალბატონიც! წარმოშობით ხომ შესაფერი ვარ მე იმისი, თუნდა აღზრდილია, სიმდიდრით და მოხდენილობით. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად ღირსი ვარ მისი მე სიყვარულით. რა იქნება, რომ ამას იქით ბიჯი არ წარვსდგა და ეს ყუთი ამოვირჩიო? მოდი, ოქროზე ამოკვეთილ წარწერას ვნახავ: „ვინც მე ამირჩევს, მას მიიღებს, რაიც ბევრსა სურს“. ჰა, ქალბატონიც ხომ ეს არის! ის ხომ ყველას სურს! მოედინება ხალხი ქვეყნის ოთხი კუთხიდან, რათა ემთხვიოს საკურთხეველს, ამ ცოცხალ წმინდანს. უდაბნოები ჰირკანიის და არაბეთის თვალუწვედნელად გადაშლილი მინდორ-ველები ახლა მშვენიერ პორციასთვის თვალშესავლებად გამოიმგზავრებულ უფლისწულთა გზები გამზდარან. წყალთა სამეფო, რაც თავისი მედიდურებით ზეცას სახეშიც კი აფურთხებს, ასლა ზღუდედაც ვედარ ედება უცხოელებს, თითქოს მდინარე გაღმოეცუროთ, იჩქარიან პორციას ხილვას. ერთ-ერთი ყუთი ფარავს იმის ციურ ხატებას. ტყვიისაში ხომ არ იქნება? ასეთი ბილწი გაფიქრებაც კი ცოლვა არის. და თვითონ ტილოც,

რაზეც პორციას სახე არის გამოსახული,  
 არ შეიძლება ჩაეკეტოთ ამ ბნელ საფლავში.  
 ან იქნებ ვერცხლის ყუთში იყოს გამოკეტული!  
 ოქროზე ათჯერ უფრო იაფ ლითონის ყუთში?!  
 ო, მძიმე ცოდვა! მარგალიტი ასე ძვირფასი  
 ოქროზე მდარე ბუდეში ჯერ არცა დებულა.  
 ინგლისურ ფულზე ოქროთია ამოტვიფრული  
 წმინდა ხატება ანგელოზის!.. აქ ანგელოზი  
 გარეთ როდია იმ ინგლისურ მონეტასავით,  
 აქ იგი ოქროს საწოლში წევს, დაფარულია.  
 აბა, მომეცით გასაღები — მე ამ ყუთს ვირჩევ.

პორცია

ჰა, გასაღები, და ჩემს სახეს თუ მანდ იხილავთ,  
 თქვენი გავზღები.

(პრინცი გახსნის ოქროს ყუთს.)

პრინცი

ჯოჯოხეთი! ამას რას ვხედავ!  
 მერალი სიკვდილი! თვალის ნაცვლად თვალის ბუდეში  
 ეტრათი უდევს! აბა, ერთი გადავიკითხო.

„ოქროდ ნუ თვლი სუყველაფერს, რაცა ბრწყინავს,  
 ეს ბევრჯერ გაქვს გაგონილი, ალბათ, წინათ;  
 რამდენს თავი და სიცოცხლე გაუწირავს,  
 ჩემი ნახვა დასჯდომიათ ასე ძვირად!  
 ოქროს კუბო გაუხდიათ მატლებს ბინად.  
 ჭკუა მოგცა გულადობის შესაწონი,  
 ასეთ ჭაბუკს ბერიკაცის გქონდეს გონი,  
 მაშინ რაღა გექნებოდა დასალონი?!  
 გაგაცივდა ტრფობა... მეტად ვერც იპოვნი!“

რომ გაცივდა მეცა ვხედავ,  
 ფუჭი შრომა დამებედა!  
 მშვიდობით, სითბო! ყინულო, შენ მოვესალმები!  
 გემშვიდობებით თქვენც, პორცია, და გაგეცლებით!  
 გამოთხოვებას ვერ მოვეყვები, დამძიმდა გული,  
 დამშვიდობება ასეთია დამარცხებულის.

(გადის ამაღლის თანხლებით.)

პორცია

რა შევებასა ვერძნობ! გადასწიე ფარდები მალე,  
 ასეთი ბედი მაგისთანებს ნუმც მოეშალოთ!

(გადიან.)

ს უ რ ა თ ი მ ე რ ვ ე

ქუნა ვენეციაში.

შემოდიან სალერიო და სოლანიო.

სალერიო

რას ამბობ, კაცო, ბასანიო რომ გაემგზავრა,  
 მე თვითონ ვნახე, გრაციანოც თან გაჰყვა იმას.  
 მაგრამ ლორენცო, ღრმადა მჯერა, გემში არ ახლდა,

სოლანიო

იმ სალახანა ებრაელმა ღრიალ-ყვირილით  
 მთავარი ზეზე წამოავდო და ბასანიოს  
 გემის საძებრად წაიყვანა.

სალერიო

დააკვირდით,  
 ხომალდი უკვე მიცურავდა, როცა მივიდნენ.  
 მაგრამ იქ მთავარს მოახსენეს, რომ გონდოლაში  
 უნახავთ თურმე ლორენცო და მისი ჯესიკა;  
 ანტონიომაც დაარწმუნა მთავარი მაშინ,  
 რომ არ ყოფილან ბასანიოს გემში ისინი.

სოლანიო

ჯერ არ მსმენია მე ამგვარი აღვზნება კაცის,  
 ასეთი შმაგი, არეული და საოცარი,  
 როგორც ბლავილი ქუჩაში იმ ძაღლი ურიის:  
 „ო, ჩემი ქალი! ო, ფულები! ო, ჩემი ქალი!  
 ქრისტიანს გაჰყვა! ქრისტიანი ფულები ჩემი!  
 მართლმსაჯულებავ! სამართალო! ფულები! ქალი!  
 ერთი ტომარა დაბეჭდილი! ო, დაბეჭდილი  
 ორი ტომარა იმ ორმაგი დუკატებისა  
 თან გაიტაცა ჩემმა ქალმა! მარგალიტებიც!  
 ორი ქვა, ორი სანუკვარი, ძვირფასი თვალი  
 მომპარა ქალმა! სამართალო, ნახეთ ის გოგო!  
 ქვებიც წაიღო, დუკატებიც თან გაიყოლა!“

სალერიო

მიტომაც იყო, რომ ბიჭები ვენეციისა  
 მას მისძახოდნენ: შენი ქალი, ქვები, ფულები.

სოლანიო

გადაუნადოს ანტონიომ დროზე ის ვალი,  
 თორემ ამ ზარალს აზღვევინებს.

სალერიო

ჰო, მართლა, კაცო,  
 გუშინ ვიღაცა ფრანგი შემხვდა და იმან მითხრა,  
 რომ ვიწრო ზღვაში, ინგლისსა და საფრანგეთს შუა,  
 მდიდრული გემი ჩაძირულა, ვენეციური.  
 როგორც კი მითხრა, ანტონიო დამიდგა თვალწინ,  
 გულში ვინატრე, ნეტა მისი არ იყოს-მეთქი.

სოლანიო

კარგი იქნება, ანტონიოს თუ ეტყვი ამას,  
 ოღონდ ერთბაშად ნუ მიახლი, ელდა არ ეცეს.

სალერიო

უფრო კეთილ კაცს ვერ შეხვდები მთელ ქვეყანაზე,  
 მე თვითონ ვნახე, ბასანიოს როგორ გაშორდა,  
 იგი შეჰპირდა, დავაჩქარებ დაბრუნებასო,  
 ანტონიომ კი უპასუხა: „ნუ აჩქარდები,  
 ჩემ გამო საქმეს, ბასანიო, ნუ დააბრკოლებ,

ქვედად იყავი, დააცადე დროს მომწიფება;  
 აუ შეგაწუხებს თამასუქი ებრაელისა  
 და სატრფიალო ტკბილსა ფიქრებს ნუ შეგიშფოთებს.  
 ამხიარულე, სიყვარულზე იფიქრე მხოლოდ  
 და რაც საჭიროდ დაინახო — ის გააკეთე“.  
 ეს თქვა თუ არა, დაებერა ცრემლით თვალები,  
 ახე საჩქაროდ მორიდა, შემოტრიალდა,  
 ხურავს უკან ხელი გაიშვირა და საოცარის  
 ჰერმნობიარობით ბასანიოს ხელს მოუჭირა.  
 ასე გაშორდნენ მეგობრები ერთიმეორეს.

აოლანიო

აიციცხლევ მგონი მხოლოდ მისთვის უნდა უყვარდეს.  
 ახლა კი რას ვთხოვ, გამომყვი, მოვებნით სადმე,  
 აქნებ გავართოთ, გავუქარვოთ ეს მძიმე სევდა.

ალერიო

აჰო, წავიდეთ.

(გადაინ.)

### სურათი მეცხრე

ბელმონტი. ოთახი პორციას სახლში.

შემოდიან ნერიო და მსახური.

იერიო

ემუდარები, ჩქარა, ჩქარა. ფარდა გადასწი.  
 რაგონელმა პრინცმა უკვე შეჭფიცა კიდეც  
 და ახლა აქეთ ეშურება ბედის საცდელად.

შემოდიან პორცია და არაგონელი პრინცი  
 ამალით.)

ორცია

ეთილშობილო პრინცი, აი ეს სამი ყუთი.  
 აუ მას აირჩევთ, რომელშიაც ჩემს სახეს ნახავთ,  
 საშინვე ჯვარი დავიწეროთ დიდი ზეიმით,  
 და თუ დამარცხდით, ეს იცოდეთ, დაუყოვნებლივ  
 ენდა აქედან გაემგზავროთ, ჩემო ბატონო.

პრინცი

ე შევფიცე, რომ შევასრულო სამი პირობა:  
 ჯერ ერთი, არვის გავუშქდავნი, რა ყუთს ავირჩევ;  
 ეორე: თუ ვერ გავიმარჯვე, თუკი დავმარცხდი  
 და ის ყუთი ვერ ავირჩიე, ჩემს სიცოცხლეში  
 დარასოდეს ცოლის შერთვა აღარ ვიფიქრო;  
 კანასკნელიც: თუ არჩევნით მიმუხტლებს ბედი,  
 დაუყოვნებლივ მიგატოვოთ და გავემგზავრო.

პორცია

ჩემი უღირსი თავისათვის ბედის საცდელად  
 ვინც კი ჩამოდის, ყველამ უნდა მომცეს ეგ ალექმა.

პრინცი

მეც ყველაფერი შევასრულე. გულის ნუგეშად  
 და გულის შემწედ იყავ, ბედი! ოქრო, ვერცხლი და  
 უბრალო ტყვია! წავიკითხო: „ვინც მე ამირჩევს,  
 რაც აბაღია, ყველაფერი გასცეს, გასწიროს“.  
 ჯერ ტურფა გახდი, რომ გავცე და გავწირო შენთვის.  
 ოქროს ყუთი კი რაღას ამბობს? ჰა, ერთი ვნახო:  
 „ვინც მე ამირჩევს, მას მიიღებს, რაიც ბევრსა სურს“.  
 „ბევრსა სურს!“ ბევრში იქნებ რეგვენ ბრბოს

გულისხმობდეს,  
 რომელიც თვალის მოწონებას მიჰყვება მხოლოდ  
 და არც კი ნახავს, თუ შიგ რა დევს, გარედან ირჩევს;  
 მჭრინავის მსგავსად: კარგ ამინდში ბუდეს იშენებს  
 სახლის გარედან და განსაცდელს უხსნის გზას ფართოდ.  
 არ ამოვირჩევ სწორედ იმას, რაიც ბევრსა სურს,  
 რადგან არ მინდა, ვიხტუნაო მდაბიოებთან  
 და არც ის მინდა, უვიცი ბრბოს ფეხის ხმას აყვე-  
 აბა, ახლა კი შენთან, ვერცხლო, საუნჯის ბუდე.  
 კიდეც მაუწყე, რას გვპირდები: „ვინც მე ამირჩევს,  
 იმას მიიღებს, რასაც თვითონ დაიმსახურებს“.  
 მშვენიერად ამბობს. მართლაც და ბედს ვინ მოატყუებს!  
 დამსახურების ბეჭედი თუ არ აქვს დასმული,  
 პატივსაღები ვით გახდება! დეე უღირსი  
 ნუ მოინდომებს ღირსეულის სახე მიიღოს!  
 რა იქნებოდა, რომ წოდება, თანამდებობა,  
 ანუ ღირსება უსამართლოდ არ რიგდებოდეს,  
 და ყველამ თავის საკუთარი ღირსების ფასად  
 თვისივ დიდება დაიმკვიდროს! მაშინ რამდენი  
 შიშველ-ტიტველი ტანსაცმელით შეიმოსოდა,  
 ვინ იცის, რამდენ მბრძანებელსა თვით უბრძანებდნენ!  
 ანუ რაოდენ გლეხატუას გამოცხვრილავდით  
 ჩვენ ღირსეულთა საღ მარცვალებთან. რამდენ ღირსეულთ  
 აკვრეფდით დროის ნანგრევებსა და ბზეში ჩაფლულთ,  
 რათა ხელახლა ეელვართ. მაგრამ, ეჰ, კმარა.  
 ისევ არჩევანს დავუბრუნდე: „ვინც მე ამირჩევს,  
 იმას მიიღებს, რასაც თვითონ დაიმსახურებს“.  
 აჰა, მეც ვიღებ, რაც მეკუთვნის. მაშ, გასაღები  
 მომეცით ჩქარა, ჩემი ბედი აქ უნდა ვპოვო!

(აღებს ვერცხლის ყუთს.)

პორცია (თავისთვის)

დიდხანს კი დაშვრიო იმისათვის, რასაც მანჯ პოვებთ.

პრინცი

ამას რას ვხედავ! სახე ვილაღ ღრეჭია ბრიყვის  
 მე ქაღალდს მაწვდის. წავიკითხო! ო, ვით არ ჰგავხარ  
 პორციას სახეს! ვით არ ჰგავხარ იმედებს ჩემსას,  
 დამსახურებას ვით არ ჰგავხარ. „ვინც მე ამირჩევს,

იმას მიიღებს, რასაც თვითონ დამსახურებს“.  
მასხარას თავზე მეტი ვეღარ დავიმსახურე?!  
ეს მერგო ჯილდოდ? მეტი არ ღირს ჩემი ნაღვაწი?!

პორცია

დანაშაული და სასჯელი განსხვავებული  
ცნებანი გახლავთ.

პრინცი

აბა, ერთი გადავიკითხო!

(კითხულობს.)

„ცეცხლმა შეიდგზის გამომცადა.  
ნაცაღია ის გონება,  
ვინც კი შეიდგზის ბედი სცადა  
და შეიდჯერვე გაიმარჯვა.  
თუკი მხოლოდ აჩრდილს სდევდი,  
აჩრდილს თვისას მოგცემს ბედი.  
რამდენია ბრიყვი სრული,  
ჩემებრ ვერცხლით დაფარული.  
და გამოგვეს ცოლი თუნდა,  
ჰე ვარ შენი თავი მუდამ.  
აწ, გასწიო ჩვენგან უნდა“.

აუ არ წავალ ჩქარა ნებით,  
უფრო ბრიყვი გამოვჩნდები.  
ერთი ბრიყვი თავი მება,  
როცა თქვენთან მოველ შორით,  
აქ მეორეც გამომება  
და შინისკენ გავსწევ ორით.  
ჰჰ, მშვიდობით! ფიცით მარად  
ზავიმარხავ გულში ვარამს.

(გაღის თავისი ამალით.)

პორცია

ზრჩილიც ასევე სანთელს ეტრფის და იფერფლება.  
ჰოი, ეს ბრძენი უჭკუონი! ამორჩევის დროს  
ჯკუას ატანენ ძალასა და სიბრძნეს კარგავენ.

ნერისა

ძველი ანდაზა ამაზეა სწორედ ნათქვამი:  
ჩამოხრჩობას და ქორწინებას ბედი განაგებს.

პორცია

მოდი, ფარდები ჩამოუშვი, ჩემო ნერისა.

(შემოდის მსახური.)

მსახური

სადა ბრძანდება ქალბატონი?

პორცია

აქ ვარ, რა გინდა?

მსახური

ჭიშკარს მოადგა ახალგაზრდა ვენეციელი,  
რათა გაუწყოთ თვის ბატონის მოახლოება,  
რომლისაგანაც, ქალბატონო, იმან მოგართვათ  
თავაზიანი სალამის და მოკითხვის გარდა  
დიდად ძვირფასი საჩუქრები. მე არ მინახავს  
ჯერ სიყვარულის მოციქული ასეთი ტურფა.  
ასეთი ტკბილი აპრილის დღეც კი არ მოსულა  
უბრწყინვალესი ზაფხულისა მახარობელად,  
როგორც ეს მაცნე, ბატონისგან წარმოგზავნილი.

პორცია

კარგი, გაჩუმდი, გევედრები; იმდენსა ხარჯავ  
საუქმიდღეო ჯკუას ახლა მის შესაქებად,  
მე უკვე ვშიშობ, საცა არის გამოგიტყდები,  
რომ ნათესავი არის შენი. წამო, წავიდეთ,  
ჩემო ნერისა. ვეშურები ჩქარა ვიხილო  
სწრაფ კუპიდონის მოხდენილი, მარჯვე შიკრიკი.

ნერისა

ბასანიო ჰქმენ, ტრფობის ღმერთო, გემუდარები!

(გაღიან.)

### მოქმედება მესამე

სურათი პირველი

ქაჩა ვენეციაში.

შემოღიან სოლანო და სალერიო.

სოლანო

ახალს რას იტყვი, რა ამბავია რიალტოზე?

სალერიო

ისევ იმას გაიძახიან, ანტონიოს მდიდრულად დატ-  
ვირთული გემი ვიწრო ზღვაში დაიღუპაო. მგონი გულ-  
ვინსი ჰქვია იმ ადგილს, მეტისმეტად საბედისწერო და  
საშიში ადგილია, თურმე მრავალი ბუმბერაზი გემი მარ-  
ხია მის ფსკერზე. ასე ამბობენ, თუკი ჩემი ჭორიკანა  
ცნობა მართალი და სიტყვის პატრონი მანდილოსანი  
ბრძანდება.

სოლანიო

ნეტავი ისეთივე მატყუარა იქნებოდეს, კევით პირგა- მოტენილი მეზობლებს რომ არწმუნებს, მესამე ქმარსა ვგლოვობო. ეს კი მართალია, ბევრ წილადობილას რომ არ მოვყვე და ფართო შარაგზა ყბედობით არ დავხლართო, რომ კეთილი ანტონიო, პატიოსანი ანტონიო... ო, ნეტა კი მოვიგონებდე ისეთ სიტყვას, მის სახელს და- შვენილებოდეს!..

სალერიო

კარგია ერთი, დააბოლოვე.

სოლანიო

ჰა, რაო? რას ამბობ? ჰო, ბოლო ის გახლავთ, რომ ანტონიოს გემი დაღუპულა.

სალერიო

ნეტა ეს გემი იქნებოდეს მისი ბოლო და უკანასკნელი ზარალი!

სოლანიო

დავეშურები „ამინის“ თქმას, რომ ეშმაკმა არ და- მასწროს, თორემ ხედავ, აგერ გამოჩნდა ებრაელის სა- ხით მოსილი.

(შემოდის შაილოკი.)

რა ამბავია შაილოკ? ვაჭრებისას ახალს რას გვეტყვი?

შაილოკი

თქვენ იცით, და ყველაზე უკეთაც იცით, თქვენებრ არავინ იცის, თუ როგორ გამოიფრინდა ქალიშვილი.

სალერიო

ეს მართალია. მე იმ თერძსაც ვიცნობდი, რომელმაც ფრთები მიაკერა გასაფრენად.

სოლანიო

შაილოკმა კი ის იცოდა, რომ ჩიტი უკვე შებუმ- ბლული იყო, ხოლო ამ დროს ბარტყი მუდამ ტოვებს ხოლმე ბუდეს.

შაილოკი

სწორედ ამისთვის იქნება დაწყვეტილი.

სალერიო

რალა თქმა უნდა, თუკი ეშმაკი განსჯის მის საქმეს.

შაილოკი

ჩემი საკუთარი სისხლი და ხორცი უნდა ამიჯანყდეს!

სოლანიო

როგორ, ბებერო ლეშო, ამ ხნის კაცსაც გიჯანყდება?

შაილოკი

ჩემს ქალზე ვამბობ — ჩემი სისხლი და ხორცი-მეთქი.

სალერიო

შენსა და იმის ხორცს შორის უფრო დიდია განსხ- ვავება, ვიდრე კუპრსა და სპილოს ძვალს შორის, ხო- ლო შენსა და იმის სისხლს შორის კიდევ უფრო მეტი, ვიდრე წითელ ღვინოსა და რაინის ღვინოს შორის. ახ- ლა ეს გვეთხარი, ყური ხომ არ მოგიკრავს, ანტონიომ მართლა დაკარგა ზღვაზე რამე?

შაილოკი

აქაც მიმუხთლა ბედმა. გაკოტრებული! ბედოვლათი! რიალტოზე გამოჩენას ველარც კი ბედავს. მათხოვარი! როგორ გაბღენძილი დასეირნობდა ბაზარზე! ის ურჩე- ნია, თამასუქს ნუ დაივიწყებს! მევახშეს მეძაზოდა... ის ურჩევნია, თამასუქს ნუ დაივიწყებს! ქრისტიანული თა- ვაზით ასესხებდა ფულს... ის ურჩევნია, თამასუქს ნუ დაივიწყებს!

სალერიო

კიდევ რომ ვერ გადაგიხადოს დროზე, დარწმუნებუ- ლი ვარ, ხორცს არ მოსთხოვ. აბა, რა მოსახმარია მისი ხორცი.

შაილოკი

ანკესზე გამომადგება თევზის მისატყუებლად; თუ სხვას ვერაფერს დაანაყრებს, შურისძიებას ხომ მაინც გამოძლებს. მუდამ მლანძღავდა, ვაჭრობაში ნახევარი მი- ლიონი მაინც დამაკარგვინა. წაევაგებდი — იცინოდა, მოვი- გებდი — დამცინოდა, ჩემი რჯული ეზიზღებოდა, სავაჭ- რო გეგმებს მიწეწავდა. მეგობრებს ჩემზე გულს უცივებ- და, მტრებს აღაგზნებდა. მერე რატომ? იმიტომ, რომ ებ- რაელი ვარ! განა ებრაელს კი არა აქვს თვალები? განა ებრაელს კი არა აქვს ხელები? განა არა აქვს ყველა ორგანო, გრძნობები, მისწრაფებანი, ვნებათაღელვანი? განა იმავე საჭმელს არა ჭამს? იმავე იარაღით არ იჭ- რება? იმავე სნეულებით არ ხდება ავად? იმავე წამლით არ იკურნება? ზამთარ-ზაფხულშიაც ხომ ისევე სცივა და სცხელა, როგორც ქრისტიანს? თუ გვიჩხვლიტეთ, გა- ნა ჩვენ არ დაგვედინება სისხლი?! თუ გვილიტინეთ, განა ჩვენ არ გავვეცინება?! თუ მოგვწამლეთ, განა ჩვენ კი არ მოგვეკვებით?! და თუ შეურაცხვეყავით, ნუთუ არ უნდა ვიძიოთ შური?! თუკი ყველაფრით გვაგართ, ამითაც და- გემსგავსებით! ებრაელმა რომ ქრისტიანი შეურაცხყოს, რა იქნება იმისი სულგრძელობა? შურისძიება! და თუ ქრისტიანმა შეურაცხყო ებრაელი, იმისი მოთმინება რა- და უნდა იყოს ქრისტიანის წაბაძვით?! რა თქმა უნდა, შურისძიება! თქვენ ბოროტებას მასწავლით, მე კი ავას- რულებ, და თუ თქვენს დარიგებაზე უკეთ არ შევასრუ- ლე, ცუდად იქნება ჩემი საქმე.

(შემოდის ანტონიოს მსახურნი.)

ისახური

ბატონებო, ჩემი ბატონი ანტონიო შინა ბრძანდება და უკვენთან, ორივესთან საუბარს იწებებს.

ალერიო

ჩვენ კი აღმა-დადმა დავდივართ და მას დავებებთ.

ოლანო

ჰა, კიდევ ერთი ამის მოდგმისა. მესამეს ასეთს ვერ-ად შეხვდები, თუ თვითონ ეშმაკი არ იქცა ურიად.

(გაღიან სოლანო, სალერიო და მსახური.  
შემოდის თობალი.)

იაილოკი

რას მეტყვი, თობალ? გენუიდან რა ამბავია? ნახე ემი ქალი?

თობალი

ისეთ ადგილას ბევრგან მოხვდები, საცა მასზე ლაპა-რაკობდნენ, ნახვით კი ვერსად ვნახე.

იაილოკი

ხედავ? ხედავ? ხედავ? თუ ხედავ-მეთქი? აღმასი ჯაკარგე, ორი ათასი დუკატი მიმიცია ფრანკფურტში! ღლებდე წყევლა არ დასტყდომია ჩვენს მოდგმას, მე აქამ-ვე აროდეს მიგრძნია! ორი ათასი დუკატი მიმიცია! იხვა განძეულობაც, ძვირფასი მარგალიტები! ნეტა ჩემი ქალი მკვდარი დამიგდო ფეხებთან და ის მარგალიტები ურზე ეკიდოს! ნეტა ჩემს ფეხებთან კუბოში იწვეს და ის დუკატებიც შიგ ეწყოს! ჰა, არაფერი ამბავია იმ დუკატებისა? არაფერი? უკვე ისიც აღარ ვიცი, მის ძებნაში სამდენი დაიხარჯა. ხედავ, ზარალი ზარალზე! ქურდმა მდენი რამე გაიტაცა და ამდენი ფული ქურდის ძებ-ნაში წავიდა! მაინც ვერ ვიპოვე, შური მაინც ვერ ვიპოე! ებედურება ქვეყნად არ არსებობს — მარტო მე დამატყდა იავს! ჩემ გარდა ქვეყნად არავინ ოხრავს და კვნესის! კრემლები სხვაგან არსადა სდის — მხოლოდ მე ეღვრი კრემლებს!

თობალი

რათა, სხვასაც ხომ დაატყდა უბედურება! აკი ანტონიოს გენუაში...

იაილოკი

ჰა, რაო? რაო? უბედურებაო? უბედურებაო?

თობალი

ტრიპოლიდან მომავალი ხომალდი დაედუპა თურმე.

იაილოკი

მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს! მაგრამ მარ-ნალი კია? მართალია?

თობალი

მე თვითონ ველაპარაკე ერთ მეზღვაურს, იმ გემის მარცხს რომ გადაურჩა.

შაილოკი

მადლობელი ვარ, კეთილო თობალ. კარგი ამბავია! კარგი ამბავი! ჰა, რა თქვი? სადაო? გენუაშიო?

თობალი

შენს ქალს გენუაში ერთ ღამეს ოთხმოცი დუკატი დაუხარჯავს, ასე მითხრეს.

შაილოკი

ახლა კი ხანჯალი ჩამეცი! მაშ, ვერასოდეს ვეღარ ვი-ხილავ ჩემს ოქროებს? ერთ ღამეში ოთხმოცი დუკატი?! ოთხმოცი დუკატი!

თობალი

ეილაც მოვალეები ვნახე, ანტონიოსი, ჩემს სავაჭ-როში მოვიდნენ, ფიცულობენ, უსათუოდ გაკოტრდებო.

შაილოკი

ჰოი, როგორ გამახარე! გავაწამებ! გავამწარებ! რო-გორ გამახარე!

თობალი

ერთმა ბეჭედი მაჩვენა, შენს ქალს თურმე მაიმუნ-ზე გადასუცვლია.

შაილოკი

წყევლიმც იყოს! რას მაწამებ, თობალ! ის ხომ ჩე-მი ფირუზი იყო! უცოლო ვიყავი, ღიამ რომ მაჩუქა. მაიმუნების მთელი ტყე რომ მოეცათ, იმ ბეჭედს არ დავთმობდი!

თობალი

ანტონიოს საქმე კი ნამდვილად წასულია.

შაილოკი

ეს კი მართალია. ამას მართალს ამბობ. წადი, თო-ბალ, და ვეჭილი დამიჭირე, ორი კვირით ადრე მოელა-პარაკე. თუ ვადას გადააშორა, გულს ამოვაჭრი. ერთი, ვე-ნეციას გაშორდეს და მაშინ ჩემს ნებაზე ვივაჭრებ. წადი, თობალ, წადი და მერე სინაგოგაში შემხვდი. წადი, წა-დი, კეთილო თობალ. სინაგოგაში, თობალ!

(გაღიან.)

**სურათი მერე**

ბელმონტი. ოთახი პორციას სახლში.

შემოდინ ბასანიო, პორცია, გრაციანო, ნერისა და მხლებლები

პორცია

გემუდარებით, დაიცადოთ ერთი-ორი დღე და მხოლოდ შემდეგ სცადოთ ბედი. თუ აქ ღამარცხდით,

უნდა გამშორდეთ სამუდამოდ. გთხოვთ, დაიცადოთ. მე რაღაც გრძნობა მეუბნება, თითქოს არ მსურდეს თქვენი დაკარგვა. სიყვარული არ არის იგი, სიძულვილი კი, თქვენც ხომ იცით, ამას არ მირჩევს. და იმის შიშით, რომ კარგად ვერ გაგაგებინოთ (ქალწულებს ენა ხომ არა აქვთ — მათ ფიქრები აქვთ), მანამ ბედს ცდიდეთ, დაგტოვებდით ორიოდე თვით, რომელი ყუთი აირჩიოთ, მიგახვედრებდით... მაგრამ ამით ხომ ფიცს დავემობდი, ფიცს კი ვერ გავტეხ, და ამნაირად იქნებ ჩემი თავი არ გერგოთ. მაშინ ცოლვიან სინანულსაც მათქმევიანებდით, რომ ეს ფიცი არ დავარღვიე. წყეულიმც იყოს თქვენი თვალები! მათ გამემირეს, ორად გამკვეთეს. ჩემი არსების ნახევარი აწ თქვენ გეკუთვნით, მისი მეორე ნახევარიც ისევ თქვენია. ჩემია-მეთქი, მსურდა მეთქვა, და თუ ჩემია, ხომ თქვენც არის — თქვენ გეკუთვნით მთელი არსება. დროვ, საძაგელო, რად აღმართე ასეთი ზღუდე ნივთის პატრონსა და მისსავე უფლებას შორის?! დიახ, თქვენი ვარ, მაგრამ მაინც თქვენ არ გეკუთვნით. ბედსა სურს ასე და ამიტომ ჯოჯოხეთშიაც ის გაემგზავროს — მე რა მინდა! რა ბევრსა ვებედობ. ამითი მინდა გავიყვანო დრო შეუმჩნეველად და შევავიწოვო არჩევანი.

ბ ა ს ა ნ ი ო

არა, ავირჩევ, რადგან სიცოცხლე ჩემი ახლა წამება არის.

პ ო რ ც ი ა

რაო, წამება, ბასანიო? ჯობს გამომიტყედეთ, რა ღალატია არეული თქვენს სიყვარულში?

ბ ა ს ა ნ ი ო

ურწმუნოების საზარელი ღალატი გახლავთ, რაიც შიშსა მგერის და ხელს მიშლის დავტკებ მე ტრფობათ.

ისე კი უფრო მეტი ძმობა და მეგობრობა აქვს ცეცხლთან თოვლსა, ვიდრე გრძნობას ჩემსას ღალატთან.

პ ო რ ც ი ა

მე მაინც ვშიშობ, თქვენ ამბობთ, რომ მაწამებენო, ხოლო წამებთ კაცს ყველაფერს ათქმევიანებენ.

ბ ა ს ა ნ ი ო

ოლონდ აღმითქვით თქვენ სიცოცხლე და სიმათლეში გამოგიტყდებოთ.

პ ო რ ც ი ა

პა, გამოტყდით და თან იცოცხლეთ.

ბ ა ს ა ნ ი ო

თან გიყვარდე-თქო, ეს მითხარით. აი, გამოტყდით! რა ბედნიერი წამებაა, როს მწამებელი თვითვე გასწავლის, რა პასუხით დაიხსნა თავი. მაგრამ მიმიშვით იმ ყუთებთან, რომ ბედი ცვალო.

პ ო რ ც ი ა

მაშ, მიდით! ერთ-ერთ ამათგანში ვარ ჩაკეტილი, და თუ გიყვარვართ ჭეშმარიტად, მიბოვნით კიდევ. აბა, ნერისა, სხვებაც ვევერდზე მიდგნენ ყველანი. არჩევანის დროს, დე მუსიკის ხმები ისმოდეს. თუ დამარცხდება, გედის მსგავსად სიცოცხლე მისი მუსიკის ხმებში ჩაიფერფლოს. ეს შედარება რომ გამოვიდეს უფრო კარგი, ჩემი თვალები ცრემლებს წყაროდ გადიქცევა და გაეშლება წყლის სასიკვდილო სარეცელად. თუ გაიმარჯვა, მაშინ მუსიკის ტკბილი ჰანგი რაღა გახდება? მაშინ ის ჩანგი გადიქცევა საყვარის ხმებად, რის მოსმენაზეც ახლად ნაკურთხის ხელმწიფეს სვიანს მისი ერთგული ქვეშევრდომნი ესალმებიან; ის გადიქცევა განთიადის საამურ ჰანგად, რაიც დანიშნულს ტკბილ სიზმრიდან გამოაფხიზლებს და ჯვრისწერისკენ მოუწოდებს. აჰა, ის მიდის არანაკლები ღირსებითა და სიდიადით, და უფრო მეტი სიყვარულით, ვიდრე აღკიდეს ზღვის ურჩხულისკენ მიდიოდა, რათა დაეხსნა აბლაგლებული ტროელების ნაზი ქალწული! მსხვერპლი აქ მე ვარ — სხვები ჰგვანან დარდანელ ქალებს?

რომლებიც შიშით შეჭყურებენ ფერმიხდილები, რით დამთავრდება ეს გმირობა, მიდი, ჰერკულეს! შენ თუ იცოცხლებ, მეც ვიცოცხლებ, ბრძოლისთვის ცქერა შენ უფრო მეტად მგერის შიშს ახლა, ვიდრე შენ — ბრძოლა. (ვიდრე ბასანიო ყუთებს ათვალაიერებს, მოისმის სიმღერის ხმა.)

გ უ ნ დ ი

მითხარი, ტრფობა სად აღიგზნება, გულის სიდრმეში თუ თავში ჩნდება, რა კვებავს ნეტა, სად იბადება? მითხარ, მითხარი.

პირველად თვალში ჩაისახება, კვებავს შეხედვის საამო ვნება, მერე თვისსავე აკვანში კვდება. მაშ, მწუხრის ზარი ვთქვათ სიკვდილის წინ. აბა, დაეიწყეთ ერთად: ძინ, ძინ, ძინ.


ყ ვ ე ლ ა

ძინ, ძინ.

ბ ა ს ა ნ ი ო


როგორ არა ჰგავს გარეგნობა შინაარსს თვისას: ქვეყანას კვლავაც ატყუებენ სამკაულები.


















ასამართლოში — შეთითხნილი და ყალბი სიტყვით, აუკი ის არის წარმოთქმული მჭევრმეტყველურად, ესაძაგლეს და უბოროტეს საქმეს დაფარავ. ზელიციაშიც — შეცოდებას ბრძენი გონება იტარაფოს ტკბილი სიტყვებითა და უხეშ ცოდვას დაფარავს ტურფა სამკაულით. მანკიერებას ასე მიაძიებს ვერ შეხვდები, რომ არ შეეძლოს, ჰესახედავად სათნოების სახე მიიღოს. ან რამდენ ლაჩარს, გულდელაღსა ჩამოუშვია სირქუმ მარსის და ჰერკულესის მსგავსად წვერები; ჰიგ რომ ჩახედო — ღვიძლი რძისებერ გათეთრებით, საგრამ სახეზე მამაცობის მრისხანე ნიშანს ზოლოდ იმიტომ ატარებენ — სხვები დააფრთხონ. ჰეხეთ მშვენებას — ისიც წონით შეისყიდება! იუთუ ბუნების სასწაული არ არის ესა: საეროვანი და ნარნარი ყველაზე მეტად აწორედ ის არის, სამკაული ვისაც ამძიმებს. უონდა გველივით ჩაგრეხილი ოქროს ნაწნავი, კითომდაც ლამაზს კეკლუცად რომ ჩამოუშვია, და ქარიც ანცად უთამაშებს კულულებს თავზე, ხლიან ზშირად სულ სხვა თავის სამკაულია, კალდამაში წამოზრდილი სულ სხვა ქალაზე. ამკაული ჰვავს მრისხანე ზღვის მაცთურსა ნაპირს, არწყინვალე შარფს ჰვავს, ინდიელის მშვენების

მფარავს<sup>3</sup>,

ან, ერთი სიტყვით, ამგვარი ცრუ ჰუმშირითება ქერავი დროის ნიღაბია, რომლითაც ზშირად სახეს უგებენ თვითონ ბრძენთაც ამა ქვეყნისა. აწორედ ამიტომ შენთან არა მესაქმება რა, არჰყვიალა ოქროვ, შენ, მიდასის მძიმე საკვებო<sup>4</sup>. რც შენ მინდიხარ, უფერულო და ბიწიერი ჰუამავალო ხალხთა შორის. მაგრამ შენ კია, ებრალთ ტყვიავ, შენ, რომელიც უფრო გვაშინებ, კიდრე სიკეთეს გვაპირდებოდე, შენი სიმკრთალე ჰკბილ სიტყვებზედაც უფრო მეტად მიზიდავს ახლა. ჰე შენ აგირჩევ, სიხარული მარგუნე წილად.

სორცია (თავისთვის)

ველა სხვა გრძნობა რა უეცრად გაქრა, გამშორდა — ანწირულება და ფიქრები უიმედონი, ჰიშისა ყრჟოლა, ანუ ეჭვი მწვანეთვალება<sup>5</sup>. უ, სიყვარულო, შენ დამიცხენ აღფრთოვანება, ეს სიხარულის წვიმა უფრო წყნარად აპკურე და აღტყინებაც დაამშვიდე. მეტად ჰვარბად ვგრძნობ ჰენგან ბოძებულ ნეტარებას და მეშინია, კაითუ ველარ ავიტანო.

ასანიო

აბა, რას ვნაზავ!

(გახსნის ტყვიის ყუთს.)

ჰურფა პორციას ხატება! რამ გაცოცხლა, რა ღვთაებრივმა ნიჭმა ასე შთაბერა სული,

ნუთუ თვალები მოძრაობენ? თუ მეჩვენება? ჩემს თვალთა სრბოლას შეუერთდა იმათი მზერა და ასე მიტომ მომეჩვენა. ჰა, ბაგე-ტუჩი, ორად ნაპობი შაქრის სუნთქვით, ასეთ მეგობრებს ამგვარი ტკბილი ზღუდე უნდათ. აქ, თმაში, მხატვარს ობობასათვის მიუბაძავს: ოქროს ქსოვილი მოუქსოვია იმნაირად, რომ კაცის გული ფიცხლავ გაებმის, როგორც კოლო აბლაბუდაში. მაგრამ თვალები! ვით გადილო, როგორ შეხედა? ასე მგონია, მისი თვალი — თვალებს მოსჭრიდა, ორივე თვალში გაუქრობდა სინათლეს მხატვარს, ხოლო სურათი დარჩებოდა დაუხატავი...

და როგორც ქებით ფასს ვუკარგავ, ვარცხვენ ამ აჩრდილს.

ისე აჩრდილიც არცხვენს თავის ნამდვილ ორეულს.

ჰა, ეს ქალაღიც, გასაღები ჩემი ბედისა:

„რაკი არ ენდე მარტოღენ თვალებს, ეს მშვენიერი შენად ჩათვალე. აწ მადლობელი იყავი ბედის, სხვას ნუღარ ეძებ, ნუ ვინდა მეტი. შენს საყვარელთან მიიჭერ მალე და სატრფიალო კონცით დაფარე“.

ტკბილო გრაგნილო! ქალბატონო, ნება მიბოძეთ, პირობის კვალად მივიღო და შემოგთავაზოთ. (კონცის.) მეც იმ ფალაგნის მსგავსად ახლა, რომელიც ფიქრობს, რომ ხალხის თვალწინ დასცა უკვე თვისი მეტოქე, რომელსაც ესმის ტაშისცემა, შეძახილები „ა რეტდასხმული მანც ეჭვობს, თვალებს აცეცებს, უნდა დარწმუნდეს, ქების ტაში მას თუ ეკუთვნის, მეც, სამგზის ტურფა ქალბატონო, იმგვარადვე ვარ, თითქოს არ მჯერა, რასაც ვხედავ, ნამდვილი იყოს, ვიდრე თვითონ არ დამიმოწმებთ, დამიდასტურებთ.

ზორცია

ჩემო ბატონო ბასანიო, თქვენ ისეთს მხედავთ, სინამდვილეში როგორიც ვარ. მე ჩემდა თავად არ მაქვს ზვიადი სურვილები და არ ვინატრებ. გავხდე ამაზე უკეთესი, მაგრამ, ო, თქვენთვის ჩემი ღირსება მინდა ოცჯერ გავასამკვიცო, ათასჯერ მეტად მშვენიერი გავხდე, ვიდრე ვარ, ათიათასჯერ ვაიზარდოს სიმდიდრე ჩემი... ეს მხოლოდ მისთვის, რომ თქვენს თვალში მაღალი ვჩანდე.

მსურს ნიჭით, ეშხით, სიმდიდრითა და მეგობრებით მაღლა ვდგე ყოველ ანგარიშზე. მაგრამ მთლიანი და ერთიანი ჯამი ჩემი — არაფერია.

გამოუცდელი, უსწავლელი გოგო გახლავართ, მით ბედნიერი, რომ ჯერ კიდევ ხნიერი არ ვარ და სწავლა ისევ შემიძლია; ამაზე მეტად ბედნიერი ვარ კიდევ იმით, რომ მე ამქვეყნად ისე უნიჭო არ ვშობილვარ და სწავლა ძალმიძს.

მაგრამ ყველაზე ბედნიერი იმით გახლავართ, რომ ჩემს მორჩილ სულს თქვენ მოგანდობთ, მბრძანებელს ჩემსას, ჩემს ხელმწიფეს და მასწავლებელს. ამიერიდან ჩემი თავი და ყველაფერი, რაც მე შეკუთვნის, თქვენი გახდება, თქვენ გეკუთვნით. სულ ცოტა ხნის წინ ისევ მე ვიყავე მბრძანებელი ამ ტურფა კოშკის, ჩემთა მსახურთა ქალბატონი, თვით დედოფალი: მაგრამ უეცრად ჩემი სახლი, ყველა მსახურა, მეც მათთან ერთად, თქვენი გაუხდით, ჩემო ბატონო. ყველაფერს ჩემსას ამ ბეჭედთან ერთად გაბარებთ, და თუ ოღესმე მოიშორეთ, მიეცით ვისმე, ანუ დაკარგეთ – ეს იქნება მაუწყებელი, რომ სიყვარული გაგიცივდათ და მეც ამიტომ ნება მექნება, ბრალი დავდოთ ორგულობაში.

ბ ა ს ა ნ ი ო

თქვენ მე წამართვით, ქალბატონო, სიტყვის თქმის ძალა, ძარღვებში სისხლი მეტყველებს და ის გიპასუხებთ. ისეთნაირად ავირიე მთელი არსებით, ვით საყვარელი მეფის სიტყვის მოსმენის შემდეგ კმაყოფილებით აირევა ბრბო ქვეშევრდომთა: ვინ ლაპარაკობს, ვინ უსიტყვოდ დუღდუნებს ისე, და სიხარულის ღრიანცელში ვერას გაარჩევ, არეულია ერთმანეთში სუყველაფერი. მაგრამ თუ ამ თითს მოშორდება თქვენი ბეჭედი, მაშინ მოვშორდე მეც სიცოცხლეს; მაშინ პირდაპირ თქვით, მომკვდარა-თქო ბასანიო, აღარ ცოცხლობს-თქო.

ნ ე რ ი ს ა

აწ, ბატონო და ქალბატონო, ჩვენი ჯერბა, ჩვენი, აქ მდგომთა, ვისაც ნატურა ასე აგვიხდა, ვითხრათ: იხარეთ, ბატონებო, იმხიარულეთ.

გ რ ა ც ი ა ნ ო

ჩემო ბატონო ბასანიო და ქალბატონო, აგიხდეთ ყველა სიხარული, რასაც ისურვებთ! რადგანაც მჯერა, ჩემს სიხარულს თქვენ არ წამართმევთ. როს სატრფიალო აღთქმის გაცვლას თქვენ იხეიმებთ, ვთხოვთ, სწორედ მაშინ მეც მიბოძოთ ჯვრისწერი სება.

ბ ა ს ა ნ ი ო

სიამოვნებით, ოღონდ ცოლს თუ იპოვნი სადმე.

გ რ ა ც ი ა ნ ო

მადლობას გიძღვნი. ცალი უკვე თქვენ მაპოვნიეთ. ჩემი თვალებიც, თქვენია მსგავსად, მსწრაფლმხედველია, თქვენ ქალბატონი შეამჩნიეთ – მე კი მოახლე, თქვენ შეიყვარეთ – მეც აგრეთვე, რადგან ზოზინი, ჩემო ბატონო, არც მე მიყვარს, თქვენი არ იყოს. თქვენი სვე-ბედი ამ ყუთებში იმალებოდა,

ასევე ჩემიც, როგორც შემდეგ ეს გამოირკვა. პირდაპირ ოფლში გავიწურე ამ აშიკობით. სასიყვარულო აღთქმა-ფიცით სასა გამიშრა. ბოლოს კი, თუკი შეპირება მართლაც ბოლოა, აქ ერთი ტურფა მე სიყვარულს შემპირდა კიდევც, თუ ბედისწერა მის ქალბატონს თქვენ გარგუნებდათ.

პ ო რ ც ი ა

მართლა, ნერისა?

ნ ე რ ი ს ა

ღიახ, თუკი თქვენც დათანხმდებით.

ბ ა ს ა ნ ი ო

შენც ნამდვილად გსურს, გრაციანო?

გ რ ა ც ი ა ნ ო

ღიახ, ბატონო.

ბ ა ს ა ნ ი ო

თქვენი ჯვრისწერით დამშვენდება ჩვენი ქორწილი.

გ რ ა ც ი ა ნ ო

ჩვენ მაგათთან სანაძლეო დავდოთ – ათასი დუკატი: ვის ეყოლება პირველი ბიჭი.

ნ ე რ ი ს ა

როგორ, გავბედოთ?

გ რ ა ც ი ა ნ ო

თუ არ გაბედე, ვერ მოიგებ ისე ვერაფერს. მაგრამ შეხედე, ლორენცო და მისი ურჯულო! როგორ, ეს ჩემი მეგობარი სოლანია?

(შემოდინა ლ ო რ ე ნ ც ო, ჯ ე ს ი კ ა და ს ო ლ ა ნ ი ო.)

ბ ა ს ა ნ ი ო

აბა, მობრძანდით, ლორენცო, და თქვენც, სოლანო, ჩემი ახალი უფლებებით თუკი მაქვს ნება თქვენი მიღების; ჩემი თანამემამულენი და მეგობრები გთხოვთ მივიღოთ, ტურფა პორცია.

პ ო რ ც ი ა

მივესალმები მთელი გულით, ბატონო ჩემო.

ლ ო რ ე ნ ც ო

მადლობას გწირავთ, ქალბატონო. ჩემო ბატონო, არა მქონია განზრახული თქვენი აქ ნახვა, მაგრამ გზად შევხვდი სოლანიოს. აღარ მომეშვა, ჩემმა უარმა აღარ გაჭრა და მაიძულდა, გამოვყოლოდი.

სოლანიო

მართალია, ჩემო ბატონო, მიზეზიც მქონდა მე ამისა. თქვენ ანტონიო სალამს მოგიძღვებით. (გაღაცემს წერილს.)

ბასანიო

მანამ წერილს გადავიკითხავდე, თქვენვე მითხარით, როგორ არის, გული არ მითმენს.

სოლანიო

ავად არ გახლავთ, თუ იმის სულს არ ვიგულისხმებთ, მაგრამ თუკი სულს ვიგულისხმებთ, არც კარგადაა, რაც დაემართა, ეს წერილი გაგაგებინებთ.

(ბასანიო კითხულობს.)

გრაციანო

აბა, ნერისა, უცხოელი ქალი გაართე. ხელი მომეცე, სოლანიო. ვენეციაში რა ამბებია, მოგვიყვი. ჩვენი კეთილი მეფური ვაჭრის ანტონიოს ამბავს რას იტყვი? ვიცი, რომ ისიც გაიხარებს ამ გამარჯვებით: იაზონი ვართ — ოქროს ვერძი ჩავეიგდეთ ხელში.

სოლანიო

ნეტა ის ვერძი გაპოვინათ, მან რომ დაკარგა!

პორცია

რალაცა ცუდი ამბავია ალბათ წერილში და სახის ფერი ბასანიოს იმან წაართვა! ალბათ დაკარგა მეგობარი! სხვას რას შეეძლო ასე ძლიერის აღნაგობის ამგვარად შეცვლა? უარესი და უარესი?! ო, ბასანიო, მე ნახევარი ვარ ხომ შენი და მეც მეკუთვნის გაეინაწილო, ეს წერილი რასაც გაუწყებს.

ბასანიო

ტურფა პორცია, ამ წერილში რამოდენიმე იმაზე უფრო შემაზრუნენი სიტყვა წერია, რასაც ოდესმე შეუბღალავს თეთრი ქალადლი. როცა პირველად გამოგიტყდი მე სიყვარულში, პირდაპირ გითხარ: მთელი ჩემი ავლადიდება, მთელი სიმდიდრე მარღვებში მაქვს — აზნაური ვარ. მართალიცა ვთქვი, მაგრამ ნახე, ჩემო ძვირფასო, ხომ არაფერის მქონებელად გაგაცან თავი, მაინც მკვეხარა გამოვდექი — მე უნდა მეთქვა, მწირი ვარ-მეთქი უფრო, ვიდრე არაფრის მქონე. მე ჩემს მეგობარს დავეწინდე; ის მეგობარი თავის ბოროტ მტერს დაეწინდა ჩემი გულისთვის. ჰა, ეს წერილიც, ქალბატონო... თითქოს მეგობრის სხეული იყოს ეს ქალადლი ჩემთვის ამჟამად; ყოველი სიტყვა თითქოს იყოს პირდაღებული და სასიცოცხლო სისხლის მჩქეუი მძიმე ჭრილობა.

მაგრამ ნუთუ ეს მართალია, ჰა, სოლანიო? ნუთუ სუყველა დაიღუპა, ერთიც არ დარჩა? არც ტრიპოლიდან, მექსიკიდან, ლისაბონიდან, არც ინგლისიდან და აღარცა ინლოეთიდან ნუთუ არც ერთი მისი გემი არ გადაურჩა ვაჭართ რისხვასთან — მეჩეჩებთან შეხეტქებასა?

სოლანიო

არა, არც ერთი არ გადარჩა, ჩემო ბატონო, მაგრამ კიდევ რომ მიეტანა ახლა ის ფული, როგორც ეტყობა, ებრაელი არ აიღებდა. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი ვინმე — ადამიანის სახე ჰქონდეს და ასე ხარბად, ასე მზაკვრულად კი ცდილობდეს კაცის დაღუპვას. დღისით თუ ღამით მთავრის კარებს აღარ შორდებდა და ჩასჩინებდა: მე სამართალს თუ არ გამიჩენთ, ამით დაგმობთო სახელმწიფოს თავისუფლებას! ბევრი ურჩიეს თვით მთავარმა, ოცმა ვაჭარმა და სახელმწიფოს სხვა ცნობილმა დიდებულებამც, მაგრამ არ გაჭრა — ვერ გატეხეს ვერასდიდებით, თამასუქი, გაიძახის, ჩვენი პირობა!

ჯესიკა

ჯერ კიდევ ჩემს დროს, თავის თანამემამულეებს, თობლსა და ქუსს, გავიგონე, ასე შეჰოცა: მე ანტონიოს ხორცს ვარჩევდი, თუნდაც რომ მომცენ ოცჯერ იმაზე მეტი ფული, რაც მას მართებსო. თუ სამართალმა, კანონმა და ხელისუფლებამ არ დაუშალა, დამერწმუნეთ, ჩემო ბატონო, მაშინ საბრალეო ანტონიო დაღუპულია.

პორცია

შენი ძვირფასი მეგობარი არის ამ დღეში?

ბასანიო

უძვირფასესი მეგობარი, დიდად კეთილი, კეთილშობილი, ყველასათვის სიკეთის მდომი, ქველ საქმეთათვის დაუღალავ-დაუზარელი, რომელსაც ძველი რომაელის პატიოსნება უფრო გამოჰყვა, ვიდრე ვინმე სხვა იტალიელს.

პორცია

რამდენი მართებს ებრაელის?

ბასანიო

სამი ათასი

ვახშით ისესხა იმან ჩემთვის.

პორცია

მეტი არ მართებს?

ექვსი ათასი გადუხადე და თამასუქი გამოისყიდე; ორჯერ ექვსი თუნდ სამჯერ ექვსიც! ოღონდ ასეთმა მეგობარმა შენი გულისთვის

იმის ერთი ბეწვიც არ დაკარგოს!  
 ზლა ტაძარში გავეშუროთ ჯვარდასაწერად,  
 'ერე კი მყისვე მეგობართან, ვენეციისკენ!  
 რადგანაც ისე არ დაწვიბი პორციას გვერდით,  
 იუ მოსვენებით არ გაქვს სული. ოქროს წაიღებ  
 და უზადრუკ ვალს გადაიხდი — ოცჯერ მეტს მისცემ!  
 ეულს რომ გადაიხდი, მეგობარც წამოიყვანე.  
 ხე და ნერისა მოთმინებით დაგელოდებით,  
 ასე, ვით ქვრივი ქალწულები. ახლა გავსწიოთ!  
 ჯვრისწერის შემდეგ გაემგზავრო უნდა საჩქაროდ.  
 სეგობრებს მაინც მზიარული სახე უჩვენე;  
 სვირად გოყიდე და ძვირადვე მინდა მიყვარდე.  
 სავრამ წერილი წამიკითხე შენი მეგობრის.

ა ს ა ნ ი ო (კითხულობს)

ძვირფასო ბასანიო, ჩემი გემები დაიღუპნენ, მოვა-  
 ლეები შეუბრალებელნი გახდნენ, ცულ დღეში ჩავვარდი.  
 ქრალის თამასუქს ვადა გაუვიდა და რაკი ვალის გა-  
 დახდით ჩემი სიცოცხლეც უნდა მოისპოს, ჩემსა და შენს  
 ჰორის ყველაფერი გასწორებულა. ნეტა სიკვდილის  
 წინ მაინც მენახე! მაგრამ როგორც მოგესურვოს. თუკი  
 ხემი სიყვარული არ წამოგიყვანს, მაშინ დე წერილიც  
 იუ იქმს ამას.

ს ო რ ც ი ა

ყველაფერს თავი გაანებე და გაემგზავრე!

ა ს ა ნ ი ო

რაკი შენცა გსურს გავემგზავრო, გავეშურები,  
 დაბრუნებამდე არ გახდება არსად ლოგინი  
 ჰიზეზი ჩემი შეყვანების, არც შესვენება  
 არ დაგვაშორებს ჩვენ ერთმანეთს.

(გაღიან.)

### ს უ რ ა თ ი მ მ ს ა მ ე

ქუჩა ვენეციაში.

შემოდან შ ა ი ლ ო კ ი, ს ა ლ ე რ ი ო, ა ნ ტ ო ნ ი ო და  
 ცინის ღ ა რ ა ჯ ი.

შ ა ი ლ ო კ ი

უვალი გეჭიროს, შენ, დარაჯო, წყალობას ნუ მთხოვ,  
 ეს ბრიყვი განლაოთ, სარგებელს რომ არ იღებს სესხში.  
 უვალი გეჭიროს, არ გაგექცეს, კარგად უყურე.

ა ნ ტ ო ნ ი ო

მაგრამ, კეთილო შაილოკო, ყური დამიგდე!

შ ა ი ლ ო კ ი

მე ჩემს თამასუქს გავინაღდე. ნულარას მეტყვი.  
 დავიფიცე, რომ გავინაღლო ის თამასუქი.  
 'ძალს მეძახოდი უმიზეზოდ და თუ ძალდი ვარ,  
 ახლა ჩემს კბილებს მოერიდე. მთავარმა უნდა  
 მე სამართალი გამიჩინოს, მიკვირს პირდაპირ,  
 რა დარაჯი ხარ, საძაგელო, როგორ გაბრიყვდი,  
 მაგის თხოვნით გარეთ როგორ გამოიყვანე?!

ა ნ ტ ო ნ ი ო

გთხოვ, მომისმინო.

შ ა ი ლ ო კ ი

თამასუქი! რად მოვისმინო?!  
 მე ჩემს თამასუქს გავინაღდე! კრინტს ნულარა დაძრაე!  
 ქრისტინების მუდარაზე ნუ ფიქრობ მოვლზე,  
 თვალედაჭყეტილ სულელივით თავი დავხარო  
 და ამოხვრით დავმორჩილდე. უკან ნუ მომდექ!  
 აღარ მოვისმენ, რაც მეკუთვნის, იმას მოვიტხოვ!

(გაღის.)

ს ა ლ ე რ ი ო

არ შეეხვედრივარ კაცთა შორის ასეთ გულქვა და მიუკარებელ ქოფაკს არსად.

ა ნ ტ ო ნ ი ო

თავი ანებე,  
 მეტად აღარ ვთხოვ. სულ ერთია, ვერას გავხდები.  
 უნდა, რომ მომკლას და მიზეზიც ვიცი ამისი:  
 ძალიან ბევრჯერ მაგისაგან ატირებული  
 საბრალო ზალხი დამიხსნია. მიტომაც ვპულვარ.

ს ა ლ ე რ ი ო

მე კი ღრმად მჯერა, ანტონიო, ჩვენი მთავარი ნებას არ მისცემს, შეუსრულონ ავი განზრახვა.

ა ნ ტ ო ნ ი ო

მაგრამ დარღვევა კანონისა მთავარს არ ძალუძს,  
 რადგან უცხოელთ თუ წაართვა ის უფლებები,  
 რითაც ისინი სარგებლობენ ვენეციაში,  
 სახელს გაუტეხს სახელმწიფო სამართალს ამით.  
 ჩვენი ქალაქის ვაჭრობა და შემოსავალი  
 სხვადასხვა ერის ვაჭრებზეა დაფუძნებული.  
 ეჰ, ჩვენც დავეხსნათ. ამ ზარალმა და მწუხარებამ  
 გამასავათეს მე იმგვარად, რომ სახვალთოდ  
 გირვანქა ხორციც არ შემრჩება მოვალისათვის.  
 ახლა გავბრუნდეთ ჩვენ, დარაჯო, ღმერთმა ქნას ნეტავ,  
 ზვალ ბასანიო მოვიდოდეს და იხილავდეს,  
 თუ როგორ ვიხდი ვალს იმისას. მეტს არ ვინაღვლი.

(გაღიან.)



ნ ე რ ი ს ა

მაშ, თქვენი აზრით, მამაკაცთა სქესი გვჭირდება?

პ ო რ ც ი ა

უპ, რა კითხვაა! რომ ვისმენდეს ურცხვი მეჭორე, როგორ ვაიგებს ამ შენს სიტყვებს?! აბა, წავიდეთ. ჩემი განზრახვის მთელ შინაარსს ეტლში ვიამბობ, რომელიც უკვე ჩვენი ბაღის კარებთან გვიცდის. მაშ, გავეშუროთ, ოცი მილი გზა გვიდევს წინა.

(გაღიან.)

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ი

იქვე. ბაღი.

შემოდან ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი და ჯ ე ს ი კ ა.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

ღიას, ჭეშმარიტად. ხომ მოგეხსენებათ, მამის ცოდვა შეიღებს მოეკითხებაო. ამიტომაც გეუბნებით, რომ თქვენი შიში მაქვს. თქვენთან მე ყოველთვის გულახდილი ვიყავი და ახლაც ჩემს აზრებს მოგახსენებთ. ასე რომ, გამხიარულდით, დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ დაწყვეტილი და ღვთისაგან დაკობილი ბრძანდებით, ერთი იმედილა დარჩენილა, რომელმაც იქნებ გიშველოს რამე, მაგრამ ესეც ერთგვარი ნაბუშარა იმედი გახლავთ.

ჯ ე ს ი კ ა

რა იმედი, ბარემ მითხარი.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

კარგი, გეტყვით. მცირე იმედი შეიძლება გქონდეთ; მამათქვენს არ გაუჩენინხართ... ანუ ურის ქალი არა ხართ.

ჯ ე ს ი კ ა

ეს მართლაც რომ ნაბუშარა იმედი. მაშინ ხომ დედაჩემის ცოდვები მომეკითხება.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

ჰო, ესეც მართალია, მიტომაც ვშიშობ; მამის მხრივაც და დედის მხრივაც დაღუპულია თქვენი საქმე. სწორედ თქვენზე ითქმის: ვაის (მამათქვენს) გავეყარე და ვუის (დედათქვენს) შევეყარეო. მოკლედ, ასე ვიტყვით თუ ისე, თქვენი საქმე წასულია!

ჯ ე ს ი კ ა

ისევე ჩემი ქმარი თუ დამიხსნის, აკი ქრისტიანად მომაქცია.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

მით უარესი მისთვის. ქრისტიანები ისედაც ბევრნი ვიყავით, სწორედ იმდენი, რომ ერთად ცხოვრებით ერთმანეთს ხელს არ ეუშლიდით. ქრისტიანების გამრავლებით — ღორის ხორცის ფასი აიწვეს. ყველამ რომ ღორის ხორცის ჭამა დავიწყეთ, მალე ღორის ნაჭერი მამასისხლად გაიყიდება.

ჯ ე ს ი კ ა

ამას ჩემს ქმარს ვუამბობ, ლანჩელოტ. აჰა, ისიც მოდის.

(შემოდის ლ ო რ ე ნ ც ო.)

ლ ო რ ე ნ ც ო

მალე ეჭვიანი გავხდები, ასე თუ დაიწყე ჩემი ცოლის განმარტობა კუთხე-კუთხე.

ჯ ე ს ი კ ა

ტყუილად ეჭვიანობ, ლორენცო, ვერ შევეწვევთ ერთმანეთს. პირდაპირ გამიცხადა, რაკი ურის ქალი ხარ, ზეტა წყალობის თვალთ არ გიყურებსო. შენც არ ყოფილხარ სახელმწიფოს კარგი მოქალაქე, ქრისტიანად რომ მომაქციე. ამით თურმე ღორის ხორცის ფასი ასწიე.

ლ ო რ ე ნ ც ო

მე კიდევ გაცემ რამე პასუხს სახელმწიფოს, მაგრამ შენ როგორ დააღწევ თავს იმ ზანგი ქალის მუცელს. შენგან ფეხმძიმედაა.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

მით უკეთესი, გაზრდილა, დამძიმებულა. და კიდევ რომ პატიოსან ქალზე უფრო მსუბუქი იყოს, მაშინ მისი ფასი, რომ ვფიქრობდი, იმაზე უფრო მძიმე იქნება.

ლ ო რ ე ნ ც ო

ყველა სულელმა ზმებით არ დაიწყო ლაპარაკი?! მალე ალბათ ნამდვილი ჭკუამახვილობა — განუშება იქნება, ყბედობა კი თუთიყუშებს წააქეზებს. წადი, ბრიყვო, და უბრძანე სადილისათვის მოემზადონ.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

ისინი უკვე მზად გახლავთ, ბატონო: ყველას მშვიერი მუცელი აქვს.

ლ ო რ ე ნ ც ო

ღმერთო დიდებულო, ეს რა ჭკუამახვილი ყოფილა! მაშ, წადი და უბრძანე სადილი მოამზადონ.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

სადილი უკვე მზად გახლავთ. ისლა აკლია, უბრძანოთ სუფრა გაშალონ.

ლორენცო

მაშ, კარგი და კიდევ ბევრს გაშლით, ბატონო?

ლანჩელოტი

აჰ, არა, ბატონო, გაშლა რა ჩემი საქმეა.

ლორენცო

კიდევ იშოვა სალაყბო! იქნება გნებავთ, მთელი სიმდიდრე თქვენი გონებისა ერთ წამში სულ წინ გადმოვილაგოთ. ამას გთხოვ, უბრალო სიტყვები უბრალოდვე გაიგო: წადი შენს მეგობრებთან, უბრძანე სუფრა გაშალონ და ხორცი მოგვართვან. ჩვენც მალე მოვალთ.

ლანჩელოტი

სუფრას რაც შეეხება—მოგართმევენ, ბატონო; ხორცს რაც შეეხება—გაშლიან; ხოლო თქვენს მობრძანებას რაც შეეხება—ეს უკვე თქვენი გუნებისა და ხასიათის საქმეა.

(გაღის.)

ლორენცო

სად ხარ, ნათულო გონებაო? რა არ ილაყბა! თავი სავსე აქვს მოსწრებული სიტყვებით ბრიყვსა. ბევრს ვიცნობ უფრო მაღალ წრიდან გამოსულ სულელს, ამისებრ შემკულს; მოსწრებული სიტყვა თქვას ოღონდ და რას დაგიდევთ, არად აგდებს ჭეშმარიტებას. აბა, რას იტყვი, ჰა, ჯესიკა, ჩემო ძვირფასო, როგორღა მოგწონს ბასანიოს ცოლი, მითხარი.

ჯესიკა

ენას სად ძალუძს, რომ გამოთქვას იმისი ქება! ბასანიო კი უნდა იყოს მართლაც ნეტარი, რადგან ასეთი კურთხეული ცოლის პატრონი

ცის ნეტარებას აქ იგემებს, დედამიწაზე. და თუ მაინც ვერ დააფასა ეს ბედი იმან, მაშინ ნამდვილად არ იქნება ღირსი ზეცისა. ორი ღმერთი რომ შეეჯიბროს ცაში ერთმანეთს, სანამძლეოდ კი მათ ორივემ ორი მოკვდავი ქალი დასახოს და ერთ-ერთი პორცია იყოს, მაშინ მეორის ფასი უნდა რითმე გაზარდოს, რადგან ამ უხეშ და უბადრუკ დედამიწაზე ვერსად ვერავინ ვერ იპოვის ბადალს იმისას.

ლორენცო

შენც ისეთივე ღირსეული მეუღლე შეგხვდა, როგორც ის არის ბასანიოს ქებული ცოლი.

ჯესიკა

იქნებ მეც მკითხო, რა აზრის ვარ.

ლორენცო

გკითხავ, შენც გკითხავ.

ჯერ კი წავიდეთ, ვისადილოთ.

ჯესიკა

მე მსურს, შეგაქო,

ვიდრე სადილით დაემძიმდები.

ლორენცო

არა, გთხოვ, არა.

სჯობს სადილის დროს მესაუბრო, რაც არ უნდა თქვა, უფრო ადვილად მოვიწინებ საჭმელთან ერთად.

ჯესიკა

ძალიან კარგი, ასე იყოს.

(გაღიან.)

### მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო თ ს ე

#### ს უ რ ა თ ი ა ი რ ვ ე ლ ი

ვენეცია. სასამართლო.

შემოდან მთავარი, დიდებულიები, ანტონიო, ბასანიო, გრაციანო, სოლანიო, სალერიო და სხვები.

მთავარი

უკვე აქ არის ანტონიო?

ანტონიო

მე მზად გახლავართ.

მთავარი

დიდადა მწყინს, რომ ამ დღეში ხარ. გულქვა მტერს უნდა გასცე პასუხი, არამზადას, შეუბრალებელს. მის არაკაცურ ბუნებაში თანაგრძნობისა და შეწყალების წვეთს ვერ ნახავ.

ანტონიო

რომ ბევრს ეცადა თურმე თქვენი დიდებულება, მე უკვე მითხრეს,

რათა მოგვლათ მისი რისხვა და გულქვაობა. და რაკი ასე გაჯიუტდა, რაკი კანონი ჰურისგებისგან ვერ დამხსნის, რა გაეწყობა, აიციოფეს მისას შევაგებებ ჩემს მოთმინებას, აულის სიმშვიდით აღჭურვილი მე გადავიტან ამის საშინელ მრისხნაებას და მძვინვარებას.

ქთავარი

წადით, უბრძანეთ, ებრაელი აქ გამოცხადდეს.

ლოლანიო

ქარებთანა დგას. აჰა, მოდის, ჩემო ბატონო.

(შემოდის შაილოკი.)

ქთავარი

კვერდზე მიდექით, გზა მიეცით ჩვენთან წარმოსდგეს. ჰაილოკ, ყველა ასე ფიქრობს, მეც ასე ფიქრობ, რომ მოჩვენებით ავეულობას ინახავ მხოლოდ ხოლო წუთამდე, ხოლო შემდეგ, ჩვენ ვიმედოვნებთ, კვანძებ ნამდვილ შეწყალებას და ღრმა სინანულს, ჰენს გამოგონილ სიმკაცრეზე უფრო საკვირველს. ამის ნაცვლად, რომ საწყალ ვაჭარს დაჟინებით სთხოვ. სირობის ძალით, ჩამოიჭრას გირვანქა ხორცი, დამიანურ თანაგრძნობით აღტყინებული, ცწამს, არა მარტო მოუხსნი მას ამ მძიმე სასჯელს, რამედ თავნის ნახევარსაც კი აპატიებ. ცწამს, სიბრალულით გადახედავ ზარალს მაგისას, ზარალს, ახლახან იმის თავზე რისხვად დატეხილს, რომელიც მეფურ ვაჭარსაც კი დასცემდა ძირსა, რაც თანაგრძნობით აღძრავდა კაცს კაჟისგულიანს, ელმობელ თურქსაც, ანუ თათარს, დაბადებიდან ჰებრალებას და თანაგრძნობას დაუჩვენებელსა... ჰენს სანუგეშო პასუხს უუცდით, თქვი, ებრაელო.

ჰაილოკი

ჩემი პასუხი მოვახსენე თქვენს ბრწყინვალეობას. ჰენს წმინდა შაბათს მივეც აღთქმა, რომ თამასუქით, რაც მე მეკუთვნის, ის მივიღო. უარს თუ მეტყვით, მით ქალაქის სამართალს და თავისუფლებას იფათს უმზადებთ. ალბათ მკითხავთ, სამ ათას ღუკატს რად ვამჯობინებ მე გირვანქა ლეშის მიღებას?! რ გიპასუხებთ! გეტყვით: ასე მეპრიანება! ერთი მითხარით, ეს პასუხი არ არის განა? თქვათ, ვირთაგები გაჩნდა სახლში და მოსაწყამლად ჰსურს, გადვიხადო მე ღუკატი ათი ათასი. რას იტყვით, ნუთუ არც ესაა თქვენთვის პასუხი?! აოგი ვერ იტანს პირღია გოჭს, ზოგსაც აგიუებს ქატის დანახვა; ზოგს კი ცხვირწინ თუ ჩაუარა სესტირემ გუდით, შეკაგება არ ძალუძს შარდის, რადგან გუნება, ქალბატონი ჩვენი ვნებების,

ისე გვატარებს, როგორც თვითონ მოესურვება. რად ეჯავრება, ვთქვათ, ზოგიერთს პირღია გოჭი? ზოგსაც უვნებელ, სასარგებლო კატის დანახვა? ანუ მესამე გულდასტვირის ხმას რად ვერ იტანს? ამ გარდაუვალ სამარცხვინო ძალას ისინი ხომ უნებურად მორჩილებენ და დატანჯულნი სხვასაც ტანჯავენ, მეც ვერ გეტყვით, არ მინდა გითხრათ სხვა რამ მიზეზი, რად ვზარალობ ამ საქმეს ასე, თუ არ ზიზღი და მძულვარება ანტონიოსი. ახლა რას იტყვით, არც ესაა თქვენთვის პასუხი?

ბასანიო

არა, არ არის ეს პასუხი, უგულო კაცო. ამ შენს საშინელ სისასტიკეს ეს არ ამართლებს.

შაილოკი

ვალად არა მდევს, შენ გაამო ჩემი პასუხით.

ბასანიო

როგორ იქნება ყველა მოკლა, ვინც შენ არ იყვარს.

შაილოკი

ეს კი იქნება, გძულდეს, ვისიც მოკვლა არ ვინდა?

ბასანიო

არ უნდა აღძრას მძულვარება წყენამ მაშინვე.

შაილოკი

მაშ, გველს მიუშვებ, მეორედაც დაგებინოს, არა?

ანტონიო

გთხოვთ, რომ დაფიქრდეთ. ებრაელთან ღირს კი კამათი? ეს იგივეა, ზღვის ნაპირას გახვიდე კაცი და აზვირთებულ ტალღებს მკაცრად უბრძანო, დაცხრეს; ეს იგივეა, რომ დატუქსვა დაუწყო მგელსა, თუ რად აბლავლებს საბრალო ცხვარს თავის ბატკანზე, ან დაუშალო მთის მწვერვალზე ატყორცნილ ნაძვებს, ცით მოვარდნილის გრიგალისგან აზვირთებულთა, კენწერო ნაზად არხიონ და არ იშრიალონ.

უფრო ადვილად დასძლევ კვეყნად უმძიმეს საქმეს, ვიდრე მოალობო (არც რამეა ასე მაგარი) მის ებრაულ გულს. მეც ამიტომ ვემუდარებით, ჩამოუხსენით. ნულარ ცდილობთ მაგის მოღობას, ისა სჯობია, რომ საჩქაროდ, ახლავ, პირდაპირ მაგას წადილი შეუსრულონ – გამასამართლონ.

ბასანიო

სამი ათასის ნაცვლად აგერ ექვსი ათასს ვღებ.

შაილოკი

თითოეული ღუკატი მაგ ექვსი ათასში ექვსად გაიყოს და გადიქცეს თითო ღუკატად, მაინც არ მინდა შენი ფული. მე პირობა მსურს!

I თ ა ვ ა რ ი

ინ შეგიწყალებს, სიბრალული თავად არა გაქვს!

Y ა ი ლ ო კ ი

აღ მეშინოდეს სამართალის, თუ მართალი ვარ?  
იქვენ ზომ ნაყიდი მონები გყავთ და როგორც ვირებს,  
ით ჯორებს თქვენსას, ან თქვენს ძაღლებს, აკეთებინებთ  
ჰამამცირებელ მონურ საქმეს. ნებაც გაქვთ ამის,  
აღგან ისინი ნაყიდი გყავთ და ვითხრათ განა:  
თავისუფლეთ, მიათხოვეთ თქვენი ქალები!  
აღ აღვრევიებთ ტვირთის ქვეშ ოფლს? მათაც

თქვენსავით

აბილი ლოგინი გაუშალეთ, ანუ თქვენსავით  
აგულდაგულოდ შეკახმული კერძი მიართვიეთ!  
უქვენ მიპასუხებთ: ის მონები ჩვენ გვეკუთვნისო.  
ქუც მაგგვარივე პასუხს გაძლევთ: გირვანჭა ხორცი,  
რომელსაც ახლა მაგასა ვთხოვ, ძვირი დამიჯდა,  
იყიდა და მე მეკუთვნის, მსურს, კიდევ მქონდეს.  
ქარს თუ მეტყვეთ, მაშინ ფუი სამართალს თქვენსას!  
ქუნცივაში კანონს ძალა არა ჰქონია!  
ამართალს ვითხოვ, მიპასუხეთ, მომცემთ თუ არა?

I თ ა ვ ა რ ი

ე უფლება მაქვს, რომ გადავლო საქმის გარჩევა,  
იუკი დოქტორი ბელარიო, ვინაც ამ საქმის  
კადასაწყვეტად მოვიწვიე, დღეს ვერ ჩამოვა.

Y ო ლ ა ნ ი ო

ქემო ბატონო, გარეთ იცდის შიკრიკი მისი,  
აწორედ ახლახან ჩამოსული პადუიდანა,  
იან წერილი აქვს დოქტორისა.

I თ ა ვ ა რ ი

აქ მომიტანეთ

ისი წერილი და შიკრიკსაც მოუხმეთ ჩვენთან.

Y ა ს ა ნ ი ო

ბა, მხნედ, ჩემო ანტონიო! გამაგრდი, კაცო!  
ემალ მე მიცემ ამ ურიას ჩემს ხორცს, სისხლს და  
ძკლებს,  
იღრე შენ ჩემთვის ერთი წვეთი სისხლი დაღვარო.

Y ნ ტ ო ნ ი ო

ქუ უღლეური ცხვარი ვარ და სიკედილს მოველი;  
ჩიანი ხილი უფრო ადრე ეცემა მიწას,  
ღეე მეც ასე მომივიდეს. ეჰ, ბასანიო,  
უკეთესს ვერას გააკეთებ — ცოცხალი დარჩე  
და ჩემს საფლავზე დამიწერო ეპიტაფია.

(შემოდის კლერკის ტანსაცმლით შემოსილი ნ ე რ ი ს ა.)

I თ ა ვ ა რ ი

აჰ, ეს თქვენა ხართ პადუიდან, ბელარიოსგან?

ნ ე რ ი ს ა

დიახ ბატონო. ბელარიო სალამს მოგიძღვნით.

(გადასცემს წერილს.)

ბ ა ს ა ნ ი ო

ნეტავ რად ლესავ დანას ასე გულმოდგინებით!

შ ა ი ლ ო კ ი

იმაღ, რომ ხორცი ამოვაჭრა მოვალეს ჩემსას.

გ რ ა ც ი ა ნ ო

გულქვა ურიავ, ტყავზე კი არ — შენს სულზე ლესავ  
და არცა ლითონს, თუნდ ჯალათის ცულსაც არ ძაღუმს,  
სიმახვილეში შეეჯიბროს შენს ბოროტებას.  
ნუთუ ვედრება შენზე სულაც არ იმოქმედებს?!

შ ა ი ლ ო კ ი

ასეთ ვედრებას შენი ჭკუა ვერ მოიგონებს.

გ რ ა ც ი ა ნ ო

წყვეულმც იყავ, უღმობელო, ქოფაკო ძაღლო!  
შენი სიცოცხლე კიცხვა იყოს ქვეყნის სამართლის!  
ლაშის ერთიან შემირყიო რწმენა ღმერთისა  
და ლამისაა პითაგორას მცნება ვირწმუნო,  
რომ მხეცთა სულნი გადადიან კაცის სხეულში.  
შენი ქოფაკი სული ალბათ კაცთა ჟლეტისთვის  
ჩამოხრჩობილი მგლისგან მოდის. სახრჩობელადან  
გაფრინდებოდა მისი სული და დედაშენის  
ბინძურ საშოში შენს შობამდე შეგეყვებოდა.  
მართლაც და შენი სურვილები მგლური არ არის?!  
გაუმაძღარი, სისხლიანი და მტაცებლური!

შ ა ი ლ ო კ ი

საკუთარ ფილტვებს უფრო ავნებ შენ ამ ღრიალით,  
ვიდრე წაშლიდე თამასუქზე დაბეჭდილ ბეჭედს.  
ყმაწვილო კაცო, გაუფრთხილდი შენს მახვილ ჭკუას,  
თორემ სულ თავზე დაგენგრევა სამარადჟამოდ.  
მე აქ სამართალს ველოდები!

მ თ ა ვ ა რ ი

წერილით ვილაც

ჭაბუკსა გვიქვებს ბელარიო, ბრძენ მოსამართლეს.  
სად არის იგი?

ნ ე რ ი ს ა

აქვე გახლავთ, ჩემო ბატონო,  
თქვენს პასუხს უცდის. არ ინებებთ, მიიღოთ იგი?

მ თ ა ვ ა რ ი

სულით და გულით. აბა, წადით სამი ან ოთხი  
და მოკრძალებით მოიწვიეთ. იმის მოსვლამდე  
თქვენ მოუსმინეთ ბელარიოს მოწერილ ბარათს.

კ ლ ე რ კ ი (კითხულობს)

უნდა მოვახსენო თქვენს დიდებულებას, რომ თქვენ-  
მა წერილმა მძიმე ავადმყოფს მომისწრო. მაგრამ შიკ-  
რიკი რომ მოვიდა, ბედზე ჩემთან გახლდათ ერთი რო-  
მაელი ვეჟილი ბალთაზარი. მას გავაცანი ანტონიოსა და  
ებრაელის დავის შინაარსი; ბევრი წიგნი გადავქექეთ, ჩე-  
მი შეხედულება ამ საკითხზე მან უკვე იცის, ამას ემა-  
ტება მისი საკუთარი ცოდნა, რომლის სიდიადეს საკმაოდ  
ვერ შევაქებ. ჩემი დაუინებითი თხოვნის შემდეგ თანახ-  
მა გახდა ჩემ მაგივრად წამოსულიყო და ამგვარად  
თქვენი დიდებულების თხოვნა შეესრულებინა. ჩემი  
თხოვნაა, სიყმაწვილე ხელს ნუ შეუშლის მის ღირსეუ-  
ლად მიღებასა და დაფასებას, რადგან ჯერ არ მინახავს  
ასე ახალგაზრდა ტანს ასეთი მოხუცი თავი ბმოდეს.  
თქვენი კეთილმოწყალე გულისათვის მომინდვია იგი,  
ხოლო ამ საქმეში მისი გამოცდა თავისთავად ყველაზე  
უკეთესი ქება იქნება“.

მ თ ა ვ ა რ ი

ხომ მოისმინეთ, რასაცა გეწერს ჩვენ ბელარიო?  
აჰა, მგონი თვით ვეჟილია.

(შემოდის გადამხული პ ო რ ც ი ა.)

ხელი მიბოძეთ!

ბელარიოსგან ბრძანდებით თქვენ?

პ ო რ ც ი ა

ღიახ, ბატონო.

მ თ ა ვ ა რ ი

მოგესალმებით. გთხოვთ, დაბრძანდეთ, თქვენ უკვე  
დავის არსს, რამაც სასამართლო შეყარა დღეს აქ?  
ი ც ნ ო ბ თ

პ ო რ ც ი ა

ღიახ, ამ საქმეს კარგად ვიცნობ. ოღონდ მიბრძანეთ,  
რომელი არის ის ვაჭარი და ებრაელი?

მ თ ა ვ ა რ ი

წინ წამოდექით, ანტონიო, და შენც შაილოკ.

პ ო რ ც ი ა

შაილოკ გქვიათ?

შ ა ი ლ ო კ ი

შაილოკი მქვია სახელად.

პ ო რ ც ი ა

არაბუნებრივ და უცნაურ საქმეს უჩივით,  
თუმც ვენეციის სამართალი და კანონები  
უარს ვერ იტყვის, თქვენს სურვილს წინ ვერ აღუდგება.

(ანტონიოს.)

ეს თქვენ ჩაგავლოთ ამ საშინელ დღეში საჩივრით?

ა ნ ტ ო ნ ი ო

ღიახ, ავრე სურს.

პ ო რ ც ი ა

ჭეშმარიტად ცნობთ ამ თამასუქს?

ა ნ ტ ო ნ ი ო

ვცნობ.

პ ო რ ც ი ა

ებრაელმა შეწყალება უნდა გვიჩვენოს.

შ ა ი ლ ო კ ი

რა უფლება გაქვთ, მაიძულოთ, მითხარიო ერთი?

პ ო რ ც ი ა

ძალდატანებით შეწყალება — რა წყალობაა!  
იგი ყველაფერს ისე უნდა ეპყურებოდეს,  
როგორც ზეციდან მონადენი ჟუჟუნა წვიმა.  
გულმოწყალეობა ორმაგადაც კურთხეულია:  
ნეტარს ჰყოფს თვითონ შემწყალებელს და

შეწყალებულს.

ძლიერთა ხელში უფრო მძლავრობს. ხელმწიფეს სვიანს  
გვირგვინზე მეტად ის შეჰფერის. კვერთხი მეფისა  
აჩვენებს ძალას წარმავალის სიძლიერისას;  
ის ნიშანია სიდიადის და მოწიწების,  
შთამოწმებელი მეფისადმი შიშის და ძრწოლის.  
მაგრამ წყალობა ყოველ კვერთხზე უფრო მაღლა დგას,  
იგი ნაკურთხი მეფე არის მეფეთა გულში,  
ის თვითონ ღმერთის თვისება და ნიშანი არის.  
და თუ სამართალს შევაზავებთ ჩვენ მოწყალეობით —  
მიწიერ ძალას დავამსგავსებთ ცის ძლიერებას.  
თქვენს მხარეზეა, ებრაელო, კანონი ახლა,  
მაგრამ, დაფიქრდით, სამართალზე თუ წავა საქმე,  
მაშინ ვერც ერთი ჩენთაგანი ვერ გადაერჩებით!  
წყალობისათვის ვლოცულობთ ჩვენ და იგივე ლოცვა  
გვასწავლის, ვიყოთ გულმოწყალე. ეს ყველაფერი  
ვილაპარაკე მხოლოდ მისთვის, რომ შევარბილო  
კანონიერი თხოვნა თქვენი. მაგრამ თუ მაინც  
თქვენსას მოითხოვთ, ვენეციის მკაცრი სამსჯავრო  
ვაღივებულება, მსჯავრი დასდოს მოვალეს თქვენსას.

შ ა ი ლ ო კ ი

მე მომეკითხოს ჩემი ცოდვა, სამართალს ვითხოვ!  
მე თამასუქით შევისრულო უნდა პირობა!

პ ო რ ც ი ა

ფული არა აქვს ვაჭარს ვალის გადასახდელად?

ბ ა ს ა ნ ი ო

როგორ არა აქვს. მე ვთავაზობ, აქ, სამსჯავროში  
სამჯერ მეტ თანხას! არა კმარა? ათჯერ მეტს მივცემ!

I

თავებდა ჩემი ხელი, თავი და გული იყოს.  
და თუ ამანაც არ იქმარა, ჩანს ბოროტებას  
გაუმარჯვნია სიმართლეზე. გემუდარებით,  
კანონი ერთხელ თქვენს უფლებებს დაუმორჩილოთ,  
დიდ სიმართლისთვის დარღვევით კანონი მცირედ;  
ამ ეშმაკის სულს თქვენ ლაგამი უნდა ამოსდოთ.

პორცია

არ შეიძლება. არა ძალას ვენეციაში  
არ შეუძლია დადგენილი კანონის შეცვლა.  
ამ მაგალითით შემდეგ ბევრი სხვა უწესობაც  
გამეფდებოდა ჩვენში. არა, არ შეიძლება!

შაილოკი

ო, დანიელი! დანიელი სჯის დღეს ამ საქმეს?<sup>2</sup>  
ბრძენო ჭაბუკო მოსამართლე, ქების ღირსი ხართ!

პორცია

გოსოვთ, თამასუქი წამაკითხოთ.

შაილოკი

აი, აქ გახლავთ!

პატივცემული მოსამართლე, პა, თამასუქი!

პორცია

მაგრამ, შაილოკ, სამჯერ უფრო მეტს ვთავაზობენ.

შაილოკი

აღთქმა, აღთქმა მაქვს მიცემული! ზეცას შეეფიცე!  
ფიცი გატებო? დაეიმძიმო სული ცოდვებით?  
არა! არა, თუნდ ვენეცია მარჯუნ, არა!

პორცია

რა გაეწყო, თამასუქის ვადა გაეიდა,  
და ამ ებრაელს უფლება აქვს კანონის ძალით,  
გირვანქა ზორცი გულთან ახლოს მოაჭრას ვაჭარს.  
იყავ მოწვალე, სამჯერ მეტი ფული აიღე,  
და ნება მომე, თამასუქი დავხიო აქვე.

შაილოკი

როცა ყველაფერს გავინაღებ, მერე დახიეთ.  
თქვენ ღირსეული მსაჯული ხართ, მე როგორც ვატყობ.  
კანონებს იცნობთ, ჩინებულად გახსენით საქმე.  
ახლა იმავე კანონების სახელითა გთხოვთ,  
რომლის ნამდვილი დასაყრდენი თქვენვე ყოფილხართ,  
გამოიტანეთ განაჩენი. სულს გეფიცებით,  
რომ არავითარ კაცს ამქვეყნად არ შეუძლია,  
შემაცვლევინოს მე განზრახვა! ჩემსას მოვითხოვ!

ანტონიო

მე სასამართლოს ვევედრები, რომ მსჯავრი დამდოს.

პორცია

რახან ეგრეა, მიუშვირეთ გული მის დანას...

შაილოკი

ო! ღირესული მოსამართლე! კარგი ჭაბუკი!

პორცია

რადგან კანონის შინაარსი სულმთლად ამართლებს  
სასჯელს, რომელიც თამასუქში გარკვევითა ჩანს.

შაილოკი

სწორედ ასეა! ო, მსაჯული სამართლიანი!  
რამდენად უფრო ხნიერი ხარ და არ გეტყობა!

პორცია

აბა, მაშ გული გაიშიშვლეთ!

შაილოკი

ჰო, გული, გული!

ასე წერია თამასუქში – არა, მსაჯულო?  
რაც შეიძლება გულთან ახლოს, ასე წერია.

პორცია

ასე წერია. მაგრამ ზორცი როგორ ავწონოთ?  
სასწორი არ გაქვთ?

შაილოკი

როგორ არა, მზად მაქვს სასწორი.

პორცია

მაშ, თქვენი ხარჯით დასტაქარიც მოაყვანიეთ,  
რათა ჭრილობა შეუხვიოს, თორემ სისხლიდან  
სულ დაიცლება.

შაილოკი

თამასუქში ასე წერია?!

პორცია

არა წერია, მართალია, მაგრამ რა მოხდა,  
კარგი იქნება ეს სიკეთე გამოიჩინოთ.

შაილოკი

აბა, სად არის, მე ვერ ვნახე, აქ არ წერია.

პორცია

თქვენ კი, ვაჭარო, სათქმელი ხომ არაფერი გაქვთ?

ანტონიო

ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ. აჰა, მზადა ვარ!  
მომეცი ხელი, ბასანიო, გემშვიდობები.  
ნუ დალონდები, რომ შენ გამო ამ დღეში მხედავ,  
რადგანაც ბედმა უფრო მეტი სიკეთე მიყო,  
ვიდრე საერთოდ ჩვეულია: ის ზომ უბედურს  
ჩაღამებული თვალებით და შეჭმუნნილ შუბლით  
სიცოცხლის დღეებს ათრევენებს სილატაკეში;  
მე კი დამიხსნა უსასრულო წამებისაგან.

ქენს ღირსეულ ცოლს გადაეცი ჩემი სალამი.  
 უთხარი, როგორ დავასრულე ჩემი სიცოცხლე,  
 'არაიგ მიყვარდი, ესეც უთხარ, პატივი დამდე.  
 ცველაფერს ამას რომ უამბობ, თვითონ განსაჯოს,  
 ყავდა თუ არა მეგობარი მის ბასანიოს.  
 იუ დაინანებ მეგობარის ასე დაღუპვას,  
 ეთ ის არ ნანობს გაუსწორდეს მოვალეს შენსას,  
 'ადგან ურიამ თავის დანა ღრმად თუ ჩაუშვა,  
 სართლაც რომ გულით გადავიხედი მაშინ შენს ვალსა.

ა ს ა ნ ი ო

ქენც კარგად იცი, ანტონიო, ცოლი შევირთე,  
 რომელიც ჩემთვის სიცოცხლეზე ძვირფასი არის.  
 საგრამ სიცოცხლე, ჩემი ცოლი, მთელი ქვეყანა  
 'ე შენს სიცოცხლედ, დამერწმუნე, აღარც კი მიღირს.  
 ცველას დავთმობდი. ჰო, სუყველას მსხვერპლად მივეუტან  
 მ ეშმაკის სულს, ოღონდაც კი შენ გამოვიხსნა!

ი ო რ ც ი ა

იქვენი მეუღლე რომ ვისმენდეთ, არა მკონია,  
 ღიღი მადლობა მოგახსენით ამ სიტყვებისთვის.

კ რ ა ც ი ა ნ ო

სეცა მყავს ცოლი, გამოვტყდები, მიყვარს კიდეცაც,  
 საგრამ ნეტავი ის ზეცაში გაფრენილიყო  
 და იქ ეთხოვა ზეციურის ძალებისათვის,  
 'ქნებ როგორმე მოელობთ ეს ძალღი ურია.

ი ე რ ი ს ა

კიდეც კარგი, რომ ლაპარაკობთ ცოლის ზურგს უკან,  
 თორემ ეს ნატვრა, დამერწმუნეთ, სახლს ავირევდათ!

ქ ა ი ლ ო კ ი (თავისთვის)

სა, რა ყოფილა ქრისტიანის ცოლქმრობა თურმე!  
 ერთი ქალი მყავს, მირჩევნია მისთხოვდეს იგი  
 ვინმეს ნაშიერს ბარაბისას<sup>3</sup>, ვიდრე ქრისტიანს!..

(ზმამალა.)

ღროს ნულარ კარგავთ, გთხოვთ, სასჯელი გამოუტანოთ.

პ ო რ ც ი ა

ვირვანქა ხორცი ამ ვაჭრისა შენ მოვენიჭა,  
 'ეს კანონითაც შენია და სამსჯავროც გაძლევს.

შ ა ი ლ ო კ ი

ამართლიანი მოსამართლე!

პ ო რ ც ი ა

უნდა ამოჭრა გულთან ახლოს, ამის უფლებას  
 კანონიც გაძლევს, სამსჯავრომაც ეს გადაწყვიტა.

შ ა ი ლ ო კ ი

ბრძენო მსაჯულო! მოემზადე! აი სასჯელი!

პ ო რ ც ი ა

ჯერ დაიცადე, კიდეცა მაქვს სათქმელი რალაც.  
 ამ თამასუქით წვეთი სისხლიც კი არ გეკუთვნის!  
 აქ გარკვეულად ნათქვამია — „ვირვანქა ხორცი“.  
 აბა, მიიღე ეს კუთვნილი ვირვანქა ხორცი!  
 მაგრამ მოჭრის ღროს ქრისტიანის თუნდ ერთი წვეთი  
 სისხლის დაღვრისთვის, ვენეციის კანონის ძალით,  
 ჩამოგერთმევით მამულები, მთელი ქონება  
 და ვენეციის სახელმწიფოს გადაეცემა.

გ რ ა ც ი ა ნ ო

ო, ღირსეულო მოსამართლე! ხედავ, ურიავ?  
 ბრძენო მსაჯულო!

შ ა ი ლ ო კ ი

ასეთია მერე კანონი?

პ ო რ ც ი ა

თუ გნებავს, თვითონ წაიკითხე. შენ მოითხოვდი  
 მართლმსაჯულებას; ღრმად გჯეროდეს, მიიღებ კიდეც,  
 ოღონდ უფრო მეტს, ვიდრე ამას შენ ისურვებდი.

გ რ ა ც ი ა ნ ო

ო, განსწავლულო მოსამართლე, ხედავ, ურიავ?  
 ბრძენო მსაჯულო!

შ ა ი ლ ო კ ი

მაშ, ავიღებ სამმაგად იმ ფულს,  
 ქრისტიანი კი გამიშვია.

ბ ა ს ა ნ ი ო

აი, ის ფული.

პ ო რ ც ი ა

ნუ გეჩქარებათ, დაიცადეთ, მართლმსაჯულების  
 მიღება უნდა ამ ებრაელს. თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ,  
 არას მიიღებს სასჯელს გარდა.

გ რ ა ც ი ა ნ ო

ჰოი, ურიავ!

რა განსწავლული, ღირსეული მოსამართლეა!

პ ო რ ც ი ა

მაშ, მოემზადე შენი ხორცის ამოსაჭრელად.  
 სისხლს კი ნუ დაღვრი. თან არც მეტი და არც ნაკლები  
 ერთ ვირვანქაზე არ ჩამოსჭრა. თუ ვირვანქაზე  
 ნაკლები იქნა, ანუ მეტი თუნდ უმნიშვნელო  
 სკრუპულის ერთი მეოცედით, ანუ სასწორი  
 ბეწვის სიმძიმით გაღიხარა, მაშინ იცოდე,  
 სიკვდილი გელის და ქონება ჩამოგერთმევა.

კ რ ა ც ი ა ნ ო

აი, მეორე დანიელი. ხედავ, ურიავ!  
ოჰ, შე ურჯულოვ, როგორც იქნა ჩაგიგდე ხელში!

პ ო რ ც ი ა

რადღა უღვახარ, შენს თამასუქს რად არ ინაღლებ?

შ ა ი ლ ო კ ი

ჰე ჩემი თავნი დამიბრუნეთ და შინ გამიშვიო.

ბ ა ს ა ნ ი ო

აჰა, აიღე, შენთვის მქონდა დამზადებული.

პ ო რ ც ი ა

ჰან უარი თქვა სასამართლოს წინაშე ფულზე,  
ახლა მიიღებს სამართალს და თამასუქს თვისას.

კ რ ა ც ი ა ნ ო

დანიელია! აკი ვამბობ, დანიელია! (მიმართავს შაილოკს.)  
მადლობას გიძღვნი, რომ ეს კარგი სიტყვა მასწავლე.

შ ა ი ლ ო კ ი

ასე გამოდის, ჩემს თავნსაც კი ვეღარ მივიღებ!

პ ო რ ც ი ა

შენ აღარაფერს არ მიიღებ სასჯელის გარდა.  
აიღე, გქონდეს შენდა ჭირად!

შ ა ი ლ ო კ ი

ანგარიშები

ჰაშინ ეშმაკმა გაასწოროს. მე კი მივედივარ.

პ ო რ ც ი ა

დაიცა, კანონს. კიდევ აქვს შენზე სარჩელი.  
ვენეციური კანონებით, თუ უცხოელი  
არაპირდაპირ, ან პირდაპირ, ეგ სულ ერთია,  
ეცდება მოკლას მოქალაქე ვენეციისა,  
ჰისი ქონების ნახევარი გადაეცემა  
დაზარალებულს; და მეორე ნახევარიცა  
ამ სახელმწიფოს სალაროში უნდა შევიდეს.  
თანაც სიცოცხლე დამნაშავეს მხოლოდ და მხოლოდ  
ჰეგნს მთავარს მალუძს უწყალობოს. შენც-მეთქი, ვამბობ-  
საშინელ დღეში ჩავარდნილობარ. უკვე დამტკიცდა,  
რომ შეეცადე პირდაპირ და არაპირდაპირ  
ამ ვაჭრის მოკვლას, რითაც, უკვირ აღენიშნე კიდევ.  
ამ საშინელსა და შავბედით დღეში ჩავარდი.  
ჰაშ, ქვეგანერთზე, შეწყალება შესთხოვე მთავარს.

კ რ ა ც ი ა ნ ო

იქნება თავის ჩამოხრჩობის ნება გიბოძოს!  
ჰაგრამ ქონება სახელმწიფოს უნდა გადასცე,  
თოკის საყიდლად ფული ალბათ აღარ დაგრჩება!  
ჯობს ჩამოგახრჩონ სახელმწიფო ხარჯებით ისევე.

მ თ ა ვ ა რ ი

მიჩუქებია უთხოვნელად სიცოცხლე შენთვის,  
რომ განსხვავება დაინახო ჩვენი გრძნობების.  
შენი ქონების ნახევარი ამ ვაჭარს რჩება,  
მისი მეორე ნახევარი კი სახელმწიფოს,  
მაგრამ მორჩილი თუ გახდები, მაშინ ქონებას  
აღარ წაგართმევ, გადაიხდი ჯარიმას მხოლოდ.

პ ო რ ც ი ა

სახელმწიფოს წილს! ანტონიოს ეს არ ეხება.

შ ა ი ლ ო კ ი

არ მსურს, წაიღეთ სიცოცხლეცა და ყველაფერიც,  
ნუ შემიწყალებთ: სახლს საძირკველს თუ გამოაცლით,  
რაზეც იგი დგას – სახლიც მივაქვთ, ასე გამოდის,  
ის თუ წამართვით, რაც მაცხოვრებს – სიცოცხლევ  
მივაქვთ

პ ო რ ც ი ა

თქვენ, ანტონიო, რა წყალობას უბოძებთ ამას?

კ რ ა ც ი ა ნ ო

თუ ღმერთი გწამდეთ, თოკი მხოლოდ, სხვა არაფერი.

ა ნ ტ ო ნ ი ო

რაკი ინებებს მთავარიცა და სასამართლოც  
იმ ნახევარი ქონების წილ ჯარიმის მისჯას,  
მეც თანახმა ვარ. ჩემს ნახევარს იგი გადმომცემს,  
მე კი, ჩემთავად, ებრაელის სიკვდილის შემდეგ,  
იმ კაცს მივუძღვნი, ასული რომ მოსტაცა მაგას.  
ამ წყალობის წილ მე ვთხოვლობ მისგან ორ რამეს:  
ჯერ ერთი, უნდა მოინათლოს დაუყოვნებლივ,  
მეორეც – აქვე, სამსჯავროში მან შეადგინოს  
მემკვიდრეობის ფურცელი და მთელი ქონება  
სიკვდილის შემდეგ დაუმკვიდროს სიძე-ქალიშვილს.

მ თ ა ვ ა რ ი

და თუ ამაზე არ დათანხმდა, უკანვე მიმაქვს  
ჩემი წყალობა, რაც ახლახან მას მივანიჭე.

პ ო რ ც ი ა

ჰა, ებრაელო, თანახმა ხარ? არაფერს იტყვი?

შ ა ი ლ ო კ ი

მე თანახმა ვარ.

პ ო რ ც ი ა

მაშ, ანდერძი შეავსე, კლერკო.

შ ა ი ლ ო კ ი

გემუდარებით, ნება დამრთოთ აქედან წასვლის.  
უქეიფოდ ვარ. ეს ანდერძი გამომიგზავნეთ  
და ხელს მოვაწერ.

მთავარი

წადი, ოღონდ ეს გააკეთე.

გრაციანო

ორი ნათლია წაგცხებს მირონს. მსაჯული ვიყო —  
დაგიმატებდი კიდევ ათსა, რომ მიეყვანეთ  
არა ემბაზთან, არამედ იქ, სახრჩობელასთან.

(გადის შაილოკი.)

მთავარი

გემუდარებით, წამობრძანდეთ სადილად ჩემთან.

პორცია

უმორჩილესად ბოდიშს ვთხოვ თქვენს ბრწყინვალეებს,  
მაგრამ ამაღამ პაღუაში უნდა ჩავიდე  
და უკვე დროა გამგზავრების.

მთავარი

მალანა მწყინს,  
რომ მოცალეა არ გქონიათ. ბატონი უნდა  
დააჯილდოო, ანტონიო, რადგან მე ვფიქრობ,  
შენ მაგისაგან ღიდადა ხარ დავალებული.

(გადიან მთავარი და მხლებლები.)

ბასანიო

ბატონო ჩემო, თქვენმა სიბრძნემ დღეს ჩვენ დავვიხსნა  
უსაშინლესი სასჯელისგან. ამიტომაც ვთხოვთ,  
ებრაელისთვის მისაცემი სამი ათასი  
კეთილშობილურ გარჯისათვის მიიღოთ ჩვენგან.

ანტონიო

თანაც მოვალე სიკვილამდე დავრჩები თქვენი  
სიყვარულით და მეგობრული თანაგრძნობითაც!

პორცია

თუ თვითონვეა კმაყოფილი კაცი თვის გარჯით,  
გასამრჯელოდაც კმარა ესა. მეც, ჩემდა თავად,  
კმაყოფილი ვარ თქვენი დახსნით და ჩემს თავსა ვთვლი  
დაჯილდოებულს ჩინებულად. არც არასოდეს  
არ მიფიქრია მე სხვაგვარი ჯილდოს მიღება.  
ერთსა ვთხოვთ, მიცნოთ, თუ ოდესმე კიდევ შეგზვდებით.  
ახლა მშვიდობით. ვისურვებ თქვენს კეთილდღეობას.

ბასანიო

კარგო ბატონო, არ იქნება, ვერ მოგეშვებით.  
ფულს ნუ აიღებთ — სახსოვარი მაინც ინებეთ.  
გემუდარებით, შემისრულოთ ეს ორი თხოვნა:  
ჟარს ნუ მეტყვით და შემინდეთ სუყველაფერი.

პორცია

თქვენ ისერიგად ჩამაცივდით, რომ გმორჩილებით;  
(ანტონიოს.)

თქვენ მე მიბოძეთ ხელთათმანი — როცა ჩავიცვამ,  
მომავონდებით.

(ბასანიოს.)

თქვენ კი ნიშნად სიყვარულისა,  
თქვენი ბეჭედი მისახსოვრეთ. ხელს რატომ მალავთ?  
სხვას მე არაფერს არ ვისურვებ და იმედი მაქვს  
არ დაიშურებთ ნიშანს ჩვენი სიყვარულისას.

ბასანიო

კარგო ბატონო, ეს ბეჭედი... ეჭ, ეს რა არის!  
თავს ვერ შევირცხვენ ამ უბრალო ბეჭდის ჩუქებით.

პორცია

მე კი არაფერს არ ავიღებ ამ ბეჭდის გარდა,  
როგორღაც ძლიერ მომეწონა და მომესურვა.

ბასანიო

ფასზე როდი მაქვს ახლა საქმე, სხვა რამ მაწუხებს;  
გადავბრუნებ ვენეციას და ყველაზე კარგს,  
უძვირფასეს და ულამაზეს ბეჭედს მოგიძღუნით,  
ეს კი დამითმეთ. მაპატიეთ, გემუდარებით.

პორცია

მე როგორც ვატყობ, გულუხვი ხართ შეპირებაზე.  
ჯერ იყო, თხოვნა შემასწავლეთ, ახლა მასწავლით,  
მათხოვარს როგორ უნდა უთხრას კაცმა უარი.

ბასანიო

ჩემო ბატონო, ეს ბეჭედი ცოლმა მანუქა  
და როცა ხელზე მიკეთებდა, ასე შეეფიცე,  
რომ არ გავცემდი, არ გავყიდდი, არ დავკარგავდი.

პორცია

ეჭ, ამ საბაბით ბევრი ფარავს თავის სიძუნწეს!  
თუ თქვენი ცოლი შეშლილი და გიჟი არ არის,  
როცა გაიგებს, ეს ბეჭედი რა ღირსეულად  
დავიმსახურე, არ გაგვიცხავთ განუქებისთვის.  
თქვენი ნებაა! აწ მშვიდობა ნუ მოგეშალოთ.

(გადიან პორცია და ნერიოსა.)

ანტონიო

მოდი, აჩუქე, ბასანიო, ბეჭედი იმ კაცს,  
შენი ჩემდამი სიყვარული და იმ მსაჯულის  
დამსახურება — გადასწონის აღთქმას ცოლთანა.

ბ ა ს ა ნ ი

ჰა, გრაციანო, დაეწიე, სირბილით წადი,  
და ეს ბეჭედი გადაეცი. თანაც ეცადე,  
ანტონიოსთან მოიყვანო, ჰა, გაეშურე.

(გაღის გ რ ა ც ი ა ნ ო.)

ახლა წავიდეთ ჩვენც იქითკენ, ზვალ ადრე დილით  
გავეშურებით ბელმონტისკენ ორივე ერთად.  
აბა, წამოდი, ანტონიო.

(კადიან.)

**ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე**

**იქვე ქუჩა.**

შემოდიან პ ო რ ც ი ა და ნ ე რ ი ს ა.

პ ო რ ც ი ა

სახლი იკითხე ებრაელის და ამ ქაღალდზე  
მოაწერიე ხელი. დღესვე გავწივთ შინისკენ,  
რათა ერთი დღით ქმრებს დავასწროთ შინ დაბრუნება.  
ლორენცო როგორ გაიხარებს ამ საჩუქარით!

(შემოდის გ რ ა ც ი ა ნ ო.)

გ რ ა ც ი ა ნ ო

ო, როგორც იქნა დაგეწიეთ, ჩემო ბატონო.  
ჩემმა ბატონმა ბასანიომ გადაიფიქრა

და ეს ბეჭედი თქვენ მოგიძღვნათ. თანაც ძლიერ გთხოვთ,  
სადილად ჩვენთან წამობრძანდეთ.

პ ო რ ც ი ა

არ შემიძლია.

ბეჭდისათვის კი მოვასხენებ უღრმეს მადლობას.  
გთხოვთ, ასე უთხრათ, თანაც იქნებ ეს დამავალოთ,  
რომ ამ ყმაწვილკაცს ებრაელის სახლი უჩვენოთ.

გ რ ა ც ი ა ნ ო

კარგი, ბატონო.

ნ ე რ ი ს ა

მეც მაქვს საქმე თქვენთან, ბატონო.

(პორციას.)

უნდა მოვსინჯო, ჩემი ქმარიც თუ მომცემს ბეჭედს,  
რომელიც ფიცით მას ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს.

პ ო რ ც ი ა (ნერისას)

მოგცემს, მერწმუნე. მოჰყვებიან ფიცს მერე ჩვენთან,  
რომ ის ბეჭდები მამაკაცებს აჩუქებს იმათ.  
მაშინ კი უნდა დაუუმტკიცოთ ჩვენ სინამდვილე.  
ახლა გაჰყევი. შენც ზომ იცი, სად გელოდები.

ნ ე რ ი ს ა

აბა, ბატონო, არ მაჩვენებთ ებრაელის სახლს?

(გადიან.)

**მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ს უ თ ე**

**ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი**

ბელმონტი. ზეივანი პორციას სახლის წინ.

შემოდიან ლ ო რ ე ნ ც ო და ჯ ე ს ი კ ა.

ლ ო რ ე ნ ც ო

ერთი შეხედვე მთვარის კაშკაშს! ასეთ ღამეში,  
როცა ნიავი საამურად კოცნიდა ზეებს  
ისე რომ ჩქამიც არ ისმოდა... ასეთ ღამეში  
ტროას კედლებზე ტროილოსი<sup>1</sup> სულმოუთქმელად,  
აღბათ ბერძენების ბანაკისკენ მიიჩქაროდა,  
სადაც ეძინა მის კრესიდას<sup>2</sup>.

ჯ ე ს ი კ ა

ასეთ ღამეში

დამფრთხალი თისბე<sup>3</sup> ფეხაკრეფით ვიღოდა ნამზე,  
მავრამ, რა მოჰკრა თვალი უცებ აჩრდილს ლომისას,  
შეეშინდა და შორს გაიქცა<sup>4</sup>.

ლ ო რ ე ნ ც ო

ასეთ ღამეში

დიდონა აღბათ ზღვის უღაბურ ნაპირას იდგა  
და თავის სატრფოს ანიშნებდა ტირიფის ტოტით –  
კვლავ დაბრუნდით კართავენში<sup>5</sup>.

ჯ ე ს ი კ ა

ასეთ ღამეში

მედეა აღბათ აგროვებდა ჯადოსნურ ბალახს,

რომ ხელმეორედ ჭაბუკობა ებოძებინა  
იხუცებული ესონისთვის.

ლ ო რ ე ნ ც ო

ასეთ ღამეში  
ღიღარ ებრაელს გაეპარა ტურფა ჯესიკა  
და მეგობართან ერთად იგი ვენეციიდან  
ელმონტისაკენ გაეშურა.

ე ს ი კ ა

ასეთ ღამეში  
ლორენცო იმას სიყვარულის აღთქმას აძლევდა,  
სოსტაცა კიდეც ერთგულების ფიცით მას გული,  
იუმცა ის ფიცი ყალბი იყო.

ლ ო რ ე ნ ც ო

ასეთ ღამეში  
ჭურფა ჯესიკამ ჭირვეული გოგონას მსგავსად  
კილი დასწამა უსამართლოდ თავის საყვარელს,  
სან კი შეუნდო დიდსულოვნად.

ე ს ი კ ა

მარტო რომ ვიყო,  
მგვარ ღამეთა ჩამოთვლაში ვერ მაჯობებდი,  
საგრამ დაჩუმდი, თითქოს ფეხის ზმა მომეყურა?.

(შემოდის ს ტ ე ფ ა ნ ო.)

ლ ო რ ე ნ ც ო

ცინ მოდის, ღამის მყუდროებას ვინ არღვევს ასე?

ს ტ ე ფ ა ნ ო

სეგობარი ვარ.

ლ ო რ ე ნ ც ო

მეგობარი? ვინ მეგობარი?  
ახელი მითხარ, მეგობარო, გემუღარები.

ს ტ ე ფ ა ნ ო

ატეფანო მქვია. სიტყვა მომაქვს ქალბატონისგან,  
რომ მობრძანდება ის ბელმონტში გათენებამდე.  
ახლა დადის და წმინდა ჯვრებთან მუხლმოდრეკილი  
ღმერთს ევედრება — ბედნიერი ცოლქმრობა მისცეს.

ლ ო რ ე ნ ც ო

ნან ვინ მოჰყვება?

ს ტ ე ფ ა ნ ო

მოახლე და წმინდა მოძღვარი.  
ყამაგებიანეთ, გთხოვთ, ბატონი უკვე დაბრუნდა?

ლ ო რ ე ნ ც ო

არა, ჯერ არა. ვერც გავიგეთ იმისი რამე.  
საგრამ, ჯესიკა, შინ შევიდეთ და ყველაფერი

ჩვენს დიასახლისს დავახვედროთ საზეიმოდ.

(შემოდის ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი.)

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

სოლა, სოლა, ვო, ჰო, ჰო! სოლა, სოლა!

ლ ო რ ე ნ ც ო

ვინ გვეძახის?

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

სოლა! ბატონო ლორენცო ხომ არ გინახავთ, ბატონო  
ლორენცო?

სოლა, სოლა!

ლ ო რ ე ნ ც ო

რას ღრიალებ! აქა ვარ.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

სოლა! აბა, სადა?

ლ ო რ ე ნ ც ო

აქა ვარ.

ლ ა ნ ჩ ე ლ ო ტ ი

მამ გადაეცით, რომ ბატონისაგან შიკრიკი მოვიდა:  
კარგი ამბებით სავსე რქითა. ჩემი ბატონი გათენებამდე  
აქ იქნება.

(ვადის.)

ლ ო რ ე ნ ც ო

სულზე უტკბესო, შინ შევიდეთ, იქ დაველოდოთ.  
თუმცა, დაიცა, ჩვენი წასვლა რა საჭიროა.  
ჩემო სტეფანო, წადი, მსახურთ შეატყობინე,  
რომ ქალბატონი, საცა არის ჩამობრძანდება.  
თანაც უბრძანე, აქ მოვიდნენ მემუსიკენი.

(ს ტ ე ფ ა ნ ო ვადის.)

შეხე, მთვარის სხივს ამ გორაკზე რა ტკბილად სძინავს.  
ჩვენც აქ ჩამოვსხდეთ. დე ჩვენს სქენას მოესალბუნოს.  
მუსიკის ზმები. მყუდროება, ღამის სიჩუმე,  
საამო ჰანგებს კიდეც უფრო დამატკბობელს ხდის.  
დაჯექ, ჯესიკა, ცინ კამარას შეხედე ერთი —  
მოფენილია მოელვარე ოქროს თასებით;  
და იმათ შორის, რასაც ხედავ, სულ უმცირესიც  
თან მოძრაობს და თანაც მღერის ანგელოზივით,  
ეხმატკბილება ნორჩთვალეობა ქერუბინთ გუნდებს.  
უკვდავ სულთ შორის ამნაირი ჰარმონიაა.  
მაგრამ ვიდრე ამ მიწიერსა და მოუხეშავ  
სამოსელშია გახვეული, არ გვემის მისი.

(შემოდის მ ე მ უ ს ი კ ე ნ ი.)

აქეთ, დიანა გააღვიძეთ თქვენი ჰანგებით!  
ტკბილი მუსიკით ქალბატონი მოაჯადოვებთ  
და შინისაკენ მოიზიდეთ მელოდიებით.

(მუსიკა.)

ჯ ე ს ი კ ა

მუდამ რაღაცა სევდასა მკვრის ტკბილი მუსიკა.

ლ ო რ ე ნ ც ო

ეს იმიტომ, რომ მაშინ სული გაქვს დაჭიმული.  
შენ დააკვირდი უღაბნოში გაღალღებულ ჯოჯს,  
ან გაუხედნავ კვიცთა რემას. ისინი ხტიან,  
გახელებულნი ნავარდობენ და ჭიხვინებენ,  
რადგან მარღვებში სისხლი უღულთ მოჭარბებულად.  
მაგრამ თუ უცებ გაიგონეს საყვირის ხმები,  
ანდა ანაზღად სხვა რამ ჰანგი მოხვდა მათ სმენას,  
მყისვე ყველანი ერთ ადგილზე შეჩერდებიან  
და ველურ თვალებს თვინიერად დახრიან დაბლა.  
ეს კი მუსიკის საამური ძალით მოხდება.  
პოეტმაც მიტომ შეთხზა ასე, რომ ორფეოსი  
სიმღერით ხეს, ქვას და მდინარეს აჯადოებდა.  
ისე უგრძნობი, უხეში და გაცოფებული  
არაფერია, არ მოალობს წამით მუსიკამ.  
კაცი, რომელსაც თვითონ არ აქვს მუსიკის გრძნობა,  
ვისაც სრულებით ვერ შეარხევს ტკბილი ჰანგები,  
ჩაიდენს ღალატს, გამცემლობას, ავაზაკობას.  
იმისი სული ბნელი არის შავ ღამესავით,  
ერებოსივით წყველია მისი გრძნობები.  
არ უნდა ენღო ასეთ კაცსა. ამ ჰანგს უსმინე!

(შემოდიან პ ო რ ც ი ა და ნ ე რ ი ს ა.)

პ ო რ ც ი ა

სინათლის შუქი დარბაზიდან გამოდის თურმე.  
რა შორიდან ჩანს იმ პატარა სანთლის ციმციმი!  
კეთილიც ამ ბნელ ქვეყანაზე ასევე ელავს.

ნ ე რ ი ს ა

მთვარის შუქზე კი ეს სინათლე არ შეგვიინიშნავს.

პ ო რ ც ი ა

თავისზე ნაკლებს ბრწყინვალედა ასე აბნელებს.  
მეფის ნაცვალაც მეფესავით ნათლად ეღვარებას,  
ვიდრემდე მეფე მოვილოდეს. მეფე რომ მოვა,  
იგი გაქრება ვით ნაკადი ოკეანეში.  
გესმის მუსიკა?

ნ ე რ ი ს ა

ეს ხომ თქვენი მუსიკა გახლავთ!

პ ო რ ც ი ა

ხედავ, უდროოდ თურმე კარგიც არ ვარგებულა.  
ასე მგონია, ღამით უფრო საამურად ჟღერს.

ნ ე რ ი ს ა

მყუდროება ხდის, ქალბატონო, ასე საამოს.

პ ო რ ც ი ა

ყვავიც ისევე ტკბილად მღერის, როგორც ტორილა,  
თუ არ მოუსმენ გულისყურით და გატაცებით.  
და მე მგონია, ბულბულმა რომ იმღეროს დღისით,  
როცა ყოყინებს ყველგან ბატი, მაშინ იმასაც  
ნიბლიანნაირ მგალობელად ჩათვლიდა ყველა.  
ქვეყნად ყველაფერს თავის დრო აქვს და შექებასაც  
მხოლოდ ამისდა კვალობაზე დაიმსახურებს.  
მაგრამ გავჩუმდეთ, მთვარეს სძინავს ენდომიონთან<sup>18</sup>  
და გაღვიძება ეზარება.

(მუსიკა წყდება.)

ლ ო რ ე ნ ც ო

თუკი არ ვცდები

პორციას ხმაა.

პ ო რ ც ი ა

უსიამო ხმით მიცნო, ალბათ,  
ისევე, როგორც ბრძები გუგულს ცული ხმით ცნობენ.

ლ ო რ ე ნ ც ო

კეთილი იყოს, ქალბატონო, შინ დაბრუნება.

პ ო რ ც ი ა

ჩვენი ქმრებისთვის ვლოცულობდით და იმედი მაქვს  
წარმატებითაც დაეხმარა მათ ჩვენი ღოცვა.  
უპკე დაბრუნდნენ?

ლ ო რ ე ნ ც ო

ქალბატონო, ჯერ არ მოსულან,  
მაგრამ შიკრიკმა გვაუწყა, რომ გზაში ყოფილან.

პ ო რ ც ი ა

წადი, ნერისა, და მსახურებს ასე უბრძანე:  
შინიდან სადმე თუ წავედით, ნურც ახსენებენ.  
ლორენცო, ნურც თქვენ იტყვიოთ რასმე, ნურც თქვენ,  
ჯესიკა.

(იმის საყვირის ხმა.)

ლ ო რ ე ნ ც ო

ჰა, თქვენი ქმარიც მოახლოვდა. ბუკის ხმა მესმის.  
ნუ გეფიქრებათ — როლი გვიყვარს ბევრი ღაყობა.

პ ო რ ც ი ა

ასე მგონია, თითქოს სწეულ დღეს ჰგავს ეს ღამე —  
გაფითრებულა! ასეთია დღე ღრუბლიანი,  
მაშინ, როდესაც ხშირ ღრუბლებში მზე იმალება.

(შემოდიან ბ ა ს ა ნ ი ო, ა ნ ტ ო ნ ი ო, ვ რ ა ც ი ა ნ ო  
და სხვები.)

ბ ა ს ა ნ ი ო

მზის ჩასვლის შემდეგ, ჩვენთან რომ ხარ, მაშინ  
ჩვენც ისეთივე დღე გვქონოდა, ვით ანტიპოდებს<sup>11</sup>.

პ ო რ ც ი ა

ნეტავი მართლაც ვგავდე ნათელს მე ელვარებით,  
სიმსუბუქით კი არ ვინატრებ: მსუბუქი ცოლი  
მძიმე ტვირთითა ქმრისთვის მეტად და ბასანიოს  
ასეთ სიმძიმეს არ ვუსურვებ. ეპ, ღმერთს მივანდით.  
კეთილი იყოს, შინ მშვიდობით მოსვლა, ბატონო.

ბ ა ს ა ნ ი ო

მადლობას გიძლვნი. მეგობარსაც ასევე შეხვდი.  
აი, ეს არის ანტონიო, რომლისაგანაც  
განუზომელი სიკეთით ვარ დავალებული.

პ ო რ ც ი ა

მართლაც ყოველმხრივ ხარ იმისგან დავალებული,  
მე მითხრეს, შენთვის მან რა მძიმე ვალი აიღო.

ა ნ ტ ო ნ ი ო

ის ვალი უკვე გამისწორა — ბარიბარში ვარს.

პ ო რ ც ი ა

ჩვენს სახლში თქვენი მობრძანება დიდად გვახარებს,  
მავრამ, ბატონო, დაგიმტკიცოთ უნდა ეს საქმით,  
და არ მოვეყვები თავაზიან ლაპარაკს ახლა.

გ რ ა ც ი ა ნ ო (ნერისას)

იმ მთვარეს ვფიცავ, ცილსა მწამებ, ჩემო ტრფიალო,  
ღამიჯერე, რომ მოსამართლის კლერკს მივუძღვენი,  
და თუკი მაინც ასე ახლოს მიიტან გულთან,  
საჭურისობას ვუსურვებდი მას ჩემდა თავად.

პ ო რ ც ი ა

ყოჩად, დაიწყეთ უკვე ჩხუბი? რა ამბავია?

გ რ ა ც ი ა ნ ო

ოქროს უბრალო რგოლის გამო! მან რომ მაჩუქა,  
იმ უხეირო ბეჭდის გამო! როგორც შედანე  
ამოჭრის ხოლმე დანაზე ლექსს, იმ ბეჭედზედაც  
ისე ეწერა: „ნუ დამტოვებ, მარად გიყვარდე“.

ნ ე რ ი ს ა

ბეჭდის წარწერა ან ფასი რა მოსატანია!  
როცა გაჩუქე, მაშინ აღტქმა მომეცი, გახსოვს?  
რომ სიკვდილამდე ხელიდან არ მოიშორებდი  
და შენ იმ ბეჭედს საფლავეშიაც თან ჩაიტანდი.  
თუ ჩემი ხათრი აღარ გქონდა, შენს ენაწყლიან  
აღტქმას მაინცა სცემდი პატივს! რად ვააჩუქე?  
ღიას, მსაჯულის კლერკს აჩუქა! ღმერთმა ზომ იცის,  
რომ იმ კლერკს წვერი არასოდეს არ ამოუვა.

გ რ ა ც ი ა ნ ო

აჰ, ამოუვა, თუ დასცალდა დავაუკაცება.

ნ ე რ ი ს ა

რალა თქმა უნდა,თუ დასცალდა ქალს დაკაცება.

გ რ ა ც ი ა ნ ო

ო, აი, ამ ხელს გეფიცებით, ჭაბუკს ვაჩუქე,  
ბიჭს, შენს სიმაღლე ცინგლიან ბიჭს, მსაჯულის  
ისე მეხვეწა, მეტიტინა — ვერ გავაწბილე.  
რა უნდა მექნა, გასამრჯელოდ ვაჩუქე იგი. კლერკსა.

პ ო რ ც ი ა

გულახდით გეტყვით, საყველურის ღირსი ხართ  
მართლაც,

ციოლის პირველი სახსოვარი როგორ გასწირეთ?!

ის სახსოვარი, თითზე ფიცით რომ გაიკეთეთ.  
სამარადუამო ერთგულების ნიშნად მიიღეთ!  
მეც ვუსახსოვრე ჩემს მეუღლეს ერთი ბეჭედი  
და დავაფიცე, რომ აროდეს მოიშორებდა.  
აი, აქა დგას ისიც ახლა. მე დავაფიცე, რომ  
რომ თუნდა მისცე მას სიმდიდრე მთელი ქვეყნისა,  
არ მოიშორებ, თითიდანაც კი არ წაიძრობს.  
არა, მერწმუნე, გრაციანო, თქვენ მეტისმეტად  
შეუბრალებლად დაამწუხრეთ თქვენი მეუღლე.

ბ ა ს ა ნ ი ო (თავისთვის)

ნეტა მარცხენა ხელი მომჭრან, ვიტყვოდი მაინც —  
ბეჭედსა მგლეჯდნენ და ბრძოლის დროს დავკარგე-  
მეთქი.

გ რ ა ც ი ა ნ ო

ბასანიომაც აკი მსაჯულს მისცა ბეჭედი.  
იმდენს ეხვეწა ის მსაჯული... და კაცმა რომ თქვას,  
დამსახურებით ღირსიც იყო ამ საჩუქრისა.  
მერე კი კლერკმა მსაჯულისამ, ყმაწვილმა კაცმა,  
ვისაც ერთგვარი შრომა შეხვდა გადაწერის დროს,  
ჩემი ბეჭედი მოითხოვა. არც იმ მსაჯულმა  
და აღარც კლერკმა არ ინდომეს სხვა სახსოვარი,  
გარდა იმ ორი ბეჭედისა.

პ ო რ ც ი ა

ჩემო ბატონო,  
მჯერა, ჩემს ბეჭედს არ გასცემდი, ალბათ სხვა იყო.

ბ ა ს ა ნ ი ო

არ ძალმიძს ცოდვას დაუუმატო კიდევ ტყუილი,  
თორემ ვიტყვოდი არა-მეთქი. მავრამ ზომ შედავ,  
თითზე ბეჭედი აღარა მაქვს... იგი მომშორდა.

პორცია

და ერთგულებაც შენს ვალბსა გულს მოშორებია,  
მანამ იმ ბეჭედს არ ვიხილავე, ზეცასა ვფიცავ,  
მე შენს ლოგინში არ ჩავწევი.

ნერიისა

ვიდრე ჩემს ბეჭედს არ ვიხილავე. არც მე ჩავწევი,

ბასანიო

ტკბილი პორცია,  
რომ დაგეხახა, ვის ვაჩუქე მე ის ბეჭედი,  
ვისი გულისთვის გავაჩუქე მე ის ბეჭედი,  
ან ის იცოდე, რად ვაჩუქე მე ის ბეჭედი,  
რა უხალისოდ მოვიშორე მე ის ბეჭედი,  
რადგან მას სურდა გასამრჯელოდ მხოლოდ ბეჭედი,  
მამინ, მე ვფიქრობ, გულისწყრომას შეარბილებდი.

პორცია

შენ რომ გცოდნოდა, რა ღირსების იყო ბეჭედი,  
ან მისი ფასი, ვინც გაჩუქა იგი ბეჭედი,  
წესი და რიგი — არ გაგეცა შენ ის ბეჭედი,  
მამინ თითზევე გექნებოდა ახლაც ბეჭედი...  
მაგრამ თუ მართლაც ტყუილად გენანებოდა,  
გულით არ გწაღდა იმ ბეჭედის ჩუქება სხვისთვის,  
მაინც სად შეხვდი ასეთ უგნურ, უტყუო კაცსა,  
ასეთ გაუზრდელს, ასეთ თავხედს, რომ დაჟინებით  
მოგთხოვდა ნივთი სახსოვარი და სანუკვარი.  
ნერისა მართალს მეუბნება და მჯერა კიდეც —  
მოკვდე, თუ ვინმე ქალს არ ჰქონდეს იგი ბეჭედი.

ბასანიო

პატიოსნებას გეფიცები, სულს გეფიცები,  
რომ ქალს არა აქვს, თავაზიან ვექილს ვაჩუქე.  
სამი ათასი გასამრჯელოდ მან არ ინება  
და ის ბეჭედი მთხოვა მხოლოდ. ჯერ უარი ვთქვი  
და გულნატკენი გავაბრუნე, მას ვაწყენინე,  
ვინაც სიცოცხლე მიანიჭა ძვირფას მეგობარს!  
ამის შემდეგ კი, საყვარელო, რა უნდა მექნა,  
უმადურობის ლაქას ზომ ვერ მოეცნებდი სინდისს!  
მე მაიძულა ზრდილობის და სირცხვილის გრძნობამ,  
მსაჯულისათვის გამეგზავნა ბეჭედი მამინ.  
ჩემო ძვირფასო, მომიტყევე, გემუდარები!  
ო, ვფიცავ ღამის წმინდა ლამპრებს და ღრმად მჯერა,  
შენც რომ იქ, ჩვენთან ყოფილიყავ, ალბათ შენც მთხოვდი  
იმ ღირსეული ვექილისთვის ბეჭდის მიცემას.

პორცია

ჩვენს სახლთან ახლოს ნუ მოუშვებ მამინ იმ ვექილს,  
რაკი იმას აქვს საყვარელი ბეჭედი ჩემი,  
რის ტარებასაც ტრფობის ნიშნად ფიცით შემპირდი.

აწ, მეც შენსავეთ ხათრიანი უნდა შევიქნე,  
რასაც კი მომთხოვს ის ვექილი, მზადა ვარ მივცე,  
თუნდა სხეული იყოს ჩემი, თუნდა ქმრის საწოლი,  
მოფრთხილებით ჩვენ ერთმანეთს, წინასწარ ვიცო.  
ერთი ღამითაც კი ნულარსად წახვალ შინიდან,  
არგოსის<sup>12</sup> მსგავსად მითვალთვალე, თორემ იცოდე,  
სახლში მარტოკა თუ დამტოვე, სინდისსა ვფიცავ,  
რომელიც ისევე მე შეკუთვნის, იმ მოსამართლეს  
შინ მოვიწვევ და შენს სარეცელს გავუზიარებ.

ნერიისა

მე კი იმის კლერკს, შენ ეს კარგად დაიმახსოვრე,  
როგორც კი მარტოს მიმატოვებ, უმეთვალყუროდ.

გრაციანო

კეთილი, მაგრამ ეს იცოდე, თუ მოკუსწარი  
იმ ლაწირაკ კლერკს, გადავამტკრევ მის კალამს თაყუბ.

ანტონიო

ვაი, რომ ჩხუბის უბედური მიზეზი მე ვარ!

პორცია

გთხოვთ, არ გეწყინოთ, თქვენი მოსულა მაინც გვახარებს.

ბასანიო

პორცია, ერთი უნებური ცოდევა შემინდე  
და მე ამდენი მეგობრების თანადასწრებით  
ვფიცავ შენივე მშვენიერ და ელვარე თვალებს,  
რომლებშიც მე ჩემს თავს ვხედავ...

პორცია

შეხეთ რას ამბობს!

ორივე თვალში ის ორმაგად ხედავს თავის თავს,  
თვითეულ თვალში ერთ თავს ხედავს. მამ ღაიფიცე  
ორპირი სულით! მეტად სანდო ფიცი იქნება.

ბასანიო

არა, მისმინე. მომიტყევე ეს ერთი ცოდევა  
და სულსა ვფიცავ, არასოდეს გავტყუო ალექსა.

ანტონიო

ერთხელ მე მაგის სასიკეთოდ თავდებად დავდე  
ჩემი სხეული, და დალუპვას ვერც ავცდებოდი,  
რომ არ ეშველა თქვენი ქმარის ბეჭდის წამლებს.  
ახლაც გავბედავ, ვუთავებობ, ახლა სულსა ვდეგ,  
რომ თქვენი ქმარი ერთგულების ფიცს აღარ ვატყუხ.

პორცია

კეთილი, მამ თქვენ უთავებეთ. აჰა, მიეცით,  
იღონდ უთხარით, გაუფრთხილდეს პირველზე უფრო.

(ვალსცემს ბეჭედს.)

ანტონიო

ჰა, ბასანიო, შეპფიცე, რომ არ მოიშორებ.

ხასანიო

ხეცასა ვფიცავ, ეს ბეჭედი მივეცი მსაჯულს!

პორცია

ხან კი მე მომცა. ხასანიო, ვთხოვ, მაპატიო, ამ ბეჭედისთვის დავიწვიე მსაჯული ჩემთან.

ნერისა

ზემო კეთილი გრაციანო, მეც მაპატიე, რადგან მსაჯულის ცინგლიანი კლერკი წუხელი ამის სანაცვლოდ ჩავიწვიე მე ჩემს ლოგინში.

გრაციანო

ეს ხომ იმას ჰგავს, შეაკეთო ზაფხულში ეზები, როცა ისედაც მშვენიერი სავალი არის! არ გვეკუთვნოდა ჯერ რქები და რქოსნები გავხდით!

პორცია

წუ ლაპარაკობთ უფიათად. თქვენ სახტად დარჩით? აჰა, წერილი, თავისუფალ დროს გადიკითხეთ, ეს პადუელი ბელარიოს წერილი გახლავთ. აქ წაიკითხავთ, რომ ვეჭილი — პორცია იყო, ამისი კლერკი კი — ნერისა. აგერ ლორენცოც დამემოწმება, თქვენთან ერთად ჩვენც გავემგზავრეთ და ეს-ესაა, რაც დაგბრუნდით, ჯერ ხომ სახლშიაც არ შემიხედავს; ანტონიო, თქვენი აქ მოსვლით ზენ გავიხარეთ. მეც მაქვს თქვენთვის რაღაც ამბავი, კიდრე მოეღიბეთ, მასზე უფრო სასიხარულო. აჰა, გახსენით ეს წერილი და წაიკითხეთ: აამი მდიდრულად დატვირთული თქვენი სომალდი, უურმე მოადგა ნავსაყუდელს მოულოდნელად. ამას არ გეტყვით, ეს წერილი რა უცნაურად ჰომხვდა მე ხელში.

ანტონიო

ამ ამბავმა მთლად დამამუნჯა.

ხასანიო

მაშ შენ იყავი ის ვეჭილი და ვერ გიცანი?

გრაციანო

როგორ, შენ იყავ, იგი კლერკი, რქა რომ დამადგა?

ნერისა

ღიახ, მე გახლდით, მაგრამ იმ კლერკს ეს როდი ძალუქს, თუკი მარიაცდა არ დასცალდა დაეაუკაცება.

ხასანიო

კარგო მსაჯულო, ვიზიარებ მე ჩემს სარეცელს, თუ შინ არ ვიყო, დაიბინე ჩემს შეუღლებსთან.

ანტონიო

ო, თქვენ მანუქეთ სიცოცხლეც და საცხოვრებელიც: მართლაცდა ჩემი ზომალდები მშვიდობიანად დაბრუნებულან.

პორცია

თქვენ, ლორენცო, თქვენ რაღაც იტყვიან? თქვენც განუტყვებთ ჩემი კლერკი რაღაცა ამბით.

ნერისა

განუგეშებთ და გასამრჯელოც არ მინდა თქვენი. თქვენ და ჯესიკას მე გადმოგცემთ მდიდარი მამის საჩუქრის ფურცელს და როდესაც მოკვდება იგი, მთელი ქონება, რასაცა ფლობს, თქვენი იქნება.

ლორენცო

თქვენ დამშეულ ხალხს, მშვენიერო ქალბატონებო, ზეცის მანანა დააპკურეთ.

პორცია

უკვი თენდება. მე ვიცი, თქვენ გსურთ, მოისმინოთ მთელი ამბავი უფრო ვრცლად და დაწერილებით. მაშ, შინ შევიდეთ, იქ ჩვენს დაკითხვას შეუღეჭით და გიპასუხებთ.

გრაციანო

ძალიან კარგი. მაშ, პირველი კითხვაა ჩემი — ნერისამ უნდა შემომფიცოს და ნამდვილი თქვას: ხვალ სადამომდე ფეხზე დგომას არჩევდა იგი, თუ დაწოლა სურს ამ ორ საათს — გათენებამდე. რომ გათენდება... ო, ღლისითაც ბნელოდეს ნეტა, შემეძლოს წოლა მე ვეჭილის მდივანთან ერთად. ჩემს სიცოცხლეში ერთი შიში მექნება მარად, რომ ეს ბეჭედი ნერისასი არ დავთმო, არა.

(გადიან.)

